K 24455/2

ძველი მწერლობა.

# დავრიშიანი

ანუ

## ზღაპრული მოთხრობა.

გამოცემა მესამე.

გამოცემული

ს. მ—გან.

თბილისი

Типографія Хеладзе. | ქ. ხელაძის სტამბა.

1899

БИБЛИОТЕКА ЗАКАВКАЗСКОЙ УЧИТЕЛЬСКОЙ СЕМИНАРИИ
№ 4632
Отд. II

# დავრიშიანი.

ერთი ხელმწიფე იყო კონსტანტინეპოლს, დიდ მოწყალე და ყოვლის კეთილის საქმით სავსე, დიდ უზომო მდიდარი და შვილი არა ჰყვანდა. ერთ დღეს ჩვეულებისა მებრ დაიდვა ნადიმი და შემდგომად ნადიმისა მრავალი საბოძვარი გასცა დიდებულთა ზედა; შემდგომ გაბძანდა ასპარეზში, მრავალი იბურთავა და მაშვრალი შემოვიდა, ტახტზედ დაწვა და დაიძინა. იმ ხელმწიფის ჩვეულება იყო თავის ყამში სარკეში არ ჩაეხედა, რა გაიღვიძა იფიქრა—ჩემ დღეში არ ჩამიხედავსო და ახლა ვნახავ რა სახე მაქვსო; რა სარკეში ჩაიხედა, ნახა რომ წვერი გასთეთრებოდა. დიდ შესწუხდა—დავბერებულვარ და ჩემი შვილიერობის დრო გადასულაო, დიდ შესწუხდა, შეიკეტა კარი და მრავალ რიგმა ფიქრმა მოიცვა, აღარც ნადიმი დაიდვა და არც ასპარეზში გამობძანდა. ამაზედ განვლო ერთმა კვირამ, ყოველა სული სწუხდა. შეიყარნენ ლაშქარნი და დიდებულნი, ვეზირისას მივიდნენ და ევედრნენ ამ ჩვენის მწუხარების წამალს შენგან ვეძითო: რა მიზეზი აქვს და რა ჭმუნვა შესულა ხელმწიფის გულში, თუ გვიბრძანებს თავი არა გვშურს მაგისთვის საკვდავათაო, თუ არა რა უძიმს სწორე შეგვიტყე, თორემ ჩვენის ხელით დავიხოცავთ თავებსა და მაგის მწუხარებას ვერ გავძლებთო. ვეზირი დიდათ შეჭმუნდა და ყოველითურთ ულონო შეიქმნა; რა ეს სიტყვა მოისმინა მსწრაფლად წამოვიდა, ხელმწიფის წინ წარდგა და მდაბლად თაყვანი სცა და მოახსენა: თუ ხელმწიფე არ გამირისხდება ერთი სიტყვა მაქვს მოსახსენებელი: ვითხოვ, რომ ფარმანი მიბოძო და ამდონის შეწირვებისაგან ვიხსნა დიდებულნი თქვენნიო. უბძანა ხელმწიფემ: ვეზირო, რა არის მაგისთანა, რომ შენგან მეწყინოსო, მე შენგან

გაზდილი კარო, შენი სწავლა რაზომცა მწყენოდესო. იამა ვეზირსა და მოახსენა: ხელმწიფეო, შენნი დიდებულნი შენის სახელოვანის ხლმის დამონებულნი ლაშქარნი დიდს შეჭირვებასა შინა არიან, თქვენი ციხე-ქალაქნი და ქვეყანა ზრუნავს, ყველას ცეცხლი ეკიდება თქვენის დაღრეჯისათვის, რა იქნა, ხელმწიფეო, ასეთი რომ თქვენ აგრე შეწუხებული იყოთ, აღარ გამობრძანდით ასპარეზში შესაქცევლად, აღარც ნადიმი დაიდევით, რა მოხდა ასეთი, რომ თქვენმა დიდებულებამ ასე შეიჭირვოს; ნადიმი დაიდევ, სიხარულის კარი გააღე და მწუხარების ერდო დახშე. გამობძანდი ასპარეზში შესაქცევლად ლაშქართანა, თვარემ დღეს ყოველნი ლაშქარნი და დიდებულნი თქვენნი თავებს დაიხოცვენ თქვენსავე წინა. ვინ არის ბრძანების თქვენის ურჩი, სხვა კმასაყოფელი ცხოვრება მოუცია ღმერთსა, რათ ემდური ხელმწიფესა ანუ მეუფესა შენსა და ანუ რათ მოგძულებია ცათა აღწევნილი ბედნიერი ტახტი. თქვენ რომ ეგრე მეუდროებით ბრძანდებით თქვენი შეწუხებით გაგითამამდება მტერი და წამოგლასავს; შენი მრავალჯერ გამარჯვებული ლაშქარი რა თქვენს დაღრეჯას სცნობენ ყველა თავთავის ღონისძიებას დაუწყებენ, კიდის კიდიდგან განთქმული სახელი ცუდად ჩაგივლის. თუ უშვილობისათვის მწუხარე ბრძანდებით, ღმერთი მრავალთ მოწყალე ბძანდება, არ დაგვსომს ცარიელს წყალობისა მისისაგან, არც გახდის შენს სახელოვანს სახელმწიფოს უმკვიდროს. თუ იქმო, ხელმწიფეო, შენი სახელმწიფო და დიდებულნი მწარეთ შეწუხებულნი არიან, შენი მზისაებრ გაბრწყინვალებული თავი ჩვეულებრივ მხიარული აჩვენე, ყველა თვალ ცრემლიანი და ყელ მოტეხილები ჩემის ამბის მოიმედენი არიან.

რა ხელმწიფემ ვეზირისაგან ესეოდენი სიტყვა მოისმინა დიდხან სიტყვა არა რა თქვა, ამოიოხრა და გადმოუშვა მდუღარე ცრემლი და უბძანა ვეზირსა: ვეზირო! გიმადლი შენს აქ მოსვლასა და რჩევასა, კეთილს იტყვი: მტერი ხლმით დავიმონე და ქვეყანა დავიპყარ და ამდენი სახელმწიფოთ შევმატე, ასე რომ მამათა და პაპათა ჩემთა სიზმრათაც არ უნახავსთ, ლაშქარნი შვილურათ დაზდილნი და ძმურათ მყვარებელნი, ჩემნი ერთგულნი და ჩემთვის თავწამებულნი

ვეზირნი და დიდებულნი. ამდონი ქონება ჩემს უკან ვის უნდა დარჩეს, ვინ იცის პატივი ამათი, მე დავბერდი და სიკვდილი მოახლოებულ არს, შვილი არა მრჩება და ძმა, რომ ჩემ წილათ უპატრონონ და ჩემოდნათ მოუარონ ჩემს ნაშრომსა, ამ დიდის შეჭირვებით მგონებელი როგორ დაღრეჯით არ ვიყო. მოახსენა ვეზირმა: ჯავრი რას მოგიმატებსო, ღმერთს მიენდევ და მასვე ევედრე, განუყავ გლახაკთა შენი სალარო და ღმერთი დიდის განსაცდელისაგან გიხსნის. დიდად დაუმადლა ხელმწიფემ, გამობძანდა, წესისამებრ ნადიმი დაიდვა და უკეთესი ლხინი ნახა, გასცა ბძანება, რაც იმ ქვეყანაში გლახაკი იყო — ყველა მოასხეს, უბძანა ხელმწიფემ ორმოცი სალაროს კარის გაღება, უბძანა თვით გლახაკთა რაც გნებოსთ წაიღეთ, ნულარას დააგდებთო; წაიღნენ და გაიყვეს ორმოცი სალარო, ისე რომ წაღებს ეზარებოდათ. შებძანდა ხელმწიფე, ლოცვაზედ დადგა და მდუღარე ცრემლით ღმერთს ევედრებოდა მის ბოძებისათვის. რა ლოცვა გაათავა დაუწყო წიგნებს კითხვა და შეექცეოდა; ერთი წიგნი გახსნა, რომელშიაც ეწერა: ვისაც დიდი მწუხარება ჰქონდესთ და ვერას ღონე ვერ ექმნას უნდა ადგეს და საფლავებზე წავიდეს — გამხიარულდებაო; მის მგზავსად თუ კიდევ კაცს ღმერთმან ასეთი სიხარული მისცეს, რომ სოფლის ჯავრი აღარა ჰქონდესო, ისევ საფლავზედ წავიდეს, მეორედ მოსვლა და სიკვდილიც მოიგონოსო. რა ხელმწიფემ ეს წაიკითხა დიდათ იამა. რა დაღამდა მონური ტანისამოსი ჩაიცვა, იდუმალ ცისით გავიდა და მივიდა სასაფლაოზედ, ჯერ თავის მამა-პაპის საფლავზედ მივიდა, ილოცა და ისინი კურთხევით მოიხსენა, გამოვიდა, სულ საფლავები დაიარა, შეხედა ერთი პატარა გუმბაზი იდგა, იქიდამ ცეცხლის სინათლე გამოდიოდა; ბძანა ხელმწიფემ წავალ ვნახამ რა არისო; მივიდა, შეხედა ნახა ოთხი დავრიშია, მუხლზედ თავი დაუდვიათ, დავრიშული ხირლა ასხიათ და სძინავთ, პატარა ჩირაღი უდგათ და ის ენთება. ბძანა ხელმწიფემ: არამც ჩემი მტერნი იყვნენო და ჩემდა წასახდენათ წამოსულიყვნენ, რომ შევიდე და ამათის ხელით წავხდე ქვეყანა სიგიჟეში ჩამომართმევსო, შუაღამისას უალაგო ალაგას რათ იარებოდაო; ჯერ აქ დავყუ-

დები და ყუყურებ. ეგება ამათი რამ შევიტყო, ერთი დიდი ქვა იდვა: იმაზედ უკუყდა ხელმწიფე და დაუწყო ყურება, ცოტა ხანი გამოვიდა ერთს ცხვირის დაცემისა, მის ცხვირის დაცემინებაზედ მათ სამთავ გამოღვიძათ, ღმერთის შეეხვეწნენ, ილოცეს, დასხდნენ. იმ უფროსმა თქვა: ჩვენ ოთხნი ამხანაგნი ერთათ შევიყარენით, ერთმანეთისა არა ვიცითრაო ან სადაურნი და რა საქმეზედ რებულნი ვართო, დავსხდეთ ერთმანეთს უამბოთ თავ-თავისი ამბავიო. იმ სხვათ დავრიშთ უთხრეს კარგათ სთქვიო, რადგან შენ მოიგონე პირველად შენ გვიამბეო და მას უკან ჩვენ მოგახსენებთო.

## აქა დიდი ვაჭრის შვილისაგან თავის ამბვის თქმა სამ დავრიშთან.

იმ უფროსმა დავრიშმა წამოიჩოქა ორს მუხლზედ, ამოიოხრა მწარეთ და მდუღარე ცრემლი გადმოყარა, ამდენი იტირა—მისის სიბრალულით ხელმწიფეც ტიროდა, თორემ იმ დავრიშებს რა დაუშლიდათ იტირეს დიდხანს. რა ტირილისაგან გული მოიბრუნა თქვა მან კაცმან: მე თქვენის ბანდაშამის ქვეყნის დიდი ვაჭრის შვილი ვარ, მამა ჩემი ისეთი მდიდარი და გამოჩენილი კაცი იყო, რომ ყოველს ქვეყანას სასახლე, ბაზარი და დუქანი ჰქონდაო, ყოველი ხელმწიფის სადაროს ფაქტარებდა. ისეთი დიდი ხელმწიფე არ იყო, რომ ყველა მამაჩემს არ იცნობდა, დიდს პატივს არ მოუპყრობდნენ, სახელოვანი კაცი იყო, ხელმწიფის დარი. ორი შვილი ვყვანდით ერთი მე და ერთი ჩემზე უფროსი ქალი თავისივე სიცოცხლეში გაათხოვა და თავისი ნახევარი ქონება მას გაატანა, მე თხუთმეტის წლისა რომ შევიქენ ღმერთი გაუწყრა ჩემს უბედურებასა და მამა მომიკვდა. რა მამა ჩემმა თავისი სიკვდილი შეიტყო დამიძახა, მომეხვია, მაკოცა და მითხრა: შენ იცი და შენმა მამაშვილობამა, რასაც შენს თავს კარგად მოუვლი და მტრის გულისად არ გახდებით, შენც იცი შენ-

თვის საწუხარი არა დამიგდია რა, ვალი არ დამრჩომია, შენი დის სირცხვილიც გადამიხდია. ძმა არა გყავს და სხვა მოდავე არავინ არის; ეს უმრავი ქონება შენთვის დამიგდია, მე ერთი სუდარის მეტი არა გამყვება რა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, გაიხარე და შეჭამე, ცუდს აზარჭრობას და ღვინის სმას ნუ გამოუდგები, თორემ სულ გაგიფუჭდება, ნურც ჩემს სულს დაივიწყებ, ხანდისხან მახსენებდეო. გამომესალმა და მიიცვალა. დავიწყე ტირილი და თავში ცემა, ამდონი ვიტირე და ვიცე თავში, რომ თავ-პირი დავიმტვრიე, სისხლში შეღებული ვიყავ. რა დიდ კაცის სიკვდილი შეიტყეს, შეიყარნენ მრავალნი კაცნი და მოიტირეს დიდის მწუხარებით, შემდეგ ქვეყანას დამარხეს მამა ჩემი, რაც იმათი წესი იყო ალაში უყვეს, მე ორმოცდღე კარში არ გამოვედ, მამის სულის საქმეს ვასრულებდი. რა ორმოცი გაიარა, ერთ დღეს შეყრილიყვნენ ახალგაზდა ყმაწვილი კაცნი, მოვიდნენ კარზე, ხოჯა შემოგზავნეს—ბეზირგნის შვილის ნახვა გვინდაო, უთხარ მობძანდნენ მეთქი; შემოვიდნენ, დამისხდნენ გვერდით და ნუგეში მცეს და მითხრეს: ნუ ხარ აგრე მწუხარე, ყმაწვილი კაცი ხარო, ილხინე და უგუნეარე, ყველანი სიკვდილისათვის დავბადებულვართო, რათ იკლავ თავსაო, მამა მოკვდება და შვილი დარჩებაო, ყველას ასე მოსვლია, მამისთვის თავი არავის მოუკლავსო. თავიანთ ფერი ამისთანა სიტყვა მითხრეს, დიდად მომეწონა, ასე გავეწყე, რომ ერთი წუთის კაც გავძლებდი; შევეჩვიე ღვინის სმასა, ასე რომ მუდამ მთვრალი ვიყავი, რო უგუმქარდის კიდევ დავლევდი, ასე რომ წელიწადი გავიდა. ამ ყოფით ჩემმა ქონებამ ფუჭათ ჩაიარა, ყოველიფერი განძი და საქონელი ღვინოზე გადავაგე; რომ არა დამრჩა რა სახსარჯო, ან ახლემი, ცხენი და ჯორი მყავნდა ღვინოზედ გადავაგე, აღარა დამრჩა რა, რაც მოსამსახურე მყავნდა სულ წავიდნენ, რაც იმ სახლში საოჯენი ეფინა იმის მეტი აღარა დამრჩა რა, ისიც შევჭამე, დავრჩი ასე რომ ალჯაგი აღარა მქონდა თავი შემეფარებინა. დავიწყე სიარული, მეჩითში მივეელ და ერთ კუთხეში მივეგდე. არავინ დამინახოს მეთქი, მეთაკილებოდა, ყველა მიცნობდა, გამოჩენილის კაცის შვილი ვიყავ. ერთ ხანათ დავაპირე ჩემ დასფიან წასვლა;

მაგრამ მამა მომიკვდა, ბევრჯერ კაცი გამოგზავნა — დამპატიჟა: მოდი შენის პირის ნახვა მაღირსეო, მამას ჩემისას შენს მეტი არავინ დამრჩომია, უზრალოთ აზარქრებს ნუ გაჰყვებიო, ნურც მამის შენის სახელს დაჰკარგავ და ნურც შენსას გააფუჭებო. არც სიტყვა მოუსმინე და არც წაველ, იმდენი ქონება მოგცა და გაგისტუმრა, ჩემთან რა სალაპარაკო გაქვს მეთქი; მერე პირი აღარა მქონდა რო წავსულიყავ და ვიყავ იმ მეჩითში, თხუთმეტი დღე არც მისვამს, არც მიჭამია, არც ადამიანი მინახავს, რა მლოცავი კაცი მოვიდოდა დავიმალებოდი, არ დამინახონ და არ მიცნან მეთქი, რა შიმშილმა საქმე გამიჭირა, ღონე აღარა მქონდა, მეჩითიდამ გამოველ და დავეგდე. ჩემის დის კაცი მეძებდა თურმე, ჩემი გაღარიბება შეეტყო და შეწუხებულიყო. იმასაც ეთაკილებოდა ჩემი ისე გადაგება და თავისი მამის ოჯახის დამხობა; იმ კაცმა მიცნა მამკიდა ხელი, წამიყვანა. რა მივედი ჩემი და ტირილით კარზე გამომეგება; რა ისე გამხდარი მნახა დაიკივლა და გულს შემოეყარა, დიდი ხანი უსულო ეგდო, მე ვტიროდი; რა მობრუნდა შემიყვანა ერთ სალვათ სახლში, დამსვა საჭმელი მაჭამა, ცოტათ მოვბრუნდი, აბანოს გამგზავნა, კარგათ მომრთო, მომიყვანა, ათასი თუმანი მომცა ქისით დაბეჭდილი და მითხრა: ძმაო, თვალთა ჩემთა ნათელო, ახლა იამანეთის ქვეყანას ქარვანი მიდის, შენც გაჰყევ, ეს თეთრი ასარგებლე, ღმერთს შენთვის დოვლათი მოუცია, ამ ერთ წელს ისევ შენის მამის ალაგს იშოვნი. წადი მიიარ-მოიარე, ქვეყანა ნახე, ჭკუა მოიეც, ნუღარ დაიწყებ ბედოვლათობას და ლოთობას, თორემ ისევ უწყალოთ გაგლახავდები. მე რა პასუხი მქონდა — თავათ პირშავი ვიყავ და უფრო შემარცხვინა, პირს ველარ შევხედე, თავი დავკიდე და მოვახსენე: აქამდინაც სირეგვნით მომივიდა თქვენი ურჩობა, ახლა რადგან ჩემი ცოდვის პასუხი არ მიყავ და შებრალება მაღირსე, თქვენს ურჩს ღმერთი რას მიზამს მეთქი.

იმ ღამეს ის იყო, მეორეს დღეს ადგა თითონ ჩემი და, წავიდა ქარავანბაშთან და შემავედრა. წამიყვანა, ხუთასი თუმნის ფარჩა მიყიდა, ხუთასი თუმანი თეთრი გამატანა, მრავალი კაი სიტყვა დამარიგა, გამოვესალმე ტირილით, ხუზღი გამატანა და წავედით სიხა-

რულით. მრავალი უცხო სანახავი ვნახეთ. გზაზედ რა მოვედით ია-
მანის ქვეყნის სიახლოვეს იმ ღამეს იქ დადგნენ ჩვენი უფროსნი, მე
დასტური ვთხოვე ამაღამ ქალაქში შევალ, ალაგს დავიჭერ მეთქი.
რა წავედ ციხის კარს შევედ, კიდეც გათენდა, ჯერ კარი არ გაე-
ღოთ, ვშინჯავდი გალავანს, ვნახე ერთი ვაჟი კაცი გადმოდგა გალა-
ვანზე და ერთი ზანდუკი გადმოუშვა, დააგდო, შემომხედა, გამიცი-
ნა და წავიდა. დიახ გამიკვირდა, დიდხანს ვიდექ—ვერ მიველ რომ
მენახა რა იყო. გულში ვიქვი: უცილოდ მოპარული იყო და ასსებ-
მა შეუტყეს, იმიტომ აქ გადმოაგდო და თითონ წავიდა, კიდევ
ისელითებს მეთქი, მასუკან წაიღებს. დიდი ხანი უყურე, არავინ მო-
ვიდა, ვახსენე ღმერთი მივედ და ავიღე, ცხენ წინ შემოვიდე,
წამოვიდე, გავშორდი ციხესა და მოვედ ერთს მინდორში და დავდგი:
ზანდუკი ავხადე სანახავად, ჩემის გონებით ასე მეგონა საქონელი
მეგს მეთქი, რა თავს ავხადე ასეთი სანახავი ვნახე ნეტამც არ მენახა:
ასეთი უებრო მზისაგან უარწყინვალესი, მთვარის მზგავსად განათ-
ლებული ქალი იყო, იმის მშვენიერება კაცისაგან არ გამოითქმოდა,
თუ არ ზეციერი, ქვეყანაზე არც დაბადებულა და არც დაიბადება;
პირი მთვარეს უგვანდა, წარბი გოზ გაზიდულ აჯის მშვილდსა,
თვალები მელნის ტბასა, ცხვირი და ტუჩი მშვენიერი, კაცის გონება
ვერ მისწვდებოდა, ტანი ალვა მოარულს, თმანი საგდებელს.
მის მზგავს მშვენებას კაცის გონება ვერ მისწვდება. ეს უებრო ვეგლუ-
ცი ქალი ასე ხანჯლით დაკუწვილი იყო, ერთი თითი ალაგი მთელი
არა რა ჰქონდა, სისხლს იმისი ბროლის მზგავსი ტანი შეეღება. რა
ისეთი უებრო მზე ისე უწყალოთ აკუწვილი ვნახე, მზე ნათელი და-
მიბნელდა, დავიწყე თავში ცემა და ტირილი, ასე რომ ჩემი ცრემლი
ზედ დასდიოდა; რა ცრემლი პირზე დაეცა ცოტად სულობას მოვი-
და, თვალი აახილა და თქვა: მე წყეულო, რას მემართლებოდი, რა
დანაშაული მქონდა შენთანაო, ჩემის დიდის სიკეთის მაგიერი ეს იყო,
მე ხომ მომკალ და ღმერთმან მოგცეს მაგიერი პასუხი,—ესე თქვა
და გულს შემოეყარა. რა იმისი ხმის ამოღება ვნახე დიდად მიამა,
შევფიცე მდუღრის ცრემლით: მზეო თუ მე შენთვის შემეწუხებინოს

ღმერთმან მომცეს პასუხი მეორედ მოსვლის დიდ სამართალში, შენს მშვენიერებას როგორ გავიმეტებდი მტრულად ასაკუწავად; მობრუნდა და მითხრა: ვინა ხარ ღვთიანო, რომ მოვკვდე დამმარხე, ჩემი ტანი უცხო კაცმა არა ნახოსო. ვიტირე ბევრი, რაღას ვიქმოდი, ისევ შევკეცე ცხენსა, ის ზანდუკი წინ შემოვიდგი და წაველ, ციხის კარი გაეღოთ, მექარავანე კაცი მივიდოდა, შევუე იმათ და შეველ ქალაქში, მიველ ქარვასლის ოდაბაშს უთხარი დიდი ქარვასლა დამიცალე, დიდი ქარვანი მოვა მეთქი.—მითხრა—ძმაო, წამოდი და სადაც მოგეწონოს შენ დაიჭირე ადგილიო; წავყევ, რომელიც დიდი ქარვასლა იყო დავაცლევინე, ერთი პატარა ოთახი იყო ზანდუკი იქ შევიტანე, გავხსენ ზანდუკი, ამოვიყვანე ქალი, ქათიბი გავისადე შიგ დავუგე და დავაწვინე, ხმალი შემოვიხსენ დავკიდე, გამოველ ცხენი საჯინიბოში დავაბი. მიველ ქარვასლის უფროსს შევეხვეწე ერთი და მყავს ავათ და კარგი ექიმი მიშოვნე მეთქი. გამომატანა ერთი კაცი და ანიშნა ჯართ უფროსი არის და იმასთან მიიყვანეო; მიმიყვანა, ვნახე ერთი პატიოსანი კაცი იყო, სალამი მივართვი, ფლური წინ დაუთვალე, ერთი ავადმყოფი მყავს მობრძანდი მინახე, ის მოარჩინე და თქვენს გასამრჯელოს მეტობით მოგართმევ მეთქი.—მითხრა ადექ შვილო წავიდეთო. წამოვიყვანე შევედით შინ.—გვერდთ დაუჯდა, რა შეხედა ერთი ასეთი სილა შემომკრა ხუთივ თითი პირზედ დამაჩნდა, წამოდგა და გავიდა კარში. გავყევ თანა, ხან ვეხვეწე, ხან მუხლს ვეხვიე, ხან ხელსა ვკოცნიდი და არ დადგა, გავყევ თანა, შევფიცე ფიცითა ათასი თუმანი იეთორი მაქვს სათავნო სულ შენ მოგცემ, რომ ერთის ფულს არ დაგიკლებ; ეზება ამგზავსე ვისმე, მამის ქვეყნიდამ მოვიდოდი, იამანეთის ქვეყნიდამ სახლეულით ავიყარენით, ერთს საყაზახო ადგილს ჩამოვხსდით, იმ ღამეს იქ დავდექით, რა ვიცოდით თუ საშიში ადგილი იყო: მძინარეს ყაზახი დაგვესხა, დედ მამა და ძმა მომიკლეს, მე მკვდრებში დავიმალე. როცა ყაზახები წავიდნენ, გამოველ ჩემი დედა მამა და ძმა დავმარხე; მინდა ეს ჩემი დაც დამემარხა,— ვნახე ცოტად სული ედგა; სწრაფად ზანდუკში ჩავაწვინე, აქ მოვიყვანე. ეს არის ახლა შენ გეხვეწები: შენს ღმერთს მიმადლე და მო-

მირჩინე. რა თეთრი უქადე გამომყვა, ქარვასლის კართან რომ მიველ ჩემი უფროსნიც მოვიდოდნენ, ჩემი ამხანაგი კაცი მოვიდა მკითხა სადა სდგეხარო, უჩვენე ჩემი ალაგი, ერთი ნუხსა გამოვართვი ჩემის ქონებისა, აქიმს მიუტანე ჩემი საქონელი შენთვის მომიცია ეს კარგათ მომირჩინე მეთქი. რა საქონელი ნახა იმ კაცმა უფრო გულით დაუწყო აქიმობა, რაც დიდი გაწრილი ჭქონდა გვერისტით გაუკერა, თის-ქეთმეტამდინ მართლა მოარჩინა.

მე რომ სახარჯო აღარ მქონდა, რაც იარაღი, ცხენი, ან ჯორი მყვანდა ყველა გავყიდე, საჭმელ სასმელში მივე; რა ერთი თვე გავიდა კარგათ მორჩენა მიბძანა, ერთი კარგი საჭმელი მიყიდე, რომ ყუათზედ მომიყვანოსო, სისუსტის მეტი აღარა მიჭირს რაო. რა იმისგან ის გავიგონე დიდად მიამა. მაგრამ დავღონდი, რომ სახარჯო აღარა მქონდა, ზედ რომ კაბა მეცვა იმის მეტი არა დამრჩომოდარა, თავი დავკიდე და სირცხვილით პასუხი ვეღარ მიუგე; შეწუხებული მნახა მიბძანა: რათ შეწუხდიო, იქნება სახარჯო არა გქონდესო, საწერელი და ქაღალდი მომიტანე, მაგაზედ ნუ სწუხარო. წაველ სწრაფათ საწერელი და ქაღალდი მივართვი, ერთი პატარა წიგნი დაწერა, მანიშნა ჩოჩსო ბაზართან ერთი პატარა ბაზარიაო, იქ ერთი ბერი კაცი ზისო, ეს წიგნი იმას მიუტანეო. წაველ როგორც მიბძანა იმ კაცს მიუტანე, რა ნახა დიდად იამა, წიგნს აკოცა და თავზე დაიდვა, — მითხრა ძმაო მანდ მომიცადეო. სახლში შევიდა, რა ცოტა ხანი გამოვიდა ის კაცი გამოვიდა, უკან მსახური მოსდევდა, სუფრაში გახვეული ხელთ ეჭირა; რა სუფრა გნახე დიდათ მეწყინა, გულში დავგმე არზით საჭმელი როგორ ითხოვა მეთქი. უთხრა იმ მსახურს სადაც მივიდეს ეს იქ მიიტანეო, წამოუძღე და წამომყვა ის კაცი. რა ჩემი სახლის კარზედ მივედ უთხარ: ძმაო, კარგი დადგე აქა და შენ წადი მეთქი. წავიდა ის კაცი, გაჯავრებულმა რომ ავიღე ხელში დიალ მძიმე იყო, გამიკვირდა რა არის მეთქი; რომ შევიტანე ქალს წინ გაუშალე ოქროს ყაბი და ზარიფუში იყო, რა ავხადე ფილურით ასე ავსო სუფრაში გადაცვენილიყო; გაიცინა იმ ქალმა და თქვა: შეხედე რა ცოტა გამოუგზავნიაო იმ ლოჩსაო. დიალ გამო-

კირდა, ან რათ გამოუგზავნა და ან ასე კადნიერად რად გაუწყრა მეთქი და ან როდის გაიწყრომებს მეთქი. მიბრძანა წადი ბაზარში საჭმელი რამ მოიტანე გვჭამოვო. წაველ საჭმელი მოვიტანე, დავსხედით ვჭამეთ, მერე მიბძანა წადი ერთი ხელი ტანისამოსი იყიდე შენთვის, აბანოში წადი და თავი მოიპარსეო. წაველ, რაც მიბძანა ყველა ვიყიდე, აბანოდამ გამოველ, რა მიველ მიბძანა წადი ერთი სახელმწიფო სასახლე მონახე და იყიდეო, უმართებულოდ ვდგევარ ქარვასლაში, თუ მოგეწონოს დახატე, თუ მომეწონა ვიყიდი და იქ წავიდეთო. წაველ დავიარე, ერთი კარგი სახელმწიფო სასახლე ვნახე, დიდად მომეწონა, გადავხატე მივართვი. დიაღ იმა და მოიწონა,—იყიდა. მიბძანა წადი ორსუებიც იყიდეო, წაველ საიქენი სამას თუმნად ვიყიდე, სასახლე მოვფინე, ერთი ჩარჩამი უყიდე ქალსა და რა დაღამდა წაველით იმ სახლში,—დიაღ მომეწონა. მეორეს დღეს მიბძანა: წადი მეფის კარზედ რომ ერთი ბაზარია, ერთი ვაჟი კაცი ზის, დიაღ მშვენიერია, ბევრი ყულები თავს ადგანან, თითონ ოქროს სელზე ზის, ჩემი ტანისამოსი აქვს მიყიდე და მოიტანე. რა მიველ ბაზარში ვნახე ის კაცი დუქანში ოქროს სელზე იჯდა. დიდათ მომეწონა და მეუცხოვა; რა დამინახა სელიდამ გადმოხდა, წინ მომეგება, მომეხვია და ხელი მომკიდა, თავისთან დამსვა, ტკბილათ მომიკითხა და მითხრა: ძმაო, რას გაურჯიხარ, რა გენებება მაბძანე, თქვენს სამსახურზე მზად ვარო. მადლი მოვახსენე და უთხარ ქალური ტანისამოსი მინდა მეთქი; მიბრძანა ადვილი სამსახურია, ჯერ ცოტა საუზმე იამეო. მე შორს დაუჭირე—საქმე მაქვს მეთქი, არ გამიშვა, ცოტა რამ ბოზა და არაყი მოატანინა, მაგრამ იმისთანა ჩემ ყამშიაც არ მენახა, ავდექ წამოსასვლელად, დიდად მაფიცა ნუ წახვალო, რა არ მომეშვა შევფიცე წავალ და მალე მოვალ მეთქი. ტანისამოსი გამომიტანა დიაღ მძიმედ ნაქსოვი ძვირფასი, ოთხი ხელი ტანისამოსი ავიღე, სამოცი ფლური მივე, დიაღ შორს დაიჭირა, შევწუხდი რატომ არ მართმევს მეთქი. რა ისე მოწყენილი მნახა ხუთი ფლური აიღო და მითხრა: ძმაო, შენს წყენას მოვერიდე, ესეც იმიტო ავიღე, თორემ არც ამას ავიღებდი. ავდექ წამოველ, დიდსანს უკან მომ-

დიკა, დამჯფიცა ამაღამ ისეგ მოდიო და ლხინი ვნახოთო; წამოვედ ის ტანისამოსი ქალს მოუტანე, ჩაიცვა ასე ეგონა ტანზე გაუწყვია ვისმეო. მკითხა როგორ დაგიხვდაო; უამბე როგორც დამიხვდა. მიბძანა წადი კაი ლხინი ნახეო. მე მოვახსენე თქვენ მარტო როგორ გაგიშვოთ მეთქი. მიბძანა ჩემი ნურა გეჯავრებარაო; ძალათ გამგზავნა თორემ მე წასვლა არ მინდოდა. რა მიველ ის კაცი კარზედ მელოდა, რა დამინახა დიდათ იამა, ხელი მომკიდა ბაღისკენ წამიყვანა, ათიოდ თორმეტი სხვა ყმაწვილი კაცებიც დაჰპატიჟა, ბაღი დიდათ მომეწონა, ვთქვი სამოთხე თუ არის ამის მზგავსი მეთქი. მრავალი ფერი ფრინველთ ხმა ისმოდა. დავსხედით. ბროლის მინებით ღვინო მოიტანა, კარგი მკვრელნი საკრავს უკრავდნენ, ის ღამე და მეორე დღე წვართიით ლხინი ვნახეთ. მეორეს დღეს უთხარ: თქვენ რომ მეჩანგე გყავსთ რატომ არ მაჩვენეთ მეთქი, დიაღ იამა, ადგა თითონ შევიდა და გამოიყვანა; დიაღ ტურფა და კეკლუცი ქალი იყო, მისი მშვენება არ გაცვდებოდა; დაჯდა, რა ჩანგს მოზიდა ასეთ ტკბილ ხმაზე დაუკრა, რომ ვინც იქ ვისხედით ცნება მიგვეღო. სამი დღე და ღამე ვისხედით, ასე გავშტერდით, არც გვისომს და არც გვიჭამია, მე იქავ დამაძინა. რა მეოთხე დღე გათენდა გამომეღვიძა, ღვინოც უგუმქარებოდა, კარგათ რბილ ქვეშაგებში ვიწექ, მონები თავს მადგნენ და მემსახურებოდნენ, ის ჩემი მასპინძელი შინ შესულიყო. ავდეგ ტანთ ჩავიცვი, აბანოს წავედ, ღვინიანი ტანი დავიბანე, გამოველ შინ შევედ; მაგრამ დიაღ მრცხვენოდა და კიდეც მეშინოდა იმ, დენი რომ დავიგვიანე არ გამიწყრეს მეთქი. რა მიველ კარი დაურეკე; მოვიდა კარი გამიღო. მე სირცხვილით ოფლი მდიოდა და ბოდიშს ვითხოვდი. ქალმა გამიცინა და მიბძანა: დიაღ ცუდ საქმეზედ სწუხარო, ეგ შენი ბრალი არ არის, დარბაზს შესვლა შენს ხელთ არის და გამოსვლა პატრონისაო; რა ერთმა კაცმა დაგპატიჟა შუა ჭამაში ხომ ვერ ადგებოდიო. მოდი დავსხდეთ, მიამბე რა ნახეო. შევედით, დავსხედით, ყველა მოვახსენე ან როგორ დაგვიხვდა და როგორ ვილხინეთ, ან ის მჩანგე როგორ მოიყვანა. მიბძანა აქ ასეთი წესია, როგორც ერთმა კაცმა თეთრი ასესხოს ვისმეს და მისი გადახდა უნდა,

ისე დაპატიჟების გადახდა უნდაო, ესლა შენ დაჰპატიჟებო. მე მოგახსენე იმის მზგავსად მე როგორ დავხვდე მეთქი. მიბძანა შენ ნუ სწუხარ; ახლავ ადექ ამაღამისათვის დაჰპატიჟეო. დიდად შევწუხდი, მაგრამ მისა ბძანების უარი არ შემეძლო; მიველ იმავ კაციან და ვნახე იმავ თავის ალაგს იჯდა, რა დამინახა ადგა, მიმიწვია, ცოტა ღვინის მოსაქარვებელი თითონაც ჭამა და მეც მაჭამა. ცოტას ხანს უკან დავიპატიჟე, მითხრა ბატონი ხარო, ვითა უფროსი ძმისას ეგრე შენთან გიახლებიო. მცირე ხანს ვისხედით, ღვინი ვნახეთ, მცირე საუზმე ვჭამეთ, რაკი ვსვით კარგათ დავზარხოშდით. რა ცოტა მოღამდა მე ავდეგ წასასვლელად, მითომ ჯერ იმისი წამოსვლა არ მინდოდა; მაგრამ წელში ხელი ჩამიგდო და ისე წამომყვა. მე დიაღ მეწუხებოდა, რომ არა მეგულებოდარა,—ხან სიმთვრალე მოვიგონე, ხანწავიქეც. მითხრა ძმაო, რატომ აგრე იქ, ადე შინ წავიდეთ სირცხვილიაო; რა აღარ მომეშვა მეტი რა ღონე მქონდა—წავედით; რა ჩემი ქუჩის კარს მივედით დაგვილი და მორწყული დამხვდა, გამიკვირდა ვის დაუგვია მეთქი. რა ჩვენი კარი გამოჩნდა დიდი შეყრილობა იყო და მრავალი ხელ ჯოხიანი კაცები იდგნენ, მე დიდად გამიკვირდა და გულში ვიფიქრე ვაი თუ სიმთვრალით გზა აუქციე და სხვაგან მოველ მეთქი.—დავდექი და ვფიქრობდი.—მითხრა, ძმაო რას ფიქრობ, წავიდეთო. რა მივედით წინ მოგვეგებნენ ოქროს მხარ მუზოსანი და ხელ ჯოხიანნი, ხელთ ოქროს ჯოხები ეჭირათ. სალამი მოგვცეს, სულ ოქრო ქსოვილი ფიანდაზათ დაგვიფინეს. წვრილს ყულებს ხელთ მუშკი და ამბარი ეჭირათ და გვიკმევდნენ და ვარდის წყალს გვაპკურებდნენ; მეჩანგენი სამღერით წინ მოგვიძღოდეს და ისე შევედით. რა ეს დიდება ვნახე დიდად გავკვირდი და ვსთქვი: ნეტარ ესენი ვინ არიან მეთქი. ამ კაცს უფრო უკვირდა ასეთი დიდების პატრონი ვინ არისო. სახლი სამოთხის მზგავსად მოერთოთ. მრავალი ფრინველი ოქროს ყაფაზებით ეკიდა. უცხოს ხმით გალობდნენ, რომ შევედით სასახლეში ოქრომკედის ორხუებით, მარგალიტის სუზნით და მარგალიტის დორით შემკული იყო. მურასად მორთული მონები წამოდგნენ წინ, სახელმწიფო იარაღი, მურასა ოქროს

შანდლებით მორთული იყო სასახლე; დავსხედით, ავდეგ და უთხარ თქვენ აქ დაბძანდით და მეც სწრაფად გიახლები მეთქი. გამოველ სასხლები დავიარე, ის ქალი ვერსად ვიპოვნე; ქვევით ჩაველ, ვნახე სასხლიდამ სინათლე გამოდიოდა, შეველ ვნახე სკამზე იჯდა მწვადს აწვევინებდა, რა დამინახა გამიწყრა წადი იქ დაჯექ, რას იარებიო, მართებულათ ღვინო აჩვენეო. მონებს ზოგს გაუწყერ, ზოგს წყა-ლობა უბოძე, რომ იმ კაცს შენი ეგონოსო, რა სმაში შესვიდეთ მეჩანგეც მოაყვანინეო. წამოველ დავსხედით, დიდ კარგი ღვინო ვნა-ხეთ. რა მართლა დავზარხოშდით უთხარ; რა იქნება ესეც თქვენი სახლია, მეჩანგეც მოაყვანინო მეთქი. კაცი გავგზავნა მოაყვანინა, უკე-თესი ღვინო ვნახეთ. სამი დღე და სამი ღამე საუფრა აულებლად ვსვით; რა შეგვწყინდა დავიძინეთ, სამი დღე მეძინა. რა გამომეღვი-ძა მზე ამოსულიყო, ავდეგ, ყოველი ღვთისაგან განაჩენი იქ იყო; მაგრამ აღარც ქალი იყო და აღარც სტუმრები, ერთი ჭილობი გრძლად გასვეული კედელს ეყუდა. ვთქვი ვნახამ ის რა არის მეთქი, მიველ და გავხსენ, ვნახე ის კაცი თავის მეჩანგით ყელ გამოჭრი-ლები არიან, თავს ზარი დამეცა, შიშით თრთოლა მომივიდა. გამო-ველ ის ქალი ველებზე ვეღარსად ვიპოვნე, ვთქვი უცილოდ ქაჯი იყო მეთქი და ემძაკობით მომატყუა. შევხვდი ერთი ცხენიანი კაცი მოდიო-და, ვთქვი უცილოდ ამათი პატრონია შეუტყვია ამათი დახოცვა მოვა და მეც მომკლავს მეთქი. წაველ კარს უკან დავიმალე, მინდა ის კაცი მომეკლა და იმ ღამეს გავეპარულიყავ, ვნახე და ვინც იმ ღამეს რო მონები გვმსახურებდნენ იმათგანი იყო; უთხარ ღვთისაგანამც წყეული ხართ თქვენცა და თქვენი გრძნება პატრონიცა, რათ დამალევით იმ პა-ტრონსანის ძმისაგან უფრო საყვარლის სისხლი, რას ემართლებოდით, თუ სამტერო საქმე გქონდათ სხვაგან რატომ არ უმტერეთ მეთქი. მითხრა ემართლების გრძნების თქმასაო, ის შენს ფიქრშია და შენ-თან გამომგზავნაო, შენ ავად ახსენებო; რა გრჯის თავისი ყმა მოკლა, შენ რა სისხლის მკითხავი ხარო. თუ მართალს ამბობ წა-მიყვანე მეთქი. მიველ ხელმწიფის კარზე მოშორებით სე იდგა, მე იქ დამაგდო, წავიდა ის კაცი, ხოჯათ უხუცესი მოიყვანა, მან

მითხრა საღამომდის მანდ იყავიო: რა დაღამდა ხოჯის არამში შე-
მიყვანა, დიაღ კარგი ბაღი იყო, სკამები იდგა, მიმიყვანა დამსო,
თითონ შევიდა; რა ცოტა ხანი გამოხდა გამოვიდა იგი ქალი, დი-
აღ მძიმედ სამკაულით მორთული იყო, თავს სასელმწიფო გვირგვი-
ნი ედგა, ორმოცამდის დართული ქალის ჯარი თან მოსდევდა,—თუ
ვსთქვა მთვარე მოვაო და ვარსკვლავნი უკან მოსდევენო. მოვიდა და-
ჯდა, მეც დაჯდომა მიბძანა. მეტის გაკვირვებით მტერივით ვიჯექ,
ტკბილათ მომიკითხა და მიბძანა შენი სათავნო მაშინ ჩემზედ რა და-
ხარჯეო, მოვახსენე ათასი თუმანი მეთქი. მიბძანა თუ სარგებლობა
გქნია რაერთი დაგიჯდებოდაო. მოვახსენე თუ კარგათ მესარგებლა
სამი ათასი თუმანი შემიქმნებოდა მეთქი. მიბძანა დიდათ მებრალები
ღმერთმან იცის, რომ დიდი ვალი დამდევ შენის გასჯილობითაო,
ღმერთი გადგიხდის, ალალი მიყავ შენი ამაგიო. ხოჯას ანიშნა, ხო-
ჯამ ქისა მოიტანა, წინ მივიდა, ხუთი ათასი თუმანი მქვს ამაშიო,
ადგა ქალი და წავიდა. მე კალთას მოვეკიდე და უთხარ: იმ ღვთის
მადლსა რომელმან ღმერთმან დაგბადა, ერთი სიტყვა მათქმევინე მეთ-
ქი.—გაიცინა და თქვა თქვიო. მოვახსენე: მე ხომ გზა არ ვიცი და
ვერც შენს სამყოფს მოვშორდები, მაშინ მწარეთ აგუწვილმა ღმერთი
დამავიწყე, რომ დამმარხეო; მე ათასი თუმანი გავიღე და მოვგარჩი-
ნე იმი ფასით. ეს ხუთი ათასი თუმანი ერთს ყულს მიე და თა-
ვი გამაგდებინოს, ასეთ ადგას დამმარხოს, თვეში ერთხელ მობძან-
დე და შენდობა მიბძანო მეთქი. სიცილით ადგა და წავიდა. ვიდევ
გაუდევ, სიტყვა მინდა მეთქო, მე ხოჯებმა გამომაგდეს, ქალი წავიდა,

მე წამოველ, მეჩითში შეველ, მრავალი ვიტირე და ვიეც თავში
ორმოცი დღე ამ მწუხარებით ვიყავ, ვინც მოვიდოდა ჩემი სიბრა-
ლულით იტირებდა, გავსდი აკათ, ასე რომ სიკვდილზე მივიწურე.
წავიდნენ იმ ხოჯათ უფროსს უამბეს ჩემი შეჭირვება; მოვიდა მნა-
ხა, დიაღ ბევრი იტირა ჩემის სიბრალულით. წავიდა იმ ქალს უთხ-
რა ღმერთს რა პასუხს მისცემ, იმდენი ღვაწლი დაგდვა და ისე
უპატრონოთ კვდებაო, ქალი დიას შეწუხებული იყო და ებძანა შენს
სახლში მიიყვანე და ჩემი აქიმი დააყენეო, თუ მორჩა ამ ჩემ ყულებ-

ში იყოს და თუ მოკვდა სადაც ანდერძი თქვას იქ დამარხეო. ხოჯამ წამიყვანა თავის სახლში, დამაწვინა, აქიმი დამაყენა, მე ვერა გავიგე რა. რა დაღამდა თითონ მობრძანდა, გვერთ დამიჯდა და თავის ხელით ბანბით წამალს მაწურებდა,—ისე ხელი შემიწყო. ორმოცამდის უგონო ვიდევ, რა ორმოცი შესრულდა ცნობას მოვეგე და თვალი ავახილე. რა თვალ ახილული მნახა დიდათ იამა, ღმერთის მადლობა შესწირა, რომ ამისი საცოდაობა არა ვნახეო. რა უკეთ შევიქენ და ფეხი მიწყნარდის ყოველ ღამ მოვიდის ერთის მოსხლით კარგი ღვინო და საჭმელი მოიტანის, თითონაც მიირთმევდა და მეც მასმევდა, კარგათ შემაქცევდა, ილხინებდა და წავიდოდა. სრულად მოვრჩი. ერთ ღამეს მობრძანდა ერთს რასმეს გკითხამო, მოვახსენე მიბრძანე მეთქი. ახლა ხომ მორჩიო, მითხარ შენი გულის წადილი რა არისო, მე რომ გიარები და ესე ხშირად გნახავ სულ ასე არ იქნებაო, შენი დიდი სიბრალული მქონდა და შენი ჭირნახული ვერ დავივიწყე, თორემ ვერ მოვიდოდაო; ახლა სწორე მითხარ რა გწადიანო, შენს თავს რას უზიარობო. მე ჯერ ბევრი ვიტირე და ისიც ჩემი სიბრალულით ტიროდა, მერე ჯერ ღმერთი გაფიცე, რაც გკითხო არ გამიწყრე მეთქი და მერე ვკითხე: ის კაცი რათ მოჰკალ, რა დაგიშავა, მიბრძანე და მერე ჩემს გულის ფიქრს მოგახსენებ მეთქი. მიბრძანა: შენ ეგ არ გეკითხვის, მაგრამ რადგანაც მაფიცე, ყველას გიამბობო.

მე ამ იამანეთის ხელმწიფის ქალი გარო, ჩემს მეტი შვილი არ ჰყვანთო; დიდათ უყვარვარ ხელმწიფეს და სახელმწიფოდ მზდიდნენო, ჩემის საამოვნოსათვის სულ დიდის კაცის ქალები მახლავანო, დღე და ღამ სმასა და შექცევაში ვიყავიო: ასე შევეჩვიე ღვინოსა, რა გამომქარდის, თრთოლა მომივიდოდის, დედ-მამა ჩემის წყენისათვის არ დამიშლიდნენ, ამ ყოფით ვლხინობდი. მამა ჩემი ურუმის ხელმწიფის მოხარკე არის, ექვს თვეს იქ დაჰყოფენ, დიდის ძღვნით და ფეშქაშით მივლენ და რა მოვლენ ექვს თვეს აქ იქნებიან; მე ათ თვეს ვსომდი და ორ თვეს ვერ დავლევდი, რომ ჩემი დღესასწაული მოვა. დიდ შევწუხდებოდი და ფერი წამიჭდოდა: რა ჩემმა ლა-

ლალამ მნახა, მითხრა: ბოზა მიირთვი, ხელმწიფის შვილო, დიალ კაი ქეიფს მოგცემსო. მე დიდად გამიკვირდა ბოზა რა არის მეთქი, მე არ გამეგონა იმის მეტად, მოიტანე ვნახო მეთქი; წავიდა, იყიდა, რა მოვიდა ერთი პატარა ბიჭი თან მოიყვანა, ასეთი დაგლეჯილი ჩოხა ეცვა, არ ეტყობოდა სახე თუ რა იყო, ქაჩალი ცხვირზე ჩა-მოსვლოდა და მუწუკები, ერთი დაგლეჯილი ბოხოხი ეხურა, ბოზით სავსე სურა ხელთ ეჭირა: რა შევხედე გული ამერია. ლალას უთხარ: ეს როგორ მოიყვანე მეთქი. ლალამ მიწყინა და მითხრა: შენ რომ ხელმწიფის შვილი ხარ და ეს გლახა, ღვთის წინ ორნივე ერთად წარ-დგებითო, ასეთი სიტყვა უნდა სთქვას დიდმა კაცმა, რომ ღმერთს არ ეწყინოსო. ლალამ ბოზა დაასხა დალივა, მერე ქალებს მიართვა, ქალებმა დიას მიირთვეს, მეც დავლივე და მომეწონა, ღვინისაგან იმას უფრო გავეწყე. ჩემს გამზდელს უბრძანე ის საღვინე თეთრით აუვსოს, ბიჭი წავიდა, ყოველ დღე თითო საღვინეს მოიტანდა თეთრით აუმ-სებდი. დიდი ხანი გამოვიდა, თურმე ის ბიჭი საკვირველი მოხუ-მარი იყო. კარზე მოსახლეები ხუმრობას დაუწყებდნენ. ერთ დღეს მოსახლეებთან დაიწყო კივილი, მე ვკითხე ვინ არის მეთქი. ლალამ მითხრა ის ქაჩალი ბიჭია, დიალ კარგი მოხუმარია, მოსახლეები ეხუმ-რებიან და იმისთვისა კივისო. უბრძანე შემოვაყვანინე. ლალამ დაუწყო ლაპარაკი, იმანაც ტკბილათ პასუხი მიუგო; დიალ მიამა ამითი ხუმ-რობა, ჩემს გამზდელს უბრძანე იქნება ის თეთრი საკმაო არ უყოს ახლა ფლურით აუვსებდე ხოლმე მეთქი. იმ დღის შემდეგ სულ ფლუ-რით უვსებდა; მაგრამ არც კაბა ჩაიცვა და არც ბოხოხი გამოიცვალა. ერთ დღეს ვლხინობდით, მე უბრძანე ამდენს ფლურს და თეთრს გა-ლევ როგორ არ გამოიცვალე ეგ ბოხოხი და კაბა მეთქი. ქაჩალმა ტირილი დაიწყო და თქვა: მე ობოლი ვარ, მამა ჩემს ჩემი ოსტა-ტის ფული ემართა, მამა მომიკვდა, დედა ჩემმა ვალის მიცემა ვერ შეიძლო, მე გირაოთ მიმცა, დედაც მომიკვდა, დავრჩი გირაოთ; რა-საც მიბოძებ იმასთან მიმაქვს და რით გამოვიცვალო. მე შემებრალ-და ვკითხე იცი ბოზის გაკეთება მეთქი, მან მომიგო კარგათ ვიციო. ლალას უთხარ თუ შეუძლიან ქუნქარის იარაღი უშოვნე, შენს სია-

წლოვეს დუქანი გაუმართე, დასვი და აკეთოს მეთქი. ლალამ იარალი უყიდა და დუქანში დასვა, ასეთი ბოზა გამოსადა, ოსტატისაზე უკეთესი. მოვაყვანინე, თავი დავაბანინე, ქასალი მოურჩინე და კარგათ მოვრთე, დიაღ სასიამოვნო შეიქმნა; მე დიაღ სიამოვნებას ვეწყობოდი, ბიჭი ხელმწიფის შვილებში აღარ ერჩეოდა, დიდათ ვწყალობდი, უიმისოთ ლხინი აღარ მიამებოდა. ვინცა ნახა, რომ კარგი ყმა იყო, ხვეწნა და ქრთამის ძლევა დაუწყეს, დიდად გამდიდრდა, ჩემის გულისათვის ჩემი დედმამაც სწყალობდნენ, დიდს პატივს აძლევდნენ, ვისთვისაც შუა შემოვიდოდა გაურიგებელი არ დარჩებოდა. მედუქნეობა აღარ ინდომა, მამი ჩემის ვერაქ იარაღობა უბოძე, ჩემს ახლოს ერთი სახელმწიფო სასახლე უყიდე; კარი ჩემს სახლში გამოვალებინე; როდესაც ლხინად დავსხდებოდით იქიდამ შემოვიყვანდით და ვილხენდით ჩემთან შეზდილის ქალებითა. დიდ ხანს იმ ყოფაით ვიყავით. ერთ დღეს დიაღ მოწყენილი შემოვიდა, მრავალი ვეცადე მაგრამ ვერ გავამხიარულე, ვაფიცე რათ მოგიწყენია მითხარ მეთქი; მომიგო: ერთს სახელმწიფო ბაღსა ჰყიდიან, ას თუმნათ, სასყიდელად მინდა და ფული არა მაქვსო იმისთვისა ვწუხვარო. უბძანე მაგაზე ნუ მოიწყენ, კარგათ გვალხინე, მე ვიყიდი, ასი არა და თუნდ სამასი თუმანი იყოს, რადგანაც აგრე მოგწონებია მეთქი. გამხიარულდა, მაგრამ კვლაინდელი ლხინი აღარ გვაჩვენა; ასი თუმანი მივე ბაღი უყიდე, ჩვენც დაგვპატიჟა, ბაღი ასე მომეწონა რომ დღეთა ჩემთა შინა იმისი მგზავსი ბაღი არ მენახა, დიაღ უცხო სანახავი: მრავალ ფერი ფერინველი, უცხოს ხმით მგალობელნი, უცხო ფერნი ყვავილთა სურნელების ფშვენა, რა გინდ გამნელებული ავათმყოფი შეეყვანათ, ის სურნელის სუნის ყნოსით განიკურნებოდნენ. დავყავით დიდი ხანი ლხინით, თუ ის ბიჭი მხიარულად იყვის, ჩვენც უცხო ლხინი ვნახით, რა ის მოიწყენდის ჩვენც ვერას ვისიამოვნებდით.

ერთს დღეს დიაღ უმეტესად მოწყენილი შემოვიდა, ვკითხე რაღაზე მოგიწყენია მეთქი, მან მითხრა ერთს მეჩანგესა ჰყიდიან და ის მეწყურება თქვენ რომ არა გუავსთო. შევატყევ რომ თავისთვის ცოლად უნდოდა, ათასი თუმანი მივე და უყიდე. მოიყვანს დიაღ

კარგი მეჩანგე იყო, იმასვე მივე. ერთ დღესა დაუძახე მოდი გვალხინე მეთქი, შემოქთვალა არ შემიძლიან ხელმწიფის შვილო, ნუ გამიწყრებიო. ავდექით ჩვენ წავედით. ისხდნენ და ლხინობდნენ. რა ჩვენი მოსვლა შეიტყო, ტოლომაში გაეხვია და კვნესა დაიწყო, შევატყე რომ სტყუოდა, ჩვენი მოსვლა ეწყინა, მცირე ხანს დავსხედით, ავდექით და წამოვედით. მეორეს დღეს კაცი გაუგზავნეთ, ეთქოთ შინ არ არისო. დიალ მეწყინა და ჩემი იმდენი ჭირნახული შევაინანე და ვთქვი: რა უყო იმ თავ ლაივაინს მეთქი, ზოგნი მტრობდნენ ჩემ გერძ მსლებელნი და აბეზღებდნენ, ვიფიქრე ამათ არ დაუჯერებ მეთქი და არამც ტყუილად აბეზღებდნენ. რა დაღამდა ფეხი მისწყნარდა, ავდექ ქვეშაგებიდამ და წაველ მის სადგომს, არავინ დამიხვდა, ერთი პატარა გოგო იყო, იმასა ვკითხე შენი ბატონები სად არიან მეთქი. გოგომ მითხრა: აქ ხელმწიფის შვილი არ მოგვასვენებსო, ახალ ნაყიდ ბაღში წავიდნენო. დიალ მეწყინა და ვთქვი რასაც მეუბნებიან თურმე ტყუილი არ ყოფილა, მაგრამ მტრის ენა არ იყოს კიდევ შევიტყობ მეთქი, წაველ მარტო, ბაღში ვნახე, ხის ქვეშ ისხდნენ და სვამდნენ. დიდ ხანს უყურე, მეჩანგემ დამინახა, ხელში სავსე ოქროს თასი ეჭირა, უთხრა იმ პირშავს ქალს—ხედავ არც აქ დაგვეხსნაო, რა იმანაც დამინახა სწრაფად წამოხტა და მითხრა: რას გადამეკიდე, რით ვერ აიღე ჩემზე ხელიო. მე დაუწყე მუქარა და წყრომა. მეჩანგემ უთხრა: კაცად არ ისხენები თუ ეხლავ არ მოჰკლამო. ხანჯალი ამოიღო, რომელიც მე ძვირფასად უყიდე, დამიწყო ჩხვლეტა და ამგუწა, როგორც შენ მნახე; თავის ფიქრით მე მკვდარი ვეგონე, ზანდუკში ჩამდვა, წყალში გადაგდება უნდოდა და მეტის სიჩქარით ჯულარა გაიგორა, ღმერთმა ჩემი სიმართლე შეიბრალა, რომ ხმელზე დაქეცი. შენ ღმერთმან ჩემად ნუგეშად გამოგაჩინა. დამიწყეს ძებნა და პირად არავის უთხრეს, ეთაკილებოდათ. ჩემი დედ-მამა ურუმის ხელმწიფესთან იყვნენ, მერე დედა მოვიდა და მამა ხელმწიფეს არ გამოუშვა. რა ჩემი დაკარგვა შეეტყო დიდი ვაება იყო არამში; მაგრამ არ გამოაჩინეს. შენ რომ წიგნი გაგატანე და ფლური გამოუგზავნე, ის იმისი ოსტატი იყო, ჩემი წყალობით გაკეთებული. იმან ჩემი

სიკეთე ისე დაისწავლა, ერთის ცუდის ბარათის ნახვით ისე გაიხარა, იმან იმდენი ჩემი სიკეთე ვერა დაინახა რა. ეს მიამბო ქალმა. დიდად შემებრალა და ჰკადრე იმ ღამეს ისე სწრაფად სად მოამზადე იმდენი სახელმწიფო იარაღი. მიბრძანა: შენ რომ დასაპატიჟებლად გაგზავნე მე ჩადრი დავიხურე და ჩემს სადგომში მიველ, დედას მუხლს მოვეხვიე, შენდობა ვთხოვე. რა მნახა დიდად გამიწყრა და მიბრძანა: რადგან დაიკარგე ნეტავი არ გამოჩენილიყავი, არც გვარის სარცხვენელად ცოცხალი იყოო, ახლავ თვალიდამ მომშორდიო; მე შევფიცე არა დამიშავებია რა, ყველა ჩემი თავ გასავალი ფიცით შევაჯერე. რა ჩემი იმდენი სასჯელი და სიმართლე შეიტყო ღმერთს მადლობა შესწირა და ჩემის ნახვისათვის გამხიარულდა, მერე ვთხოვე თქვენის ქარხანის იარაღი ამაღამ მათხოვე, ხვალ იამანსა და ჩემ სიმართლეს თქვენ წინაშე ვსცნობთ, მერე რაც შეგცოდო ის გარდამახდევინე მეთქი, მიბოძა და წამოველ. მამი ჩემის მოხელენი მოვასხი და ჯავრიც ამოვიყარე. რა ეს დაასრულა, მიბრძანა შენი დიდი სიბრალული მაქვს. თუ შენ ასე გულ-მტკივნელად გაგისტუმრე და აგიტყდა რამე, ღმერთი კეთილს არ მომცემსო. მეორე ესა ორი თვეა გშინჯავ და შენი სჯული დიად მომეწონა, ჭეშმარიტი და წმინდა სჯული გქონიაო, ჩვენს სჯულზე გული ავყარე, კერპთ-მსახურნი და ბუთის მლოცავნი ვართო, მეც შენ გამოგყვები წავიდეთო. რა მისგან ეს მოწყალების ხმა გავიგონე, სიხარულით გულმა თრთოლა დამიწყო და მრავალი წერილის სიტყვა ვამცნე და სჯულის საქმე შევაგონე. მართლათ გული გამოეცვალა: მიბრძანა მზათ იყავ, როდესაც ღამე მოვიდე წავიდეთო; წავიდა, ორი დღე აღარ გამოვიდა, ყოველ ღამ კარში ვიდექ და ველოდი. რა შუაღამე შეიქმნა მესამე ღამეს ვნახე კაცურად მოკაზმული იარაღით მობრძანდა, ხელთ ხურჯინი ეჭირა, ერთი თავის სამკაულით და თვალ-მარგალიტით სავსე, მეორე ფლურით და თეთრით. მიბრძანა დადგომის დრო აღარ არის, წავიდეთო. საჯინიბოში შევიდა, ორი კარგი ბედაური გამოიყვანა, შეკაზმა, შევსხედით და წავედით ცხენის ჭენებით ამ გზაზე. სულ მაფიცებდა და მითხრა: ღვთის წინაშე შენის ამაგის ფასით არ გაგი-

მტყუნდით, შენ იცი და შენმა ღმერთმა, როგორც ჩემს სიყვარულზედ მტკიცედ იქმნებით. მე ამდენი დიდება და სახელმწიფო შენის გულისთვის დავთმე და გამოგყევ, შენც არ მიღალატო და არ დამაგდო; მეც შევფიცე საშინელის ფიცით საუკუნოთ შენი მოსამსახურე ვიყო მეთქი და შენს ბრძანებას არ გადავიდე. რა გული შევაჯერე ფიცით,—დღე და ღამე ვიარეთ, ერთს დიდ წყალს მივედით, ფონი ვერა ვპოვეთ დიდი მინდორი და სიცხე იყო, სამი დღე ხან აღმა უარე, ხან დაღმა, ვერა გავაწყვეთრა. ერთი პატარა ხე იდგა, ის ქალი იქ დავსვი, წამოველ სამი დღე და ღამე ვეძებე, ერთ ალაგს ფონი ვიპოვნე, მივედ ვნახე, ქალი აღარ დამხვდა; დავჭმუნდი, მრავალი ვეძებე, ვეღარა გავიგე რა. იქავ ნაიმანის ქალაქში წაველ, ერთი თვე იქ დავყავ ძებნაში. წამოველ ერთ უდაბურ მთაზე აველ, ჩემის ფიქრით მინდოდა იქიდამ თავი გადმომეგდო და მომკვდარვიყავ. რა ზევით აველ ერთი ღვთის მოყვარე კაცი დამხვდა, ილოცვიდა. რა ისე გაგიჟებული მნახა დამიძახა, ამბავი მკითხა; მე ყველა ჩემი თავგადასავალი უამბე და ესეც უთხარ მინდოდა კლდიდამ თავი გადამეგდო და მომკვდარვიყავ. გაიცინა და მითხრა: ყმაწვილი ხარ, შენს სულს საეშმაკოთ ნუ გასდით, წადი კონსტანტინე პოლში, იქ სამი სხვა ამხანაგი შეგხვდებათ თითოს ბაილაბზე, შენსავით დაკარგული ხელმწიფეც უშვილო არის. თქვენის მისვლით ღმერთი იმას მეს მისცემს და იმის შვილით თქვენ თქვენს ბედს ეწევით. ხელს ვაკოცე იმ კაცსა, წამოველ აქ თქვენ შეგხვდით, იმ კაცის სიტყვა ამაზედ მენიშნა, რომ თქვენ შეგხვდით, ამას იქით ღმერთი რას მიზამს არ ვიცი. რა მან დავრიშმან გაათავა, მეორემ წამოიჩოქა.

## კარი მეორე. ჭაბუკის ირანის ხელმწიფის შვილისა თავის ამბის თქმა ხელმწიფის გაგონება.

კვლავ მრავალი იტირა და მერე თქვა: მე თქვენი ბანდა ირანის ხელმწიფის შაჰ მანუჩრის შვილი ვარ, მამა ჩემს ჩემს მეტი შვილი არა ჰყვანდა, მემკვიდრედ მე გამზრდელოდა. რა თხუთმეტის წლისა შევიქენ ნადირობას შევეწყე, უფროსი ერთი ნადირობას ვიყავი. ერთის დღეს თორმეტის დღის სანადიროს წაველ, ვინადირეთ და კარგათ შევექეცით, ორმოცი დღე იქ დავყავით, დღე ვნადირობდით და ღამე ვლხინობდით. ერთს დღეს ადრე ავდექი ლაშქრით გამოველ მინდორში, ერთი უცხო ჯერანი ვნახე, რომ იმისთანა ჩემს მოსწრებაში არ მენახა: უცხოთ შესამკობილი თავი, იათარი ზურგი, წითელი მუცელი, შავი ფეხები, ყვითელი რქები და ყურები ოქროსი, იმ ფერად ტანზედ, რაც ფერადი სთქვა ყოველის ფერადისაგან ჩავინის მზგავსად შესამკობილი იყო. რა ვნახე ლაშქარს უბრძანე, ყველამ ალყა მოავლეს, დაუწყევით სადგომის სროლა, სიკვდილი არ მეწადა, ვერ დავიჭირეთ, ალყიდამ გაიქცა და წავიდა. ჯარს უბრძანე თქვენა გხედავს და ფთისება; თქვენ აქ მოიცადეთ, მე წავალ მარტოკა საღამომდის ვდევ ეგება ცოცხალი დავიჭირო, არ მოვკლავ ისე მოვიყვან მეთქი. ბევრი მიშალა ჯარმა, მაგრამ არ დავიშალე: იქ წასვლისათვის რა ბევრი ჯარი მინდა, ისევ მალე მოვბრუნდები მეთქი. ჯარი იქ დავაგდე, იმ ჯეირანს გაუდევ, რა მივასწრობდი ასე გაიქცის, თვალწინ დამეკარგის; რა ცოტად მოვშორდი, დადგის მოუნა დაუწყის, სანამ ზედ არ შევადგი არ დაიძროდის, რა ახლოს მივიდი კიდევ გაიქცის, — ვერ დავიჭირე დაღამდა. გული გადმიჯერდა და ვთქვი თუნდ ანგელოზიც იყოს ვერ დავთმობ, ისარი ვესროლე, ფეხში მოხვდა, ერთ გამოთხრილ კლდეში შევიდა, კიდეც დაღამდა, იქავ ჩინარ ქვეშ ჩამოვხდი ვილოცე, გათენებამდის იქ ვიყავ, — ვფიქრობდი დილაზე ვნახავ და ლაშქარში წავალ; რა გათენდა მიველ კლდის კარ-

თან, კაცის ლაპარაკი გამოდიოდა: ვინც ეს შენ გიყო და ჩემი შე-
წუხებული გული უფრო შეაწუხა, ღმერთსა ჰსთხოვე ჩემსავით და-
სოს. რა ეს გავიგონე შეველ, ერთი ბერი კაცი ზის შავით მოსი-
ლი, ჯეირნის თავი კალთაში უძევს და მდუღარე ცრემლით ტირის
და ელერსება: ჩემო ნუგეშის მცემელო, ჩემი სევდის უკუ მყრელო,
როგორღა ვიცოცხლო; შენ მყვანდი ჩემი სევდის მაქარვებლად და
შენის ყურებით სულს ვიბრუნებდი. წავდეგ სალამი მივე, ხელს ვა-
კოცე, შენდობა ვთხოვე: არ ვიცოდი, ფათერაკათ მომისდა, ალალი
მიყავ მეთქი. მან მითხრა შვილო ღმერთმან შეგინდოს, რადგან არა
გცოდნია. მოდი დაჯექო, დავჯექ ისრის პირი ამოვართვით, დაკოდი-
ლი შეუხვიეთ, საუზმე მოიტანა ვსჭამეთ, ჩემი ვინაობა მკითხა მე ყველა
წვრილად მოვახსენე. მცირე ხანს უკან ადგა იგი კაცი, ერთ მხარეს ფარდა
ეფარა ასწია და შევიდა, ვნახე ტირილისა და თავში ცემის ხმა მესმა; მი-
ველ ფარდიდამ მოფარებით შევხედე, ვნახე ერთი ფრანგულათ თეთრი
ტანისამოსით მოსილი ქალი იჯდა იმისთანა თვალად-ტანადი, ამბათაც
არ გამეგონა. იგი მოხუცი კაცი მის წინ თავ მოხდილი იდგა და ტი-
როდა, ხან მუხლს ეხვეოდა და ხან ფეხსა, ხან მუხლმოყრით ეხვეწებოდა;
მაგრამ იგი მზის მზგავსი ქალი ხმას არა სცემდა, წყრომით იყო.
უმაწვილობის ქარმა ამიტანა, იმ კაცის სასიკვდილოთ გული მითქმიდა
და ვექადოდი. ამ თავლაფიან კაცს ეს უამხანაგო ქალი სად მოუტაცნია
და ტყვეთ უზის, ასე ქვეყანა როგორ გაოხრდა, რომ ამისთანა უგვა-
ნი საქმე უქნია. პატარა ხანს უკან ის კაცი გამოვიდა, მე დიალ
გაუწყერ—ღვთისაგან არ გეშინიან ამისთანა სწორ უპოვარი მზის
მზგავსი ქალი ტყვეთ გიზის მეთქი; გაიცინა და მითხრა: თუ შენის
თავისათვის ბედნიერება გსურს ამ ამბის კითხვას დაეხსენო, თორემ
ბოლოს სინანული არას გარგებსო. მე დიდად ვიფიცე არ იქნება თუ
არ მეტყვი მეთქი. შედი ამას ჰკითხე და ის გეტყვისო. შეველ ფრან-
გულად ქუდი მოვიხადე, სალამი მივართვი, არც სალამი ჩამომართვა
და არც შემომხედა,—მივახლოვდი და უთხარ: მზეო უღრუბლოვ,
თხუთმეტიჲ დღის გავსილო მთვარეო, რათა ხარ მოწყენით, რატომ
არას მიბრძანებ, თუ იმ კაცმა შეგცოდა, მე ხომ დანაშაული არა

მაქესრა, მე რად მიწყრებით, მიბრძანეთ და მე გადავასდევინებ იმ კაცსა. არც იმით რამ მიბრძანა. მიველ და უთხარ მღუდლის ცრემლით თუ არას მიბრძანებ, ამ ჩემის ხანჯლით თქვენს წინ თავს მოვიკლავ. მიველ მუხლს მოვეხვიე, ჯნასე ქვა იყო უცხოთ ნასატი, რომ მანამ კაცი ხელით არ გაშინჯავდა ვერ შეატყობდა სურათია თუ ადამიანი, რა ვნახე დიდად გავკვირდი და იმ კაცის მოკვლა დავაპირე, გამოველ და უთხარ: შენ, ქაჯო, ეს რა ეშმაკობა მოგიგონია, გინდა ქვეყანა მოატყუო და ეშმაკის გზაზე წაიყვანო, ამაზე ილოცო და ალოცო ქვეყანა, ახლავე თავს გაგაგდებინებ მეთქი. მან მითხრა აცა გული ყმაწვილობის ქარით სავსე გაქვსო. შენ რომ ჯვარისა მომიკალ მე დავწყევლე, ვიცოდი შენც ჩემს ჭირში გაებმოდი, დაეხსენ რას აქნევ მაგის ამბავსაო, თუ ჩემ რჯულს იქითსაც მე ჭეშმარიტს ღმერთს ვილოცავ და არა ამასაო. დიდად შემეფიცა და მეხვეწა: მებრალები, მამის ერთა ხარო, წადი შენს სახელმწიფოს მიაპატრონეო. მე ხვეწნით დიდათ შევაწუხე, —მითხრა ხმა არ დაიმალე, დაჯე გიამბობო.— მითხრა: მე მისრეთის უფროსის კაცის შვილი ვიყავ, დიდად გამოჩენილი სახელოვანი ვაჭარი შევიქენ, ქვეყანა არ დამრჩა უნახავი; რაც დიდი ვაჭარნი იყვნენ მე გამომყვებოდნენ და მრავალს სარგებლობას იქმოდენ. საფრანგეთისაკენ ავემზადენით, რაც უცხო და ძვირფასი იყო მრავალი ვიყიდეთ, წავედით, მრავალი ვაჭარი გამომყვა, მრავალი დღე ლხინით და შექცევით ვიარეთ. საფრანგეთს მივედით, დიად დიდი და კრცელი ქალაქი იყო, დიდი წყალი ჩამოდიოდა, ერთი უდიდესი ქალაქი წყალს იქით იყო; შევედით, ქარვასლებში ჩამოვხდით, საპალნეები ჩამოვსადეთ და მივალაგეთ. კარზე გამოველ ვნახე ერთი ხოჯა და ერთი ჩადრიანი დედაკაცი მოვიდოდნენ, შევატყვე ხელმწიფის კარიდამ იყვნენ, წინ მივეგებე, მოვიკითხე, სადგომს შევუძღვე. მკითხეს ამ ვაჭართ უფროსი რომელიაო, მე მოვახსენე მე ვარ მეთქი: თუ შენა ხარ ხელმწიფის ქალი გიბრძანებსო, რაც უცხო ძვირფასი ნივთი გქონდეს წამოიღეო. ავდევ ცოტა რამ ფეშქაში იმათ მივართვი, თქვენ წაბრძანდით მეც გიახლებით მეთქი. რა წავიდნენ რაც მე მქონდა და რაც არა სხვათ გამოვართვი ძვირფასი ნივთი და ფარჩა

წავიდე, კარზე მივედ, ხოჯები შემიძღვნენ, შეველ მრავალი ქალის ჯარი ვნახე, რომ სიმრავლემ და სიტურფემ გამაკვირა. შემიყვანეს სადაც ქალი იჯდა, რა დავინახე დიდხან განვცვიფრდი, ალაგიდამ ვეღარ დავიძარ. რა ცნობას მოვეგე თაყვანი ვეც, ქალი ისეფრით მოსილი იყო, მის მშვენება და სიტურფე რაღა მოგახსენო: სურათი ოგით შენის თვალით ნახე, ეს იმას ასრე არ ემზგავსების, ვითა ერთი საწყალი ბიჭი შენ.

დიდხან დაფიქრებული იჯდა, მერე ამოიოხრა და მითხრა: მუსალიმო რა გაქვს მოიტანეო, მივართვი გაშალა და ნახა, მიბრძანა დღეს წადიო, ხვალ მოდი ფასსი წაიღეო. გამობრუნდი შინ მივედ, იმ ღამეს სულ იმ ქალის მშვენიერებას ვკვირობდი, ამისთანა მნათობი ანგელოზი თუა, თორემ ადამიანის შვილი არ იქნება მეთქი. რა გათენდა ხელმწიფის კარზე მივედ, ხოჯამ მითხრა აქამდინ სად იყავ, ხელმწიფის შვილი მოგელოდაო; შეველ როგორც მენახა ისე იყო, მიბრძანა მოდი მუსალიმო დაჯექო. დავჯექ, შარბათი და ხილი მოატანინა, მიბოძა და მიბრძანა: სულ შენი სათავნო რასა იქსო, მოგახსენე ათი ათასი თუმანი. მიბრძანა თუ კარგი ვაჭრობა მოგივიდეს რა დაგიჯდებაო, მე მოგახსენე თუ კარგა გავიდეს ხუთი ათასი თუმანი სარგებლობა მექნება; მიბრძანა ეს შენი ფასიც რა ფასისა არისო, მე მოგახსენე მაგისი ფასი თქვენის ქორის სისაცვლო იყოს მეთქი, თქვენი წყალობის მეტი სხვა არა მინდარა მეთქი. ეგ როგორ იქნებაო, მიასხლეს არიშნა. წავიდა, ერთი ქისა თეთრი მოიტანა, შვიდი ათასი თუმანიაო. ეს, რაც სარგებლობას იქმოდი, ის თეთრი მომიციაო, ერთის სამსახურს დაგდებ — თუ შეგიძლიან ახლავე ბორობა დამიდგეო. მოგახსენე თქვენ სამსახურზე თავ დადებულ ვარ და თქვენთვის სიკვდილი ლხინათ მიმაჩნია მეთქი. მიბრძანა თუ მართალს ამბობ, ახლავ წადი და ამხანაგი წყალს იქით გაგზავნე, შენ თავ კაცად აქ მოდი, სადა გაგზავნო და გაგატანო რამე, შენ იცი და შენმა ღმერთმა, თუ არსად გამცემო. შევიტყე თქვენს საიდუმლოს როგორ ვეტყვი ვისმე მეთქი. წაველ ჩემ ამხანაგთ უთხარ: აქ დიდი მძლავრი ხელმწიფეა, მიზეზი არა მოგვიგონოსრა და არ წაგვასხლო-

ნოს, წყალს იქით რომ ზის, დიაღ მოწყალე ხელმწიფეს ამბობენ, იქ წავიდეთ მეთქი. დამიჯერეს, იმავ წამს ბარგი ხომალდში ჩააწყეს და წავიდნენ. მე წაველ, ჩემი თეთრი დარჩომილია ხელმწიფის ქალთან, გამოვართმევ და მეც მალე მოგეწევით მეთქი. ისინი გავისტუმრე, მე წამოველ ქალთან, შეველ, მარტო იჯდა. მიბძანა: თუ შეგიძლიან და არ გამიმტყუნდები, ჩემს დარდს გეტყვიო, თუ არა ღმერთმა გიშველოს ისევ წადიო. მე მოვახსენე: რასაც მიბრძანებ, თუნდ ჯოჯოხეთში გამგზავნო, თქვენი დაურჩებს არ შემიძლიან მეთქი. მიბძანა აბა თუ მართალს ამბობო: ორი წიგნი მომცა და ერთი თავისი ბეჭედი, იმ ქალაქს რომ გასცილდები ერთი ბაღია და ბაღის კარზე ერთი კაცი ზის, სახელად ხოსრო ჰქვიან, იმასთან მიდი, ეს ბეჭედი მიე, შენ გამობრუნდი, ვინც იმან გითხრას, ეს წიგნი იმას მიუტანე და იმისი ამბავი შემატყობინეო. შევჯექ ცხენზე და წაველ.

ერთი დიდი თვალ უწდომელი ბაღი დამიხვდა, კარზე შეყრილობა, იყო, ერთი კაცი ოქროს სელზე იჯდა, ვიფიქრე უცილოდ ეს იქნება მეთქი. ცხენიდამ ჩამოვხე, სალამი მივართვი, — მიბრძანა უცხოის ვინმე გვხარო, მე მოვახსენე ვაჭარი ვარ. ერთი უცხო ბეჭედი მაქვს, შეყრილობა ვნახე, ეგება იყიდოს ვინმე მეთქი. მიბრძანა მიჩვენეო. მივართვი. გაკვირვებულმა წყრომით შემომხედა და არა მიბრძანერა. მცირე ხანს უკან ხალხი წავიდა, მე ვიდეგ, ხელი მომკიდა, ერთს კუთხეში მიმიყვანა და მკითხა: ვინ მოგცა, ან ამისი პატრონი რით იცან. ამ ამბისა შენ რა იცოდიო. მე შევფიცე, ამის მეტი არა ვიცირა: ხელმწიფის ქალმა მომცა ერთი ეგა და ორი წიგნი, შენთან გამომგზავნა, ვინც იმან გითხრას იმას მიეციო. მიბრძანა: თუ იმის გამოგზავნილი ხარ, შენ მაგ ბაღში ვინც დაგხვდეს იმას მიეო. შეველ სულიერი ვერა ვნახე, ფრინველთ გარდა, ერთ ალაგს ვნახე ერთი დიდი ფოლადის ყაფაზი ეკიდა, შიგ ერთი გმირის მზგავსი ახალგაზდა უმაწვილი კაცი იჯდა, მუხლზედ თავი ედვა და ტიროდა. მე იმის მზგავსი მშვენიერი ფალავნური უმაწვილი კაცი არ მინახავს, იმისმა სიტურფემ იმ ქალის მშვენიერება დამავიწყა, წავდეგ სალამი მივე. რა შემომხედა მიბრძანა: ძმაო თავი რათ გამოგიმეტე-

ბია, ამ ღვთისა და კაცისაგან გაწირულთან როგორ შემოსვლო. მე ის წიგნები მივართვი და ქალის მაგიერ მოკითხვა მოვახსენე და იმის შეწუხებისათვის დიდი მწუხარება მოვახსენე. წიგნი წაიკითხა, მრავალი იტირა, მეტი ტირილით დაბნდა, უსულოს გვანდა, წყალი დავასხი, ძლივ მოვაბრუნე; ის ყმაწვილი ტიროდა, მისი სიბრალულით მეც მრავალი ვიტირე. მან ყმაწვილმა მიბრძანა: ძმაო, წადი და ასე მოახსენე ჩემის გულისათვის ნუ სწუხარ, ჩემი საქმე წასული ღვთისაგან გამომეტებული და კაცთაგან მოძულებული. უბედურსა დავრჩით, ღმერთს ჩემზე ხელი აუღია, რომ ჩემი მამაცობა და ძალა ვერ მავისმარე, ჩემის მორჩენის იმედი, და იყავ მშვიდობითო, თან ცხელის ცრემლით ტიროდა. ანაზდად ლაშქრის ხმა მომესმა, რომ იმ ბაღში მოდიოდა, შევხედე ხმლის ელვა დავინახე, მრავალი კაცნი ხმალ ამოღებულნი მორბოდნენ, ერთი საზარელი დიდი შავი კაცი შემოვიდა, ხელთ შეშოვარი ლახტი ეჭირა, რა დამინახა მომვარდა, მე შიშით ალაგიდამ ვერ დავიძარ, მოვიდა თავში ლახტი დამკრა, ასე დავბნდი მკვდარივით დავეცი, აღარა გავიგე რა ქნეს. რა სულად მოველ ორ კაცს ზურგთ ვეკიდე, ერთმანერთს ეუბნებოდნენ სწრაფად იარე დავმარხოთო, ხელმწიფის შვილი რომ თავის ბიძაშვილს მოჰკლავს, უყუროთ. მე დავუძახე: თუ ღმერთი გრწამსთ მკვდარი ვარ თუ ცოცხალი. გაეცინათ და მითხრეს: თუ ცოცხალი არა ხარ როგორ ლაპარაკობ. მე კიდევ ვკითხე რა ამბავი იყო, რათ მომკლეს, ხელმწიფის შვილი ვინ არის და ან მისი ბიძაშვილი, ან რათა ჰკლავს. ეს ამბავი შენგან მოხდა და ჩვენ ამბავსა გვკითხავო. მე შევეფიცე არა ვიცი რა მეთქი. მათ მითხრეს: შენ რომ წიგნი გაგატანა ის ხელმწიფის შვილიაო და ყაფაზაში რომ ვაჟი კაცი იჯდა, ის იმის ბიძაშვილიაო; შენ რომ წიგნი მიგიტანია, ვისაც ხელმწიფისათვის მოუხსენებია და ქალი დაუბეზღებია, ფიცხლავ ჯარი მოგისიათ, შენ ისე მკვდრის პირობაზე დაგაგდეს; ის ყმაწვილი წაიყვანეს. ქალს მამისათვის პირობა მიუცია ის ვაჟი ამაღამ ქალმა უნდა მოკლას. რა შევიტყვე შევეხვეწე მეც თან წამიყვანეთ მაყურებინეთ მეთქი. წაველით, მეფის ჰარამში მივედით, ერთ ხეს ქვეშ დავსხედით და უყურებდით. ხელმწიფე ტახტზე იჯდა მრა-

კალი დიდებულნი თავს ადგნენ, მრავალი სანთლები ენთო, მცირე ხანს უკან მრავლის ჯარით მოვიდა, მამას გვერთ დაუჯდა, წავიდ-ნენ ის ყმაწვილი ყაფაზიდამ გამოიყვანეს, ზაფრანის ფერად შექნი-ლიყო, დიდად დაღონებულიყო, პირ და პირ ხეზე მიაკრეს, ნაზირ-მა ხმალი ამოიღო და იმ ქალს მისცა. ადგა ქალი ხლმით შეუტია, ხმალი შორს გასტყორცნა და იმ ყმაწვილს მუხლზე მოეხვია და უთხრა: ეს ამიტომ მოვიგონე, რომ შენი ნახვა მღირსებოდა და შენ-დობა მეთხოვნა, ვიცი ეს ულმერთო კაცი მოუკლავს არ გაგიშვებს და ჩემის მიზეზით ბევრი ავი საქმე მოხდებაო. ალალი მიყავ რაც შეგაწუხეო. ასეთი ტირილი და ვაება შეიქმნა, რომ ქვასაც ტირილი მოუვიდოდა ამათი საცოდაობით. ხელმწიფემ ვეზირს უბრძანა: ეგ გინდოდათ, რომ ამ უნამუსო ქალმა ასე ქვეყანაში შეგარცხვინაო, წადი გამოათრიეო. მივიდნენ, ძლივ მოაშორეს, ვეზირმა ხელმწიფის შიშით ხმალი აიღო და წავიდა, ყმაწვილი უნდა მოეკლა, ანაზდათ ერთი სიდამ ისარი გამოვარდა და ვეზირი მოკვდა. წვიმასავით ის-რის სროლა შეიქმნა, ვინაღამ ხელმწიფეც მოკლეს, ერთი არეულო-ბა მოხდა, მრავალი კაცი დაიხოცა, ყველანი დაიფანტნენ, მე ფეხზე დგომის ღონე აღარა მქონდა, შიშით დავბნდი, მკვდარივით ვეგდე. ხელმწიფის ქალს გამოეკლო, მე ასე უსულო მნახა — შევებრალე, უბ-რძანა წაიღეთ ეგ საწყალი დამარხეთო. მოვიდნენ, მნახეს კიდევ სუ-ლი მედგა, მოახსენეს კიდევ ცოცხალიაო როგორ დავმარხოთო. ია-მა და უბრძანა: წაიყვანეთ თავის სადგომში დააწვინეთ, ექიმი დააყე-ნეთო, მაგის ცოდოში არ ჩავდგეო.

მე არც ერთის გრძნობა არა მქონდა, უგონოდ ვეგდე, როდე-საც მოვბრუნდი, ვნახე ჩემ სახლში ვიწექ, ექიმი მწამლობდა, დიდად გავოცდი და ვერას მიმხვდარვიყავ თუ რა მოხდა: ჩამივარდა სევდა და ვიყავ განცვიფრებული, ქარვანი აიყარა — წავედით. მე სახლიც მომმავდა და ქონებაც; ამ ალაგს რომ მოვედით მომეწონა, მხატვა-რი მოვიყვანე, ეს სურათი დავახატვინე, ერთი თან შეზდილი ყული მყვანდა, ჩემი საცხოვრებელი იმას მივე და რაც ერთის კაცს ცხოვრე-ბას მოუნდება მე დავიჭირე, — ვარ აქ მასაქეთ და ამ სურათის შე-

ხედვით ვცხოვრობ. წელიწადში ერთხელ ჩემი ყული მოვა საზრდოს და ტან საცმელს მომიტანს და წავა. რა ბერმა კაცმა ეს ამბავი დაასრულა, ჩამივარდა გულში სევდა და მრავალს ვეხვეწე გზა მასწავლე წავალ მეთქი. ბერმა კაცმა მითხრა ნუ გინდა შენი თავის დალუპვაო, იქ ვერას გახდებიო. ხან ხელს ვაკოცე, ხან მუხლს ვეხვივე, დიაღ შევებრალე.—მითხრა: ხომ არ დაიშალე, სიტყვით განიშნებო, თორემ შენც ხედავ ჩემს მეტი არავინა მყავს, რომ გზა გასწავლოსო; სიტყვით ასე მანიშნა, მეგონა სწორეთ მინახავს მეთქი. ჩემი ცხენი და სახელმწიფო ტანისამოსი იმ კაცთან დავაგდე, ერთი გლახის ჩოხა ჩავიცვი, გამოვესალმე და წაველ. მრავალი დღე და ღამე მოუსვენებლად, ქარისაგან უმალედ ვიარე, რაც გზაზე ჭირი გადამხდა რო მოგახსენოთ შეგაწუხებთ. მექვსე თვეს საფრანგეთს ჩაველი, ერთი წელიწადი იქ ვიყავ, არა კაცმა არ გამიგოთხა, არა სახლში შემიშვა ვინმე. რასაც ქუჩაში ან ნასოხარში დამიღამდის, იქ დავწვებოდი, დილაზე ავდგებოდი, ბაზარში პურს ვითხოვდი, ყმაწვილები ქვას დამიშენდნენ და დამიწყებდნენ ლანძღვას, რა შეუტევდი დაიძახებდნენ გიჟი კაცი მოვიდაო, შვილებს მამისევდნენ, კაცები ძაღლებივით გამომიდგებოდნენ. დიდად შევწუხდი და ჩემ თავს ვგმობდი წამოსვლისათვის. ერთს დღეს ბაზარში ჩაველ, ერთი ყვირილი და კიჟინა შეიქნა, ასეთი რომ მეორედ მოსვლას გვანდა. კაცით დედაკაცამდის მორბოდნენ და იძახდნენ გიჟი მოვიდაო, გზები გაუშვეს, სულ ბაზარში და სახლებში შეცვივდნენ. ვიფიქრე წავალ და ვნახავ მეთქი. ვნახე: ასე დიდი კაცი მოდიოდა, რომ იმისი სიდიდე გამიკვირდა, ხელში ლასტი ეჭირა, საგდებელი სარტყელში ჩამოება, ხმალი ერტყა, სპილოსავით პირთ პერეული მოსვლოდა, თვალი სისხლის ტბას უგვანდა, უკან ოთხს კარგათ მორთულ ყმაწვილებს საკაცე ეჭირათ, წინ ის კაცი მოუძღოდა. რა ხოხრო ბაზარში მოვიდა დააგვევინა, ლასტი მიწაზე დადვა, საკაცე წინ დაიდგა, ის ყმაწვილები უკან დადგნენ, მკვდარ წინ დაიჩოქა, თავში ცემით იტირა და მოსთქვამდა საბრალოს ხმით. მისის სიბრალულით ყოველი სული ტიროდა, თავი სულ დაიმტვრია საკაცეზე, სისხლში მოისვა-

რა. მე ამდენი ვიტირე დავბნდი. რო მოვბრუნდი ადგა ის კაცი, ლასტი აიღო, ყმაწვილებმა საკაცე აიღეს წავიდნენ, მე უკან გავყევი, მიმასხდნენ დაბრუნდი, მოგკლავსო. არ დავიშალე სირბილით მივსდევდი, ერთი კაცი მომეწია ნუ მისდევ, ეგ გიჟია, მოგკლავსო, რათ გამოგიმეტებია თავი სასიკვდილოთაო. მე ასე თავ მომაგებული ვიყავ სიკვდილი შენატრებოდა; რო შევიტყე კაცს ჰკლავდა უფრო გამოუდექ, ეგები მომკლას და მოვრჩე ამდენ სატანჯველსა მეთქი. ერთი დიდი რკინის კარი გააღეს, შევიდნენ და საკაცეც შეიტანეს, კარი მოხურეს. მე დავრჩი კარზე, მცირე ხანს უკან გააღო ერთმა იმ ყმაწვილებისაგანმა და მითხრა: კაი შენი ბრალი, რა გიყო ხარო, რათ მოიკალ თავი, მოდი გეძახის. შეველ, დიალ დიდი ხელმწიფური სახლი იყო, ტახტზე ის საკაცე ედგა, დაბლა ის კაცი იჯდა, ლასტი გვერთ ედგა, თავი დაეღუნა, ზღვის მსგავსად ცრემლის გუბე კალთაში ედგა და გულ ამოსკვნით ტიროდა. დიდხან ვიდექ, რა შემომხედა სალამი მივეც, აიღო ლასტი დასაკრავათ მომიქნია, მიველ და მუხლს მოვეხვიე: ღვთის მადლს მომკალ, მე იმისთვის გამოვიდექ მომკალ და ამდენ მწუხარებას დამხსენ მეთქი. რა ისე თავ გამომეტებული მნახა დიალ შეებრალე, ლასტი დააგდო. ერთი ასეთი სილა შემომკრა წავიქეც, ერთი საათი დაბნეული ვეგდე. რა მოვბრუნდი ვნახე ჩემი თავი კალთაში ედვა. ავდექ და მოკრძალებით დავდექ, მიბრძანა ვინა ხარო, აგრე სასიკვდილოდ თავი არ გეწყალვისო, დიალ შემებრალეო, დაჯე მიამბე შენი ამბავიო, თუ რომ შემიძლიან გიშველიო. მიველ, რაც თავს გარდამხდომოდა ყველა უამბე, დიდხან არა თქვა რა,—ამოიოხრა და თქვა: იმ ღვთისაგან დეწყევლილის თაობაზე რამდენი კაი ვაჟკაცი მომკვდარაო. მასუკან თავისი ამბავი მიამბო: ამ მკვდარს რომ ხედავ, ჩემი ხელმწიფის შვილია და მე ამისი ლალის შვილი ვარო. ამას რომ მამა მოუკვდა, ეს ყმაწვილი ობოლი დარჩა. რა თავისი სიკვდილის დღე შეიტყო, ხელმწიფემ თავის ძმას დაუძახა და უთხრა: მე ხომ ვკვდებიო და შვილი პატარა მრჩება, მინდოდა ჩემსავე სიცოცხლეში შენი ქალი ჩემი შვილისათვის მომეცა, ხელმწიფეთ დამესვა და ჩვენ ღვთის სამსახურს შევდგომო-

დი თო, არ დამაცალა სოფელმა. შენ იცი როგორც ჩემ შვილს თა
ლობას არ დააჩნევ, როცა ხელმწიფობა შეიძლოს შენი ქალი შერთე,
ქორწილი უყავ, სახელმწიფო ამას დაულოცე და შენ ღვთისაგან შე-
ცოდების მოტევება ითხოვეო. რა ეს დაასრულა მიიცვალა. ძმა ბა-
ტონად დაჯდა, ეს ყმაწვილი დიდად უყვარდა ხელმწიფეს, ცოლი
მოუკვდა. ამ ყმაწვილის მამას ერთი ლამაზი ხასა ჰყვანდა—ის შეირ-
თო. ის ქაჯი დედაკაცი ამ ყმაწვილის დედისაგან გულნაკლული იყო,
ამ ყმაწვილზე ჯავრი იყარა, აბეზღებდა და აძულებდა თავის ბიძას.
თურმე ეტყოდა, თუ შენთვის კარგი გინდა ამას ნუ აცოცხლებო.
თორემ არ მოგასვენებსო. ამდენს შეადგა ის წყეული დედაკაცი ბიძას,
გული გამოუცვალა. რა ეს ყმაწვილი მოიზარდა, ვფიქრობდით ჩვენი
მემკვიდრის შვილი დაგვიჯდება ხელმწიფეთაო. ვეზირიც მტრობდა,
მივიდა და იმანაც ხელმწიფესთან დააბეზღა. ხელმწიფემ ბრძანა, რო-
გორ დავკარგო, რომ ჯარმა არ შეიტყოსო, ვეზირმა მოახსენა კარ-
ში ნუ გაუშვებ გიჟობა მოუგონოთო. ექიმი დააყენეს, დაადგეს ხმა,
გაგიჟდაო, დააბეს, ასმევდნენ წამალსა, ექიმი დაარიგეს. მოვიდა ექი-
მი, ქვეყანაში მოახსენა: უფრო გაგიჟდებაო, სანამ დაჭკვიანდეს ერთი
რკინის ყაფაზა გააკეთეთ, იმაში ჩასვით და ბაღში დაჰკიდეთო. წაი-
ყვანეს ის ყმაწვილი, ყაფაზაში ჩასვეს, ბაღში დაჰკიდეს, დაუწყეს
წამლის სმევა. ის ქალი რომ თავის ბიძისა დანიშნული იყო, სხვა
აღარ ითხოვა; ის ყმაწვილი ისე სატანჯველში იყო, ქალი დიდად
უყვარდა. იმ კაცის ხელით მისწერა ქალმა: სადამდინ იქნებიო, აქ
მე ჯარს შევყრი, ერთს დღეს გამოდი და ხელმწიფეთ დაჯდეო, ამდე-
ნი შენზე უსამართლობა მეშინიან ღმერთმა მე არა მკითხოსო. თურ-
მე ერთმა წყეულმა მოახლემ გასცა, წავიდა ხელმწიფეს მოახსენა,
ყმაწვილი გამოიყვანეს, სიკვდილი ვერ გაუბედეს, ჯარის შიში ჰქონ-
დათ. ვეზირი მივიდა ქალს უთხრა: შენისთანა ხელმწიფის შვილს
როგორ ეკადრება, რომ ქვეყანა შენ გძრახავსო, ხელმწიფის
შვილი თავის ბიძაშვილს ჰყვარობსო, თუ შენი თავისთვის კარგი
გინდა ამაღამ ქვეყანაში გამოდი, ის ყმაწვილი შენის ხელით
მოკალ, რომ ავმა ენამ ვეღარა თქვასრა. ქალმა დიდხანს ხმა არ-
ამოიღო და მასუკან ნება მისცა. მივიდა ვეზირი ხელმწიფეს ასა-

რა, იმ ღამეს გამოიყვანეს და ისე ქმნა იმ ქალმა, როგორც გაგიგონია. ვეზირს ისარი მე ვესროლე, მრავალი კაცი მოვკალ, ხელმწიფე ცოტად გადაურჩა სიკვდილსა, მერე ცხადივ კი ვერ მოკლეს, მალვით წამლით მოკლეს. მას აქეთ მაქვს ეს ცხედარი, მრავალ კაცსა და დედაკაცს მოვკლავ. უწინ რაზმით შევებმოდი, ხელმწიფემ და იმისმა ჯარმა ვერ მიდგნეს. რა აღარ მებრძოლეს ვინც დედაკაცი ან კაცი დამხვდება მოვკლავ, ამ ცხედარს ყველას ვაჩვენებ და მისი სიკვდილის დღეს გაყასლებ, მეც ვიტირებ და ამ ყოფით ვარ, რადგან ჩემი ვერც ხელმწიფის შვილმა ხელმწიფობით და ვერც იმ ქალით გაიხარა, მეც იმაზე არავის გავახარებ. ხვალ ამ ხელმწიფის შვილს იმ ქალთან წავიღებ; საკაცეს ქვეშ შენ შეუდეგ მალვით გაშინჯე, მე შენს ამბავს უამბობ, მაგრამ ის ქალი ასეთი მშვენიერია, რომ პირველ ნახვაზე კაცი გულ შემოყურელი ვერ მორჩება, შენ შორიდამ თვალი შეახვიე, რომ გული არ შეგიღონდესო. დიალ მიამა და მუხლს მოვეხვიე, შენს მეტი ნუგეში არა მყავს. რასაც სკგეთეს მიზამ ღმერთი დაგიმადლებს მეთქი. იმ დღეს აბანოში გამგზავნა, უცხოს ტანისამოსით მომრთო, თავი მომაპარსვინა, მეორეს დღეს საკაცეს ქვეშ შევდეგ, როგორც იმ დღეს მენახა ისე წავედით, ქალაქი აირია, გავიარეთ ქუჩები, ერთ ბაღში მივედით, საკაცე იქ დავდგით; მე წავედი ერთ კუთხეში დავიმალე, იმ კაცმა დაიწყო თავში ცემა და ტირილი, ასეთის საბრალოს ხმით მოსთქვამდა ქვაც ატირდებოდა. მეორეს ხანს უკან ქალის ჯარი გამოვიდა, ის ქალი ისეთით მოსილი იყო, ხელსახოცი ეჭირა და გულ ამოსუჩვნით ტიროდა, მაგრამ იმისი მშვენიერება კაცისაგან არ გამოითქმის, გული შემიბნდა, დიდხანს უსულო ვეგდე. რა სულად მოვედე ტირილი გაეთავებინა, ჩემს ამბავს უამბობდა, ქალი დიდის ხმით ტიროდა, ტირილი გაათავა რაღაცა ბრძანა, თავზე ხელი დაიდვა და წავიდა, ჩვენ საკაცე ავწიეთ და შინ მოვედით. იმ კაცმა მითხრა გესმოდა რა თქვაო, მე მოვახსენე არა გამიგონიარა მეთქი. მიბრძანა: თუ ის ქალი ჩვენს ნებაზე არ იყოს აქამდინ არ ვაცოცხლებდი, ერთი რომ ჩვენ ნებაზეა, მეორე ესა მინდა ამ ქვეყნიდამ დაიკარგოს. შენი ამბავი მოვახსენე, ასე მიბრძანა: თუნდ იმავ წამს მომკლას არას ვინაღვლიო, ოღონდ იმ

ურჯულო მამა ჩემს მოკრჩეო. ამაღამ კარს გაგატან, აქ მოიყვანე ნუ გეშინიან, მანამ აქ იქნები ნურას გეფიქრება რა, როცა წაიყვან ასე გაგისტუმრებ კერას შემოგივიდნენ, მშვიდობით წასვიდეო. მე მუხლს გავატყე, ღმერთი თუ გადგისდის შენს სიკეთესა, თორემ მე არ შემი-ძლიან მეთქი. რა დაღამდა ერთი ყური გამატანა და უთხრა: ივანსა-ღამით წადით, გზა არ აგერიოს, იმავ ბაღში მოუცადე ქალი გამოვა და აქ მოიყვანეთო. წავედით, რა იმ ბაღის სიახლოვეს ქუჩაში შე-ვედით, ის ღმერთო გამწყრალი კაცი სხვა ქუჩაში შებრუნდა და მით-ხრა: მმაო ქუჩას მიჰყევ, იმ ბაღში მისვალ, ქალი წამოიყვანე, მე აქ-ვე დაგხვდებით, ცოტა რამ საქმე მაქვსო. წაველ იმ ბაღში მიველ, მცირე ხანს უკან ქალი გამოვიდა, მიბრძანა ნულარა სდგეხარ წავიდე-თო. წავედით, ჩემის უბედურობით მეტის სისწრაფით გზა ამერია, სხვას გზაზე წაველ, დიდ ბაზარში შეველ, გამითენდა, მწუხარებით თითქმის შევიშალე; ქალმა მიბრძანა აგერ გათენდა, ის ოხერი შენი სახლი სად არისო. მე მოვახსენე აგერ მივალთ მეთქი. ძალიან გა-გვითენდა. მიბრძანა რა ღმერთი გაუწყრა რით ვერ მივედით, შეგვი-ტყობენ და დაგვიჭერენო; მეტი საჩქარით სან აქეთ გავიქე სან იქით ქუჩებში, მაგრამ გზა ვერ ვიპოვნე; ერთ ქუჩაში ერთი დაკეტილი კა-რი დაგვხვდა, გავშტერდი და გლახასად წაველ, ქალმა შემომძახა რას გაშტერებულხარო. მე მოვახსენე წყრომას მემართლები, მაგრამ ეს ჩემი სახლია, ყული სადღაც წასულა, კარი დაუკეტია მეთქი. მიბრ-ძანა მალე გააღეო, არავინ შეგვიტყოსო; ვეწვალე და ვერ გავაღე, მოვიდა თავში ჩამკრა, კაი შენი ბრალი რა ავი ყოფილხარო. ქვა აი-ღო, კლიტე გატეხა, შევედით, მაგრამ შიშით სული მიმდიოდა; ახ-ლა ამის პატრონი მოვა, ნეტარ ვინ არის პასუხის გამცემი მეთქი. ვნახე სასახლე და ბაღი სახელმწიფოს გვანდა, ქალს დიდად მოეწო-ნა და იამა, ავიდა თალარში, უკან მე მივდევდი, მაგრამ ფეხები აღარ მიმდევდა შიშით, რა თალარი და იმის მორთულობა ნახა უფ-რო იამა, შევედით ერთი პატარა სახლი იყო მოწყობილი ერთი სუფ-რით, საჭმელი და მინებით ღვინო ეწყო, შემომსხდა და გაიცინა: შენს ყულს ნულარ უწყრებიო, თუ თითონ წასულა, სახლი გარიგე-ბული დაუგდია, თალარ ქვეშ გავიდა და მიბრძანა ის სუფრა და მი-

ნა აქ გამოიტანეო; შეველ გამოვიტანე მივართვი, ვნახეთ კარგი შემწვარი ქათამი, კაი თეთრი პურები ესვია. დავსხედით ჭამა დავიწყეთ, ორიოდ თასი რო დავლიეთ, ერთი დედაკაცი მოვიდა, დაგვლოცა და გვითხრა: ჩემი ქალი ორსულად არის, დღეს ხუთი დღეა მუცელი სტკივა, შემწვარი ქათამი მასწავლეს, ვერსად ვიშოვნე, თქვენის მადლისათვის ერთი ქათამი მიბოძეთო. დიდ შეგვებრალა ერთ ლავაშში ქათამი წაუხვიეთ, ქალმა თავისი ლეჩაქი უბოძა და უბრძანა მოხვიდოდე დიდ მარტოკა ვარო; დედა კაცი წავიდა, ქალმა დაიძახა, კარისაკენ თვალი მეჭირა, შევხედე ერთი უცხო ვაჟი კაცი ცხენზე იჯდა, თავზე შალი ეხვია, წელზე ხმალი ეკრა, ლახტი წელში გაერჭო, საგდებელი გვერდზე ეკიდა: ხელის შუბი ეჭირა, ერთი ჯეირანი ცხენის ტახტაზე ეკრა; პური რომ მივეცით ის დედაკაცი დაჭერილი მოჰყვანდა. რა დავინახე სულის ამოსვლას აღარა მიკლდარა, ჩავირბინე იმ ბაღში. ერთ ხეს ქვეშ მოვეფარე და უყურე, ცხენისაგან ჩამოხდა, ის დედაკაცი მიწაზე დააწვინა, ერთს ფეხზე შუბი დასცა და მიწაზე დაამაგრა, მეორე ფეხს ასწია შუა გაგლიჯა. იმ დედაკაცზე რა ისე გაჯავრებული ვნახე, ჩემ თავზე ხელი ავიღე, ამას ეს უყო ერთი პურის წაღებისათვის, ჩვენ რას გვითილს დაგვაყრის მეთქი: დავიწყე მკვდრის ლოცვის კითხვა, ასე ვკრთოდი ჩემი კანკალი იმ ვაცმა გაიგონა — დამიძახა: აქ მოდი ნუ გეშინიანო, არ მოგკლავო. რა იმედი მომეცა მივედ მოვეხვიე, ფეხზე ვკოცნიდი — არ მიმიშვა, იმან პირზე მაკოცა; მკითხა ჩემი ვინაობა, მე ყველა წვრილად უამბე ჩემი თავ გარდასავალი. მითხრა კარგი ჭკუა მოგიგონია აქ მოსულხარ, მაგრამ კარი ღია რათ გაუშვი. მერე მკითხა ამ დედაკაცს იცნობდიო, მოვახსენე ჩვენ რომ პური მივეცით ის არის მეთქი. მე იმ ყმაწვილის მამის სპასალარი ვიყავ; რა ის ჩემი ხელმწიფის შვილი მოკლეს მას უკან ყაზახობა დავიწყე, სადაც კაცი, დედაკაცი ან ყმაწვილი შემხვდება დავხოც. ქვეყანა შევაჯერე. ერთს ღამეს სიზმარში ჩვენი წინასწარმეტყველი ვნახე, იმავ სიზმარში აღთქმა დაუდევ. მას აქეთ არც ხელმწიფესთან ვიარები და არცა ვინ მომიკლავს, აქა ვზივარ, ყოველ დღე წავალ ვინადირებ, საღამოს მოვალ და შევექცევი, სახელად ბაზად ხანი არამც [illegible]. დღეს ( დიო-

ბიდამ რო მოვკედი ქუჩაში მოვდიოდი, გავიგონე ქალის დაკარგვა; ჩემის სახლის სიახლოვეს ეს დედაკაცი მოდიოდა და იძახდა: მწვადს რას კაქნევ გადაკაგდე, ეს ლეჩაქი ხელმწიფის საჩვენებლად მეყოფოდა. ვიფიქრე უთუოთ ეს დედაკაცი ჩემის სახლიდამ მოვა, ხელმწიფის მზვერალი იქნება მეთქი; მან მითხრა შენი ჭირიმე მეჩქარება, ქალი ავაია მყავს მივეშურებით. მე უთხარ მოდი მეც მწვადს მოგცემ მეთქი,—არ წამომყვა, მიველ დავაჭირე, მართალი გამოქმევინე, რო ხელმწიფის მზვერალი იყო, თქვენ ესახეთ და ხელმწიფესთან შესატყობად მიდიოდა, თუ არ მოვწეოდი საქმე გაგიჭირდებოდათ. მე მადლობა მოვახსენე, მან მიბრძანა წადი ქალთან, არ უთხრა რო შენი მსახური არ ვიყო, ბატონ-ყმურად მოიქეცო. წაველ დავჯექ. იმ კაცმა ჯეირანი გაატყავა, სინზე დადვა და ჩვენ წინ მოგვართვა, თითონ მონურად თავს დაგვადგა; ქალმა გაიღვიძა და გაუწყრა: ამ შენმა ბატონმა რომ შინ დაგვაგდო სად წახველო. მე სირცხვილის ოფლმა დამასხა. იმ კაცმა მოახსენა: შენი ჭირიმე, ჩემი ბატონი რომ წამობძანდა თქვენ მოსაყვანათა მე ვიფიქრე ბატონი ქალბატონს მოიყვანს და ფეშქაში არა მაქვსრა, რომ მივართო, წავალ ვინადირებ და ხელ ცარიელი არა ვნახავ მეთქი. თქვენ მალე მობძანებულიყავით, მე ნადირობაში დამიგვიანდა, დანაშაულზე თავი დამიდვია. გაეცინა ქალმა და მიბძანა: რადგანაც ჩემი გულისათვის წასულა და კარგად გვემსახურა მიუტევეო. მოვიდა ორთავ მუხლს გვაკოცა; წავიდა კარგი ღვინო და კარგი მზა მოიტანა, კაი ლხინი გვაჩვენა; ქალმა თავის ხელით აავსო თასი, სპასალარს მისცა დალივა, მუხლს აკოცა და იქავ დადგა. ვიყავით ოთხი თვე დიდის ლხინით და შექცევითა. ერთ დღეს სპასალარმა საიდუმლოთ მითხრა: ღმერთმან იცის შენ ყამში რომ აქ იყო არ შეგაწუხებო, მაგრამ უმკვიდროდ დარჩებიო. მე მოვახსენე შენს სიკეთეს ღმერთი თუ გადაიხდის, თორემ მე არ შემომლიან მეთქი, როგორაც ბრძანებ შენი ნება იქმნება მეთქი. მან მითხრა: ჩემგან კი ნუ გეწყინება და ნურც იფიქრებ თქვენა აქ ყოფნა მამწყენოდეს, მაგრამ სჯობს საქმეს დაეშურო, მეც თან გიახლები' გზის ფიქრი ნუ გაქვსო. მე დიდად დავემადლე, ქალს მოვახსენე იმასაც დიდად იამა, საგძალი მოგვიმზადა, სამი ცხენი მოიყვანა, რაც

საუკეთესო იყო მე მაჩუქა, საქალო ქალს. სამი ხურჯინი გავაკეთეთ, სამსავ ცხენს ავკიდეთ, შევსხედით და მამლის ყივილისას გამოვედით, ციხის კარზე მივედით. რა ქალი დაკარგული იყო ციხის კარს არ აღებდნენ, სპასალარმა დაუძახა კარი გაგვიღეთო, მათ მოახსენეს თქვენ ვინა ხართ, რათ გაგიღოთო. სპასალარმა შეუძახა: თავლათვიანებო, ვერ იცნობთ თქვენი ბატონის სიძეს და ქალი მოჰყავს თქვენი ხელმწიფისა, წადით და იმ შერცხვენილ თქვენს ბატონს უთხარით გამოვიდეს და დაგვიწიროს თუ კაი კაცია. ის რომ ისე ამბობდა მე წნორის ფურცელსავით მათრთოლებდა, გულში ვფიქრობდი ეს კაცი უთუოთ დაგვახოცინებს მეთქი; კარი გაუღეს გამოვედით, ხმა ვეღარ გასცეს. რა მცირე ხანი ვიარეთ მოვიხედეთ უკან საშინელი ჯარი მოგვდევდა, ერთი პატარა გორა იყო ჩვენ იქ ავვასხა, თავის ხურჯინიც ჩვენთან დადო, ცხენი საომრად მოკაზმა; ჩვენ გვითხრა თქვენ თამაშა ნახეთო. შევიდა ფიცხლად, შეუტია გააქცია, ასე დაფანტა, რომ რისხვა ღვთისა ამათზე მოიწია. დიდ ალაგს მიზდია, დახოცა, მესამედი ვეღარ წავიდნენ; მოვიდა სიცილით და ბოდიში მოიხადა შეგაწუხეთო, ჩვენ მადლი მოვახსენეთ, გამარჯვება მიულოცეთ, ხელის სიფიცხე და მუხლის სიმაღლე უქეთ, შევსხედით და წავედით. მრავალი კარგი ალაგი ლხინით და შექცევით ვიარეთ. ჩემის მამის ქვეყანას მივედი, მოგვეგებნენ და მრავალი გვიძღვნეს, ღმერთს მადლობა შესწირეს. მამასთან მახარობელი გავგზავნე, მამა მომეგება დიდის სიხარულით და ჯარით; ერთი დიდი წყალი ჩადიოდა იქით მამა ჩემი მოადგა აქეთ ჩვენ. მე იმათ უთხარ აქ იყავით, გავალ მამა ჩემს ვნახავ მეთქი, ცხენი გავაჭენე, წყალს გავედ. რა ჩემი ცხენი გაჭენებული ნახა ბაზად ხანის ცხენმა თავი წაართვა, ვერც იმან თავი დაუჭირა, წყალში შემოურიეს და ორნივ წყალმა წაიღო. შეიქნა ყვირილი, შევხედე ბაზად ხანი და ქალი წყალს მიჰქონდა, უკან გამოუდევ. რა თვალიდამ გაგვცილდა გამოვბრუნდით თავში წავიშინე, მინდოდა მეც წყალში ჩავარდნილიყავ არ გამიშვეს. მე მამას უთხარ: თქვენს სახელმწიფოში მიბრძანდით, მე აქედამ ცოცხალი ვერ წამოვალ მეთქი. დიაღ ბევრი მეხვეწა ტირილით და კაეშნით გაბრუნდა. მე წაველ იმ მთაზე ავედ, რომ თქვენ გინახავთ, მინდოდა

ჩამოკარდნილიყავ. ის ბერი მლოცავი ვნახე, მითხრა: წადი კონსტანტინეპოლს შენს საწადელს იქ ეწევიო. თქვენი თავიც მასიშნა, სამ დაკრიში შეგხვდებაო, წამოველ და თქვენ გნახეთ; ამას იქით ღმერთმა იცის. რა მეორე დაკრიშმა გაათავა კიდეც გათენდა.

ხელმწიფე თავის ტახტზე მიბძანდა ილოცა. რა ლოცვა გაათავა, უბრძანა წადით სასაფლაოზე, ერთი გუმბაზია მოშორებით, იქ ოთხი დაკრიში სხედან სწრაფად მოასხითო. წავიდნენ კაცნი, მივიდნენ, დაკრიშები ილოცავდნენ. უთხრა ხელმწიფე გიბძანებსთო, შეეშინდათ და უთხრეს: რათ უნდივართ, მგზავრი ვართ და უცხოს ქვეყანას მივდივართო. კაცთ უთხრეს არ იქნება ხელმწიფის ბრძანება არისო. რა ღონე ჰქონდათ, ადგნენ და წავიდნენ; ხელმწიფესთან შევიდნენ თაყვანი სცეს, ხელმწიფე დიად ტკბილათ დაუხვდა, მოიკითხა, ახლო დაისვა, თავის არმის სიახლოვეს ერთი სახლი მისცა იქ დააყენა. რა დასხალვათდა შევიდა ხელმწიფე დაკრიშებთან დაჯდა, ჰკითხა თავიანთ ამბავი და უბრძანა: იმ ღამეს რო ორი თქვენი ამბავი თქვით მე ყურს გიგდებდი და ამ ორისა კი არ ვიცი — თქვენც მიამბეთო; იმათ დიდად შეეშინდათ და ფერი ჰკრთათ, ეგონათ ხელმწიფე თავებს დაგვაყრევინებსო, ხმა ვერ ამოიღეს. ხელმწიფემ რა იმათი შეშინება ნახა უბრძანა: რათ შეშინდით, პირველად მე გეტყვით ჩემს ამბავსა და მერე თქვენ მიამბეთო. დაიწყო ხელმწიფემ ამბის თქმა.

## კარი მესამე. აქა ბახტურ ხელმწიფისაგან თავის ამბის მბობა და დავრიშის გაგონება.

ხელმწიფემ ბრძანა: მე რომ მამა მომიკვდა ყმაწვილი დავრჩი, ხელმწიფეთ დამსვეს, უცოდინარი ვიყავ, არა მენახარა. ჩემს ხელმწიფობაში ერთი ვაჭარი მოვიდა, ერთი თვალი მომართო, ორმოცი მისხალი იყო. დიდად უცხო და საკვირველი მეგონა, სალაროში შევატანინე; რომესაც მეჯლიშს ვიქმოდი მოვატანინებდი და, ვიზედაც წყალობას გავცემდი, ვაჩვენებდი. ყოველი კაცი მიქებდა და ჩემის თვალისათვის გაიკვირებდნენ. გამოვიდა ერთი წელიწადი, ვხარობდი ამ თვალზე. ერთი ბერი ვეზირი მყვანდა, თურმე დიდად წყინობდა და ჩემის ხათრით ვერა გაებედარა. საფრანგეთის ხელმწიფის ელჩი მოვიდა, დიდად კარგათ დავსხდი: მეჯლიშში გავმართე, ჩვეულებისამებრ ის თვალი მოვატანინე, ვანახვე და დიდად უქე, ელჩსაც ვაჩვენე, რო ნახა გაიცინა და დიდად მიქო და მომცა. ჩემმა ვეზირმა ვეღარ მოითმინა, ჩემის ტახტის პირთან მიდგა და ჩუმად მითხრა: ხელმწიფევ ამისთანა რამ როდი უნდა გაუკვირდეს, ერანში ერთი დიდი ვაჭარია, თორმეტი თეფშის ტოლა ლალი ძაღლს ყელზე უკიდია. თუ ერთმა ვაჭარმა ამდენი ძვირფასი იარაღი არად მიიჩნია და უპატიურს ძაღლს დასკიდა, შენ ხომ ხელმწიფე ხარ — რათ გიკვირს; თუნდ საკვირველიც იყოს არად უნდა მიიჩნიო, შენ კი ვინც უცხო სტუმარი მოვა აჩვენებ. რა ეს მითხრა ვეზირმა, დიდად მეწყინა, გაუწყრე და თავის გავდებინება უბრძანე. იმ ელჩმა რო ნახა მოსაკლავად გაგზავნე, ადგა ტახტ წინ მოვიდა, ტახტს აკოცა, ვეზირის სიკვდილი იპატია. მე უთხარ: დიდად მოსაკლავია, ტყუილი მომახსენა, ასე მითხრა: თორმეტი თეფშის ოდენი ლალი ძაღლს ყელზე ჰკიდიაო შამის ქვეყანასაო, როგორ დაუჯერო. იმ ელჩმა მითხრა: მაგაზედ რათ მოჰკლავ, ჯერ პატარა ხანს პატიმრად შეინახე, შეიტყე თუ ტყუილია, მაშინ გადაახდევინე; თუ მართალია წყალობა უბოძე, ახლა რომ მოჰკლა და მართალი იყოს ამისთანა ყოვლის სიბრძნით სავსეს ვე-

ზირს სადღა იშოვნი, ბოლოს სინანული რაღას გარგებსო. დაუჯე-
რე იმ ქალს, სასპატიმროში გავგზავნე. ერთ წელს ვაცდი
თუ გამართლდა არ მოვკლავ, თუ არა თავს გავაგდებინებ
მეთქი. ეს ამბავი ვეზირის ცოლს მისვლოდა, შეექნა ტირი-
ლი და ვაება, ვეზირს ერთი ქალი ჰყვანდა მშვენებით მზის მგზავ-
სი, სიბრძნით სრული და მამის ნებიერი. იმ ქალს სასახლე ცალკე
ჰქონდა, მუდამ ლხინობდა, მამის დაჭერა არ შეეტყო. დედა მისვლო-
და თავ მოხდილი, პირისახე დახეული, სისხლი ჩამოსდიოდა.
ქალს შეეშინდა და ჰკითხა: რა ამბავიაო. დედამ თავში ჩაჰკრა: ნე-
ტავი შენს ალაგს ერთი კუტი და საპყარი ვაჟი მყოლოდაო და შენ
არ გამჩენოდიო. ქალმა უთხრა: დედავ რა დაგაშავე ასეთი, რომ
კუტი და საპყარი ჩემ თავს ირჩიეო. დედამ უთხრა: თუ შენ უბე-
დური ქალი არა მყოლოდი და ერთი ვაჟი მყოლოდა ასლა მიშველი-
და რასმე, მამა შენი ხელმწიფეს დაუტუსაღებია, რადგან ხელმწიფის
საწყენი სიტყვა უთქვამს; ხელმწიფეს ერთი წელიწადი ვადა მიუცია,
თუ არ გამართლდა თავს მოსჭრის. ვაჟი რომ მყოლოდა წავიდოდა
შეიტყობდა და მამას მოარჩენდაო. ქალმა უთხრა მაგაზე რაიმე სტი-
რი ან ღმერთის რათ აწყენინებ; ისევ ღმერთს შეეხვეწე, ხელმწიფე და-
ლოცე, ქვეყნის წყევლით რას უშველი და ტირილით, ხელმწიფე თუ
გაუწყრა ისევ დაუტკბება. ბევრი იმისთანა სიტყვები მოასხსენა, დე-
დას გული დაუმშვიდა. რა დაღამდა თავის ხოჯას უბრძანა, ერთი
ხელი ვაჟური ტანისამოსი მოატანინა, ჩაიცვა, იარაღი შემოიკრა,
ერთს კაი გამძლე ცხენზე შეჯდა, ასე წავიდა რომ იმ ხოჯის მეტ-
მა ვერავინ შეიტყო. იმ ქალმა მრავალი იარა და მივიდა შამოს.
დაიწყო სიარული და ბაზრები დაშინჯა. ნახა ერთი თვალ უწ-
დომელ ბაზარში მრავალი კაცი შეყრილიყო. ის ბაზარი სულ ოქ-
როთი გაკეთებული იყო, ოქრომჭედლის ორხუები ეგვინა, ერთი პა-
ტიოსანი თეთრ წვერა კაცი იჯდა, თავს მრავალი ყულები ადგნენ,
იმის გვერთ ერთი პატარა დუქანი უცხოთ მორთული იყო, ოქრო-
მჭედლის ორხუით ერთი ოქროს სკამი იდგა, ზედ დიბის საბანი ეფი-
ნა, ზედ ძაღლი იწვა, ყელზე თორმეტი თეფშზე უდიდესი ლალი

ეკიდა, პატარა ყულები ერთი თავით და ერთი ფეხთით უდგნენ კარგათ მორთული. ერთს ხელსახოცი ეჭირა ფეხსა და პირს სწმენდდა, მეორე ბუზს უგერებდა. აქეთ მხარეს ვნახე ერთი ცარიელი დუქანი, ერთი რკინის ყაფაზა იდგა, შიგ ორი კაცი იჯდა, ორი შავი მონა თავს ადგა. დიდად ეცა და მამის სიტყვა მოაგონდა. ის ქალი რომ შინჯავდა იმ ბერმა კაცმაც დაინახა, კაცი გაუგზავნა წაიყვანა. რა მივიდა კაცი წინ მოეგება, მოეწონა და შვილურათ უალერსა, ხელი მოჰკიდა და გვერთ დასვა. ჰკითხა ვინაობა, ქალმა უთხრა: მე დიდი ვაჭრის შვილი ვარო, დიდის ბარგით და ქარავნით წამოვედი, გზაზე ყაჩაღებმა გამცარცვეს, ყმები დამიხოცეს, მე გადმოვიხვეწე და აქ მოვედი. იმ ბერმა კაცმა უთხრა: შვილო, მე ერთი უშვილო კაცი ვარ, ღმერთის შენი თავი ჩემთვის შვილათა მოუცია, ჩემი ქონება შენთვის ალალი იყოს; ალარსად გაუშვა ის ყმაწვილი. რა იმ ქალაქმა შეიტყო რომ საგფარისად ვაჭარმა ერთი უცხო ლამაზი ყოვლის ფერით ცოდნით სრული უცხოს ქვეყნით მოსული ყმაწვილი შვილად აუყვანია — დაიწყეს ყოველმა სულმა მოსვლა. ის ყმაწვილი დიდად მოსწონდათ, მშვენიერება და ცოდნა უკვირდათ, იმ კაცსაც უხაროდა. საღამო მოვიდა შინ წავიდნენ, დასხდნენ, ის ძაღლი რო იჯდა პარ-და-პარ სკამზე დასვეს, ის ყაფაზაც იქ დადგეს, სუფრა მოიტანეს და საჭმელი. იმ ძაღლს დიბის სუფრა ტახტზე გაუშალეს; საბანი ქვეშ გაუშალეს; ერთი ოქროს ყაბი მოიტანეს, ერთი ოქროს თასით წყალი დადგეს, ძაღლი საბანზე დაჯდა, საჭმელი ჭამა და წყალი დალია. ყულმა ტოტი და პირი მოსწმინდა, ავიდა ისევ სკამზე დაწვა. მოვიდნენ ის შავი კაცები, ძაღლის ნაჭამა საჭმელი წაიღეს. იმ ბერმა კაცმა ჯიბიდამ ყაფაზის გასაღები ამოიღო, გადაუგდო, კარი გააღეს, ის უპატიური კაცები გამოასხეს, საფლავიდამ ამოღებულს გვანდნენ, დასხეს მათრახის ცემით ძაღლის ნაჭამი აჭამეს და იქავ ყაფაზაში შეიყვანეს, ყაფაზის კარი დაკეტეს, გასაღები ბერი კაცს მოართვეს. მერე ბერმა კაცმა საჭმელს ხელი მიჰყო, ქალი დიდად შეწუხდა მათი ყოფა რომ ნახა. ბერმა კაცმა უთხრა რატომ არას მიირთმეო, ქალმა უთხრა თქვენი საჭმელი როგორ იჭმება, მე რომ სანახავები ვნახე — ძაღლს ამდენს

პატივს აძლევთ, ღვთისაგან გაჩენილ ადამიანს ასე სტანჯამთ, ძაღლის ნაჭამს პირ აკვრებთ—იმასაც მათრახის ცემით აჭმევთ. თქვენ ძაღლის მლოცავი ხართ, მართალი კაცისაგან თქვენი პური არ იჭმებაო. ბერმა კაცმა გაიცინა და უთხრა: შვილო, რას მკითხავ ამათ ამბავსა, ორმოცი წელიწადია ყველა ძაღლის მლოცავს მეძახის, მეც თავს მიდვია, წელიწადში შვიდას თუმანს გავიღებ. ოლონდ მაგისი ამბავი არავინ შეიტყოს. ღმერთი მომიცია შენთვის, თავდებად, რაც სჯული შენ გიჭირავს მეც იმ სჯულზედა ვარ და რომელსაც ღმერთს შენ ლოცულობ, მეც იმ ღმერთის ვადიდებ. რა ფიცით შეგაჯერო, რომ ძაღლის მლოცავი არ ვიყო. მერე შჭამა პური ქალმა. ყოველ დღივ იმ ყოფით ჰყვანდა ის ძაღლი და ის კაცები. გავიდა ერთი თვე ის ქალი დაფიქრებული იყო და ერთ ღამეს გული თავის მამისაკენ ჰქონდა, ხელმწიფის ვადას სამი თვე აკლდა, დაიწყო იმ ქალმა ტირილი, ბერი კაცს გამოეღვიძა და უთხრა: შვილო, რა არის შენი ტირილის მიზეზი, რა გატირებსო, ვინ რა გაწყინაო. ქალმა უთხრა არა მწყენია რა, მაგრამ ჩემი სახლი ვნახე სიზმარშიო, ვიცი გაჭირვება ექნებათ, მამა აღარა მყავს და სხვა პატრონი არავინა ჰყავთ, დასტური მიბოძე, წავალ ჩემ სახლს მივეპატრონები. კაჭარს ეწყინა, დაიწყო ტირილი: შვილო, შენ ჩემთვის სიცოცხლის ნუგეშად და მკვდრის დამტირებლად გელოდი, ჩემს უკან ჩემი ცხოვრება შენთვის მინდა, თუ შენც წასვალ ვიღაა ჩემი პატრონიო. ქალმა უთხრა ნუ სწუხარ, ღვთით მალე გიახლებიო. კაჭარმა უთხრა რადგან არ იშლი წასვლას მე უშენოდ ვერ გავსძლებ თან გამოგყვები, დიდი ხანია მგზავრად არსად ვყოფილვარო. ქალმა რა ეს გაიგონა დიდად იამა და გულში თქვა: ღვთის წყალობა ამაზედ უკეთესი რა მომივაო, რომ ეს ხელმწიფესთან მივიყვანო და მასა მოვარჩინო სიკვდილისაგან. კაჭარს უთხრა დიდ კარგი წყალობა იქნებაო, თუ თქვენ წამობრძანდებით.

მეორეს დღეს მოემზადნენ წასასვლელად, რა სხვა კაჭართ გაიგონეს საგვარისად კაჭარი კონსტანტინეპოლს მივაო—შეიყარა მრავალი კაჭარი, დიდის ჯარით წავიდნენ, ის დიდი კაჭარი ხელმწიფის

წესით და რიგით წამოვიდა, იმ გზაზე იმისი ხარჯით მოვიდო-დენ დიდის ლხინითა. ჩვენ ქვეყანამდინ ერთი მანძილი დარჩა ქალა-ქამდინ, ქალმა უთხრა წავალ თქვენთვის სახლს დავაცლევინებო. გა-ჭარმა უთხრა წადი მალე მოგვხედეო. წავიდა ქალი თავის სახლში შევიდა, ასე გაცურად მორთული ყველას გაუკვირდა ამ უცხო ყმაწვი-ლის შესვლა, დედას მუხლთ მოეხვია, დედამ ვერ იცნა. რა თავი აცნობა ჯერ გაუწყრა და მერე ქალმა რომ თავის ამბავი უამბო და ვაჭრის მოყვანა თავის მამის მოსარჩენად; იამა, ღმერთის მადლო-ბა შესწირა, ქალს მოეხვია და აკოცა. შეიქმნა დიდი სიხარული, იმ ღამეს იქ იყო, მეორეს დღეს ვაჭართან წავიდა. თურმე იმ ხანად ჩვე-მი ბაზიერთ უხუცესი სანადიროთ წასულიყო. ენახა მრავალი კარავი დადგმული ხელმწიფის ლაშქრის მსგავსად, იფიქრა ვაი თუ ჩემის ხელმწიფის მტერნი იყვნენო, მათირს უბრძანა წადი შეიტყე ვინ არიან და ამბავი მომიტანეო. მათირი სწრაფლად წავიდა, ნახა რომ სულ ვერცხლის სკამებზე სხედან და ვაჭარნი არიან, რა იმ ვაჭართ დაინახეს ჰკითხეს ვინა ხარო, მან მოახსენა ხელმწიფის ბაზიერთ უხუცესის მათირი ვარო, თქვენის ამბის შესატყობლათ გამომგზავნაო, იმათაც იამათ, კაცი გაატანეს, ბაზიერთ უხუცესი დაჰპატიჟეს, მობ-ძანდი ლხინი ვნახოთო; იმ მათირმა იმათი ამბავი და მიწვევა უამ-ბო, ბაზიერთ უხუცესი წავიდა. ვაჭარნი მოეგებნენ, დიდის პატი-ვით დასვეს, კარგათ ალხინეს: მაგრამ იმ ძაღლის ისე პატივისათვინ-და კაცების სატანჯველისთვინ ჯავრობდა და დაფიქრებული იჯდა, არცა-რათ იმათი ლხინი იამა, ადგა და წამოვიდა. დიდებულნი კარზე შეყ-რილნი იყვნენ, ამბავი უამბო, მეც მომახსენა. ერთი უცხო ვაჭარია ერთი უწვერული ვაჟიც თანა ჰყავს, მაგრამ იმისთანა კაცთა ნაყოფი არ მინახავს, ერთი ოქროს სკამი პირ და პირ უდგა, ზედ დიბის საბანი უფენია, ზედ ძაღლი უწევს, ყელზე თორმეტი თეფშის ოდე-ნი ლალი უკიდია, თავით და ფეხთით ორი ყული უდგას, ერთი რკინის ყაფაზა დგას, შიგ ორი კაცი უზის, ეტყობათ რომ ადა-მიანის სახე აქვსთ, თორემ ცოცხალს არა ჰგვანან. რა მიამბო დიდ-მეწყინა, კაცები გაუსიე, უბრძანე წადით მამაშვილნი დახოცეთ, ძაღ-

ღიც მოკალით და ყაჩაღის კაცები აქ მოასხით მეთქი. ის ეხლა იქავ იყო. მე რომ გავჯავრდი, იმან გაიცინა, მე დიალ მეწყინა და უთხარ რატომ დამცინი მეთქი. მან მითხრა: ხელმწიფევ! თქვენ კი არ დაგცინი, ვეზირმა რომ მოგახსენა არ დაუჯერეთ საპყრობილე-ში ჰყავთ, იმისმა სიმართლემა თქვენ წინ მოიყვანა. ჯერ არ გინა-ხამთ, იმათი ამბავი არ შეგიტყვიათ. თქვენ სახელმწიფოში ერთი კა-ცი სტუმრათ მოსულა, რა ხელმწიფის საკადრისია იმათი დახოცვა; ჯერ მოასხი ჰკითხე რა კაცნი არიან, მერე გადასწყვიტე. მეც იმ ვე-ზირის სიტყვა მომაგონდა, კაცი გავგზავნე მოვაყვანინე, ვაჭარს უკან თავისი ვაჟი მოსდევდა, ხელით თვალებითა და მარგალიტით სავსე ხონჩა ეჭირა—მომართო და თაყვანი მცა. რა ბერი კაცი ვნახე ლან-ძღვა დავუწყე: ღვთისაგან არ გეშინიან, რო ძაღლის ლოცულობ, რა სასწაული ნახე მაგისგან მეთქი. დამლოცა და მევედრა ჩემის პირით ჩემს ამბავს ნუ მათქმევინებო. მე უთხარ, თუ არ იტყვი თავს გაგაგ-დებინებ მეთქი. ერთის უბრალოს კაცის სისხლის დაღვრას რა ხელსა ხდით, ან რა ხელმწიფის საკადრისია ჩემი ამბის სმენა. შემიბრალე და ერთი მუჭა სისხლი მაპატიეო, შევფიცე მაგ ამბის მეტი არა და-გისხნის რა მეთქი. რომ არ მოვეშვი მრავალი იტირა და მითხრა: რადგან არ მომეშვით ის ყაჩაღის კაცები აქ მოასხით და მართალს მოგახსენებთ, თუ ტყუილი ვთქვა იმათ გამამტყუნონ. კაცები მოვა-ყვანინე, ყაჩაღიდამ გამოვიყვანე, იმ კაცმა ერთი მარჯვნივ დაისო და ერთი მარცხნივ, თქვა: ხელმწიფევ, ჩვენ აჯამის ქვეყნის უფრო-სის უფროსი ვაჭრის შვილები ვართო, ეს მარჯვნივ უფროსი ძმაა, მარცხნივ შუათანა. მე ამათი უმცროსი ძმა ვარ, მამა ჩვენი ვაჭრებში სახელოვანი კაცი იყო, ერთ თვეს შინ არ დადგებოდა, სამი წლიწადი მგზავრად იყვის, რა მოვიდის თითო საჩუქარი მო-გვიტანის საუცხოვო, ესენი ფიცხლავ გააფუჭებდნენ მე შევინახდი, თეთრად ვაქცევდი, იმ თეთრიდამ დიალ ლამაზი მუასლე ვიყიდე, მა-მა ჩემი რო მოკვდა, დედა ჩემიც ადრე მკვდარი იყო, დავრჩით სამ-ნივ ობლები, დამიწყეს ამათ ჩხუბი გავიყაროთო. მე ყმაწვილი ვი-ყავ და მეძნელებოდა ამათი მოშორება, დიალ ბევრი ვიტირე, მუხლს მოვეხვიე, თუ ითაკილებთ ჩემს ძმობასა თუ არა ყმათ დამიჭირეთ

და ძმობას ნუ იტყვით, ყმურად მიმსახურეთ. მე რომ მომიშორით და საძაღლ-ღოროთ დამაგდოთ ქვეყანა დაგზრახავთ; რომ შეგებრალე აღარა მითხრესრა. გამოვიდა ათიოდ დღე არა მითხრეს რა, მე დიდად მიხაროდა, რომ აღარ გამეყარნენ, ყმასავით ვემსახურებოდი. ერთ დღეს ყადთან წასულიყვნენ, ჩემზედ ეჩივლათ, ჩამიყვანეს მივედ ორნივ ძმები იქ იყვნენ, ყადმა მიბრძანა ამ შენ ძმებს რო გაყრა უნდათ რატომ არ ეყრებიო, მე ტირილით რაც იმათთვის მეთქვა კიდევ მოვახსენე, ყადს შეებრალე და უთხრა: რას ემართლებით, რას გიშავებთ, რო ეყრებით. ამათ მოახსენეს, თუ გაყრა არ უნდა, ასეთი წიგნი მოგვცეს, მამი ჩემის საქონელი აღარ ინდომოს და აღარ გაგვიყრითო. მე გავიხარე, წიგნი დავუწერე: მამი ჩემის საქონელი თქვენთვის მამიცია, მე წილი აღარ მინდა საუკუნოდ, ოღონდ არ გამეყარნეთ, დავბეჭდე და მივეც. ვიყავით ერთად, ორ დღეს უკან დამიწყეს ჩხუბი ცალკე დადექო, ვნახე რომ ჩემი თავი არ ინდომეს, ერთი სახლი ვიყიდე, მაშინ ასიოდ თუმანი მქონდა, ჩემი ხასა გამოვიყვანე, მამი ჩემისაგან ერთი ხმალი მქონდა მოცემული, ეს ძაღლი პატარა გამეზარდა, მამი ჩემის ძაღლის ლეკვი იყო, მამი ჩემის საქონლისა არც მითხოვნია და არც მოუციათ; ჩემ ნაყიდ სახლში დავდექ, დუქანი გავიკეთე, სამ თვეზე ასეთი ვაჭარი შევიქენ, რომ ხელმწიფის სალაროში ჩემ მეტს არ ენდობოდნენ, ყოველი კაცი ჩემგან ივაჭრებდა, დიალ გავმდიდრდი. მაგრამ ძმების გაყრა ცეცხლს მიდებდა, არც იმათ მომიკითხეს, არც მე მივედ.

გამოვიდა წელიწადი, ერთ დღეს სადილათ ვიჯექ, ყული გავგზავნე ბაზარში მწვანილისთვის, ჩქარა მობრუნდა ტირილით, ვკითხე რა ამბავია მეთქი; მითხრა, შენ მოსვენებაზე ბრძანდები, შენი ძმები ორივ ურიას დაუკიდია და სცემს, ორი ათას თუმანსა სთხოვს, ვერ უშოვიათ. რა ეს გავიგონე ცეცხლი მომეკიდა, ავდექ ორი ათასი თუმანი ყულს წავაღებინე, ვნახე ორთავეს ურია უწყალოდ სცემდა. სიცილით ამბობს: ხომ ვერ იშოვნით, ამდენსა გცემთ, ცემაში სული ამოგივიდეთ. მე უთხარ, ეს საბრალო კაცები რათ დაგიკიდია და უწყალოთ სცემ მეთქი. ურიამ მითხრა: შენ ვინა ხარ, ესენი ასეთი

კაცნი არიან: თავიანთ მამის იმდენი ქონება გააფუჭეს, მე ორი ათა-
სი თუმანი გამომართვეს, ვეღარ მიშოვნეს რო მომცენ, ამდენსა ვცემ-
რომ სული ამოუვიდესთო. მე უთხარ, ორი ათას თუმანს მე მოგცემ-
ესენი დამახსნევინე მეთქი. შენი რა არისო. მე უთხარ არაფერი
არიან, მაგრამ მებრალებიან, ორი ათასი თუმანი მივეც დავიხსენ,
აქამი დავაყენე მოჯამაგირენი, ვეღარა ვკითხე თუ იმდენი მამის საქონე-
ლი სად დალუპეთ რომ ვალი აიღეთ. რა მცირე ხანი გავიდა, იმათ
მწუხარება მეწყებოდა, ვემსახურებოდი ყმურათ, აქვე ორასი თუმ-
ნის ფარჩა ვიყიდე, ჩემ ძმებს მოვახსენე შინ ჯდომას ვერ გასძლებთ,
ვაჭრები მიდიან, ყველა მომიმზადებია, თქვენც გაჰყევით, შინ ჯდო-
მას ვერა სძლებთ მეთქი. დიაღ დამიმადლეს, წაველ საპალნე ავკიდე,
ჯორსა და აქლემსა, ცხენები და მსახური მივართვი, შევსხედით, ცო-
ტას ხანს თან გავყე, ისინი გავისტუმრე, მე შინ მოვედი. ერთმა
წელმა გავლო ქარვანი მოვიდა, ჩემი ძმები ვკითხე, შენმა ძმებმა აზნა-
ურობაზე გადააგეს თავიანთ საქონელი ერთმანეთზე, მეორემ ღვინის
სმაზე; ერთი მზარეულს უდგა, ერთი ხაბაზსა, სირცხვილით ვეღარ
წამოვიდნენო. მე დიდად შევწუხდი, ასი თუმნის ფარჩა ვიყიდე, შინ
ამბავი დავუგდე, რო დავიბარო გამომიგზავნეთ მეთქი. მე აღარ დავი-
ყოვნე, წაველ ძმებს საძებნელად ორი მსახურით, მრავალი ვიარე
და ვეძებე და ვიპოვნე გლახათ. წამოვასხი, მაგრამ ვერ უთხარ ჩემი
ქონება რა უყავით. რა ერთი დღის სავალ მივედ, კაცი გავგზავნე,
ფარჩა მოვატანინე, ჯორსა და აქლემს ავკიდე, ქალაქს გარეთ დავა-
ყენე: მე ღამით შინ წამოვედ არვინ შეიტყოს მეთქი. რა დილა გა-
თენდა სმა დავაგდე ჩემი ძმები მოდიან, დიდი ვაჭრები მიეგებნეთ
მეთქი. მოვემზადენით მისაგებებლათ, ერთი კაცი მოვიდა ტირილით,
ვკითხე რათა ტირი,—ნეტავი ის ბედოვლათი შენი ძმები აქ არ და-
გეყარა, წუხელის ჩვენსა სმა დაიწყეს, დაითვრნენ, ქურდი მიეპარათ,
ასე წაიღეს იმათი საქონელი, შიშველები დარჩნენ, ჩვენს სახლს
ცეცხლი მოუკიდეს, საქონელი სულ დაგვიწვეს. შევწუხდი ამათი
ბედოვლათობით, რა დაღამდა წაველ მოვასხი ჩემ სახლში ტიტვლე-
ბი, ჩავაცვი, დავრთე, აღარა უთხარ რა. რაც შემეძლო ამათ სამსა-

სურის გცდილობდი. ერთ დღეს უთხარ: დიდი ხანია ცუდათა სხედ-ხართ და გული შეგიწუხდებათ, მეც თან გიახლებით თუ ინებებთ ქვეყნები მოვიაროთ, თუ გნებავთ ისევ აქ მოვიდეთ მალე, დამიმა-დლეს კარგი იქნებაო; წავედით, სულ სახლეულით ხომალდში ჩავ-სხედით, სიამოვნებით მივდიოდით, თურმე გაუწყრა ღმერთი, ჩემს შუათანა ძმას ჩემი ხასა მოეწონა, უფროსის ურჩია ჩემი სიკვდილი, ისიც დაჰყოლია, დაუსკვნიათ ჩემი სიკვდილი.

ერთ ღამეს გემიანმს, ძაღლიც ჩემ ფეხთით წევს, უფროსმა ძმამ დამიძახა აქ მოდიო, გაველ, ძაღლიც თან გამომყვა, ჩემი მეო-რე ძმა ნავის პირთან ჰის, წყალში იყურება; მოდი უყურე ზღვის კაცები გამოსულან, მარგალიტის კუნძულები ხელთ უჭირავსთ. მე მართლა მეგონა, მივედ ჩავხედე ვერა ვნახერა. მითხრა, აგერ რო-გორ თამაშობენო, უფრო წინ წავდეგ და უყურებდი, მეორე ძმა მომეპარა, ხელი მკრა და ზღვაში ჩამაგდო, ნავი წყალმა წაიღო. ცოცხალ ცურვა ვიცოდი, სამი დღე ვიცურე, მკლავში ღონე აღარა მქონდა, წყალმა წამიღო, ხელში რაღაც მომხვდა, მაგრა მოვეჭიდე, მივა და მიმათრევს. იპრიანა ღმერთმა გამოვედით. ვნახე ჩემი ძაღლი იყო, მე რო ჩამაგდეს ისიც თან ჩამომყოლოდა, ამისთანა გაჭირება-ში მიშველა, დიდხანს წყლისა და შიმშილისაგან გულ შემოყრილი ვიყავ; რა ცნობას მოველ, რითაც ღონით იყო ვიარე, სამ დღეზე ერთ დიდ ქალაქში მივედ, ბაზარში ჩაველ, ეგება პური ვიშოვნო მეთქი, თხოვნა არ ვიცოდი, მეტის შიმშილით გულს მეყრებოდა, ხან იქით დავეცემოდი ხან აქეთ. შევხედე ორი ჩვენი ქვეყნის კაცი მოდის, ერთმანეთისათვის ხელი მხარზედ გადუდვიათ, სიცილით მოდიოდნენ, დიაღ მიამა და ვთქვი, ჩვენი ქვეყნის კაცნი არიან, ეგება ვთხოვო და პური მაჭამონ. რა მოახლოვდნენ ჩემი ძმები იყვნენ, მიჯმა, ღმერთის მადლობა მივე, მიველ ყელს მოვეხვივე, იმათი ნაქმნა-რი საქმე აღარ მახსოვდა. რა მიცნეს დიდად გაუკვირდათ, უფროსმა ძმამ საყელოში ხელი ჩამიგდო, დამიჭირა, მეორე ძმამ ძახილი დაიწ-ყო გვიშველეთო, ქალაქის კაცნი სულ შეიყარნენ. მათ უთხრეს: ეს კაცი ჩემი ძმის მსახურია, ჩემი ძმა წყალში ჩააგდო, თითონ გაიპა-

რაო, კიცხნით და დაგიჭირეთ. მე თავათ შიმშილისაგან უღონო ვიყავ. უფრო სიტყვა გამიწყდა: ყადთან წამიყვანეს, ყადმა მითხრა რათ მოჰკალი ამათი ძმაო. იმათ თავეთი სული გაყიდეს, მე რაღა მეთქო, დამიწყეს უსამართლოთ ცემა. სიცოცხლის იმედი აღარა მქონდა, ყოვლის გზით ღმერთს მივენდე, ღვთის ვედრების მეტი რაღა ღონე მქონდა. ეს ძაღლი ხან ერთს ეხვეოდა მუსლუსა, ხან მეორეს, ჩემი ძმები ქვითა და ჯოხით უშენდნენ — ვერ მოამშორეს, ვინცა მეცემდნენ იმათაც ფეხებ ქვეშ უვარდებოდა; მაგრამ ეს ჩემი ძმები კი ვერ გაძღნენ ჩემის ცემითა, თურმე ღმერთისა შევებრალე და არ მოვკვდი. იქაურ ხელმწიფეს კოლინჯი აშლოდა, ვერას ექიმს ვერ ეშველა, ეფიქრა სადაც ტუსაღი ჰყავდა, ებძანებინა ყველასი გაუშვით, ეგება იმათი მადლით მოვრჩეო. ტუსაღები გაუშვეს, ერთი კაცი ცხენით მოვიდა, მე ძელზე ვეკიდე, შემოჰკრა ხმალი, თოკი გაწყდა, მე ძირს დავეცი, უფრო დავიმტვრიე, მაგრამ უგონოდ ვიყავ, ვერა გავიგერა, მკვდარივით ვეგდე. ჩემი ძმები ყადთან მივიდნენ, ორი ათასი თუმანი მისცეს ყადსა ამ კაცს ცოცხალს ნუ გაუშვებო; მე ათასი თუმანი მივე, ურიის ხელის სასჯელისაგან ვიხსენ. ყადმა უთხრა, ხელმწიფის ბძანებას ვერ გადავალო, ერთ ალაგს სოლომონ ბრძნის გაკეთებული ხაროა იქ ჩააგდეთ და მოკვდებაო. მე არა გამეგებოდარა, თურმე წამიღეს და ჩამაგდეს, როდესაც მოვსულიერდი ჩემი თავი ბნელ ალაგს ვნახე, ვთქვი უთუოდ მომკვდარვარ და საფლავში დაუმარხავარ ვისმე მეთქი. დავიწყე ტირილი და თავში ცემა, ვფიქრობდი ახლა მოვლენ ჩემ ცოდვასა და ბრალს მკითხავენ მეთქი. ვევედრე ღმერთსა, რომ ფიქრში ვიყავ ორი კაცის ხმა გავიგონე, უფრო დავიდასტურე სიკვდილი, დავუგდე ყური, უცილოდ ახლა გამიკითხვენ მეთქი; ვნახე საჭმელსა სჭამდნენ, ვკითხე ვინა ხართ ღვთიანი, თუ ცოცხალი ხართ აქ რას აკეთებთ მეთქი, იმ კაცებმა გაიცინეს და მითხრეს, შენ რაღას აკეთებო. გავიცე და უთხარ მე: ცოცხალი ვარ მე და თქვენცა თუ მკვდარნი მეთქი; მათ მითხრეს ცოცხალნი ვართო, ვკითხე მაშ საფლავში რათა ვართ მეთქი. მათ მითხრეს კაი შენი ბრალი რა სულელი და გიჟი ყოფილხარო, როგორ არ იცი ამ საგანში ვინც დიდი დამნაშა-

ვეა იმას ჩამოაგდებენო, ჩვენ ყაზახნი ვართ იმიტომ აქ ვყრივართო. შევევედრე პატარა პური მაჭამეთ მეთქი, არ გამიკითხეს. ვიყავ საცოდავათ, ეს ძაღლი ორმოს პირს არ მოშორდა თურმე, ნახა ერთმა კაცმა, პური და ლიტრით წყალი ჩამოუშო იმათთვის, შევტყე ამასაც აქ ტუსაღი ჰყავს, დუქანში მივიდა, ხაბაზს პური მოსტაცა, გამოუდგნენ, ქვა დაუშინეს, ვერ გააგდებინეს, მოვიდა ორმოში ჩამოაგდო და ზევიდამ ჩამომყეფა. რა ხმა გავიგონე, ხელი მოუსვი პური ვიპოვნე, ღმერთს მადლობა შევსწირე და ვსჭამე; ხაროს სიახლოვეს ერთი ქვრივი დედა-კაცი სახლობდა, შევიდა ეს ძაღლი, ჭურჭელი სულ დაუმტვრია, რამდენიც ის დედა-კაცი სცემდა ეს ფეხებში უვარდებოდა; რა ვერ მოიშორა დედა-კაცმა წყალი დაუსხა. იფიქრა ეგებ სწყუროდესო, ძაღლმა არ დალია, კალთას გასწია ტირილით, დედა-კაცმა იფიქრა უთუოთ ტუსაღი ჰყავსო და იმიტომ ასე იქსო. ლიტრა აავსო, ძაღლი წაუძღვა და მოვიდა, დედა-კაცმა წყალი ჩამოუშვა, ძაღლმა დაიყეფა, წყალი გამოვართვი დავლიე და მრავალი ვიტირე, პირუტყვის შესაბრალი გავხდი და ჩემმა ძმებმა კი არ შემიბრალეს მეთქი. ყოველ დღივ წავიდოდა, ხაბაზს პურს მოსტაცებდა, დედაკაცს წყალს მოატანინებდა და ასე გამომზარდა, თითონ მშიერი დადიოდა. ამ ყოფით ერთი წელიწადი ვიყავ, მაგრამ მე კიდევ ძმების მწუხარება მქონდა, რა იქნენ მეთქი. ერთ ღამეს ვიწექ მეძინა, ძილში მე მომესმა ადექ საბელი წელზე მოიბიო, შევკრთი, რა გამომეღვიძა საბელი ჩამოუშოთ, დიდად გავიხარე, ღმერთს მადლობა შევსწირე უთუოთ ჩემ ძმებს შევბრალებივარ მეთქი, წელზე საბელი მოვიბი, ამწია და ამიყვანა. რა ავედ ერთი ყმაწვილი კაცი დამხვდა, ღამე იყო ვერ მიცნა, ორი ცხენი ება თითო ხურჯინი ეკიდა; შევსხედით და წავედით ცხენის ჭენებით; რა ინათლა შევხედე ასეთი ვაჟი კაცი იყო თვალად ტანადი, აყვანდის მქცევის სადავის მხმარებელი, მე იმისთანა მშვენიერი არავინ მენახა. ვფიქრობდი ნეტარ ვინ არის მეთქი. იმანაც ცხენი დააყენა, რა შემომხედა თურმე ვერ მიცნა, მოვიდა ამოიღო ხმალი და შემომიტია, მე ცხენისაგან ჩამოვხტი, მუხლს მოვეხვიე, მდუღარეს ცრემლით შევტირე ნუ მომკლავ, შენს ღმერთს მი-

მადლე, რადგან ტყვეობიდან დამიხსენ ნუღარ მომკლავ, ჩემი სატანჯველი ქვეყანაზე არავის გაუწევია, ღვთისა და კაცისაგან გამომეტებული ვარ, რამდენ ჯერ სიკვდილს მოვრჩომილვარ, შენს ღმერთს დაუთმე ჩემი დანაშაული.

დიაღ მრავალი ვიტირე, შევებრალე, ხმალი ჩააგო და მიბრძანა: შეჯე ცხენზე, რაჭქნა რაღას უშველიო, შევჯექ და წავედით, ეს კაცი სულ ოხრავდა. ერთის წლის პირს ჩამოვხვედით, პური და ქათამი ამოიღო მიირთო, მეც მიბრძანა, ჩემი ამბავი მკითხა, მე ყოველივე ჩემი მწუხარება მოვახსენე. ამოიოხრა და მითხრა: განა შენს ამოსაყვანად მოველ, მე ამ ქალაქის ხელმწიფის ქალი ვარ, მრავალი დარბაისელთ შვილი მახლდა, იმათში ჩვენი ვეზირის შვილი დიდი მასიამოვნებელი იყო, კარგა მემსახურებოდა, მეც ყველაზე იმას ვსწყალობდი. მსახურებმა აირჩიეს, ხელმწიფესთან დამაბეზღეს, ვეზირის შვილი და თქვენი ქალი თქვენს გადაგდებას ცდილობენო, თითონ უნდათ დასხდნენ ხელმწიფეთაო. ამ ხმაზე ხელმწიფე გაუწყრა, საროში ჩააგდო, მე გავიგონე დიდად მეწყინა. ვინც მახლდნენ, ყველანი გავაგდე. მამას ჩემზე გული წაუხდა, ველარ მოვითმინე, კაცურად ჩავიცვი, ორმოს პირს მოველ, თოკი ჩამოუშვი—დაუძახე; თურმე შენს ბედს ღვიძებია და იმისას სძინებია, რა ამოვიყვანე ის მეგონე, ვერ გიცან საჩქაროთ, რა გნახე და ის არ იყავ, დიაღ მეწყინა, მინდა მომეკალ, რა ესე საბრალოთ შემომეხვეწე დიაღ შემებრალე. ღმერთთან თურმე მადლი რამ მიგიძღოდა, რადგან ღმერთი მოწყალე ყოფილა შენზედა და იმდენ განსაცდელს მორჩომილხარ; მე მამის ურჩობა მიწყინა ღმერთმა და ჩემი ფიქრი ავათ მომიხდა. მე შენს გზაზედ გადვეგები, რადგან ღმერთმა ჩემი თავი შენ მოგცა. ხურჯინი გახსნა, ერთი ხელი ტანისამოსი ამოიღო, მაბანა, თავი მომპარსა, ჩამაცვა, შევსხედით და წამოვედით. მე გზა კარგათ ვიცოდი, წაველ ერთ პატარა ქალაქში მიველ, იქაურ ვეზირს ვიცნობდი, იმას სიახლოვეს დავდეგ, ცოტა რამ თვალი ჯიბეში გამომყოლოდა, იმ ქალსაც მრავალი იარაღი გამოეტანა, ზოგი რამ გავყიდეთ, სათავნო გავიხადე; ერთ წელიწადს კარგი თვალ მარგალიტის კაჭარი გავ-

ხდი, რაც სახელმწიფო იარაღი იყო ჩემგან იყიდდნენ, იმ ქვეყნის ხელმწიფეც მწყალობდა, ვეზირის კერძათ ვიყავ, ვეზირის შვილს მეძახდნენ. ამ ყოფით ექვსი წელიწადი ლხინით და შექცევით ვიყავ, ჩემს ძმებისა დარდი მქონდა. ერთ დღეს ვეზირის საქმეზედ მივდიოდი, გზაზე ორი კაცი დაეკიდათ, უწყალოთ სცემდნენ, შემებრალნენ, მიველ ვნახე ჩემი ძმები იყვნენ; ვეზირს ხუთი კარგი თვალი მივართვი, თითო ორმოცის თუმნისა, შევევედრე ორი ჩვენი ქვეყნის კაცი ერთ ბაზარში ჰკიდია, უწყალოდ სცემენ და მე მაპატიეთ მეთქი. კაცი გამატანა, მათ მითხრეს წუხელის შემოგვეპარნენ, ხუთი დუქანი გატეხეს, საქონელი წაიღეს, ჩვენ საქონელს ვითხოვთო, შენ რა გრჯისო; მე უთხარ იმდენს საქონელს სად წაიღებდნენ მეთქი. გამოვიხსენ, კაცებს ზურგს ავქიდე და წამოვიყვანე, ერთი უცხო სახლი დაუცალე დავაყენე, აბანოში გავგზავნე, ტანისამოსი ჩავაცვი, ცოლი კი არ გაჩვენე, დიდხანს მყვანდნენ და მიხაროდა. ერთხელ ვერ გავბედე რატომ ისე გამიმეტეთ მეთქი, ღმერთის მადლობას ვაძლევდი ჩემ ძმებს ეშმაკი მოშორებიათ მეთქი.

ერთ დღეს ქალი აბანოში ყოფილა, რა მოვიდა ხალვათათ ეგონა სახლი, პირი აიხადა ისე შევიდა შინ, ჩემ უფროს ძმას დაენახა, მოსწონებოდა. ორთავ ერთათ ერჩიათ: ჩვენს ძმას ჩვენზე ამდენი ამაგი აქვს, ჩვენი ბოროტი მოაგონდა აგვიტეხს რასმეო; ჩემი სიკვდილი ერჩიათ, ჩვენ ჩვენ ქვეყანაში წასვლა მოვინდომოთ, ისიც წამოვა, გზაზე აუტეხოთ რამეო. ეს სიტყვა დასკვნეს, მე რას ვიფიქრებდი. ერთ ღამეს ვახშამზე ამბავი ჩამოაგდეს, ჩვენი ქვეყანა დიდათ აქეს, უფროსმა ძმამ ტირილი დაიწყო, მე დიდათ შევწუხდი, უთხარ თუ თქვენი ქვეყნისათვის სტირით მეც გამოგყვებით წავიდეთ, უცხო ქვეყანას ჩვენი სამყოფი გვირჩევნია. შეველ იმ ქალსაც მოვახსენე, ჩემი ძმები ჩვენ ქვეყანაში მიდიან, მეც წავალ ცოლ-შვილით. იმანაც მომიწონა, მოვემზადე, წავედით, მესამე დღეს მრავალი ვაჭარი გამოგვყვა, დიდის ლხინით და ნადირობით წავედით; ერთ დღეს ჩემმა ძმებმა მითხრეს ერთი კარგი სანადირო ვინადიროთო, დაუჯერე და უთხარ დღეს ნურა ვაჭარი ნუ აიყრებით მეთქი. მეორე დღეს სამ-

ნივ ძმები თითოს მსახურით წავედით, ეს ძაღლიც თანა მყვანდა. რა ცოტა გზა გავიარეთ ერთი მსახური რაღასაც საქმეზე გაგზავნეს, დაიგვიანა, მეორე გაგზავნეს ისიც აღარ მოვიდა, მესამე თან გაადევნეს. თურმე დაარიგეს ნუღარ მოხვალთო; დავრჩით სამნი ძმანი მარტო. უდაბურ მინდორში მიველ, ერთ ქვაზე ჩამოვჯექ, ვნახე ჩრდილი, ხლმიანი კაცი თავს წამომადგა, რა მივხედე ჩემმა უფროსმა ძმამ ხმალი თავში დამკრა, მომდგნენ ორნივ და სულ ამკუწეს, ეს ძაღლიც ძნელათ დასჭრეს, ცოტა სისხლი იმათ წაისვეს, გაშიშვლდნენ და ძახილით გაიქცნენ გვიშველეთ ყაზახებმა ამოგვწყვიტესო, ძმა მოგვიკლეს და ჩვენც ასე გაგვხადესო, აიყარენით წავიდეთო. რა ამ ქალმა ჩემი სიკვდილი გაიგონა ქვევიდამ გადმოვარდა, შეიტყო ჩემი ძმებისაგან იყო ეს საქმე, გულზე სანჯალი დაიცა და მოკვდა; იგ და ჩემი ძაღლი იმ უდაბურ მინდორში ვეყარენით, ეს ძაღლი ძამლიან მივლიდა, ყეფდა და ტიროდა; იმ მინდვრის სიახლოვეს ფრანიგის ხელმწიფის ქალი სანადიროთ გამოსულიყო, ძაღლის ტირილი ესმა, მოახლეს უბრძანა წადი ნახე ჩემგან დაყოფულებულს სანადიროში ძაღლიანმა კაცმა როგორ გაბედა შემოსვლა, აქ მომგვარე ვინ არისო. მოახლე მოვიდა, ნახა, წავიდა და მოახსენა შეშინებულმა: ერთი აკუწული კაცი გდია და ერთი ძაღლი უარესათ დაჭრილიო. მოახლეს არ დაუჯერა, ქალი მოვიდა, რა ნახა დიდად შეებრალდი: ფარდაგზე დამდვა და წამიღეს, ბაღში დამაწვინა, თითონ გვერთ მომიჯდა, ჯარა ექიმი დამაყენა, ჩემი ხათრით ორი თვე ქალაქში აღარ შევიდა, რა კარგა შევიქენ ქალი ქალაქში წავიდა და წამიყვანა. თავის არმის კარზე დამაყენა, რა დაღამდებოდა ქალებით მობრძანდებოდა, კარგათ შემაქცევდა. მე ჩვენის ქვეყნის ამბავს მოვახსენებდი და უქებდი. რა ჩემი თავ გარდასავალი სცნა დიაღ შეებრალე, მიბრძანა: მუსალიმო ასეთს საქმეს გახარებ, რომ ისინი დაგავიწყოო. მე მუხლს ვაკოცე და მოვახსენე: თქვენი წყალობა არ მაკლია, ღმერთმა ახლაც ნუ მომაკლოს და ისინიც თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს მეთქი.

იყო ჩემთან ორიოდე თვე. ერთ ღამეს ხელმწიფის ქალი მამას-

თან წასულიყო, დაიგვიანა, მოსვლის იმედი გადავიწყვიტე და აგ-
დექ ლოცვას მოვყე, მდუღრის ცრემლით ღმერთს ვევედრებოდი.
ქალი მოსულიყო, მე ვერ შევიტყე, ჩემი ლოცვა ენახა, დიდათ გა-
ჰკვირვებოდა, მოვიდა თავს დამადგა, მე შიშით გამხმარს ხეს დავე-
მსგავსე. გაიცინა და ძიძას უთხრა: საწყალს მუსაღიმს ხელდაჯ გაგი-
ჟებულიაო და არ იცის რასა იქსო. იმ წყეულმა ძიძამ უთხრა: არა
მზე მან შენმან გიჟი არ არისო, ამათი ლოცვა ასეთი არისო. ქალმ
ჰკითხა: რომელ ღმერთის ლოცულობსო, ძიძამ მოახსენა უხილავ
ღმერთისაო. მაშ ბუტის-მეტი ღმერთი თუ ყოფილა ამდენს ჩემს
ჭირნასულს დიდი ბუთი მიწყენსო, მუხლზე ხელი დაიკრა და გავი-
და: მე მრავალი ვიტირე, იმ უცხოს ქვეყანას იმის მეტი მოწყალე
არა მყვანდა, ახლა ვიღა გამიკეთხავს მეთქი. მოვიდა, ხელთ შვიდდ-
ისარი ეჭირა, ძიძას სუფრით სურა და თასი მოჰქონდა, მოვიდა
ჩის ქვეშ დაჯდა, ორიოდ თასი ღვინო დალია, ძიძას უბძანა: წადი
ნახე დიდი ბუთის მტერი მკვდარია თუ ცოცხალიო. ძიძამ მოა-
ხსენა ცოცხალიაო; უბრძანა: მოიყვანე ვნახო ჩვენი ბუთის მტერი
რათ არისო. ძიძამ გამიყვანა, დავდეგ, ქალმა ძიძას უბრძანა, ისრით
რო მოვკლა ბუთი შემინდობსო დანაშაულსაო; ძიძამ მოახსენა ნუ
მოჰკლავ, დიდი ბუთის სამსახურზე რო მოაქციო ბუთი უფრო და-
გიმადლებსო. უბრძანა ღვინო დაალევინე, რო მოკლა აღარ გესაჯე-
ბაო; ძიძამ ღვინო დამალევინა, შიშისაგან გული დავაწყნარე, აღარა
ვთრთოდი. ქალი ქვეშ მიყურებდა, შევებრალე, ძიძას უბრძანა რა-
ტომ არას ლაპარაკობ, ვეჭობ გეძინებაო. შევატყე იმისი წასვლა
უნდოდა. მოახსენა თუ ხელმწიფე მიბრძანებს წავალ დიალ კარგი იქნებაო.
ქალმა დასტური უბოძა, ძიძა წავიდა. ცოტა ხანს უკან ქალმა მიბრძანა:
მუსაღიმო, მართალა მითხარ შენთვის ბუთს რა უწყენია, რო მტე-
რი ხარ და უხილავ ღმერთს ილოცავ, როგორც უნდა შეიტყოს შე-
ნი სჯულნა, შენ იმას არ ხედავ და ის შენა, სწორე მითხარ, ღმერთი
მომიცია თავდებათ არავის გეტყვიო. ავდეგ ჯვარ დავლოცე, მერე მო-
ვახსენე: ყოვლისა სჯულის წესი, ცისა და ქვეყნის დაბადება, ადა-
მისაგან ვიდრე აქამომდე, მართალი და ჭეშმარიტი სჯული ეს არის, რო-

მელსაც მე ვილოცავ, ეგ ეშმაკებისაგან კაცის საცთუნებლად ჯოჯოხეთში შესვლისათვის კერპი უჩვენებია თქვენთვის სალოცავათ, თორემ კერპს რა შეუძლიან მეთქი. დაფიქრდა და ტირილით მითხრა: მე რო მოვიქცე და კერპი დავწყევლო, შემეწევა რასმე და შემინდობს რაც ცოდვა მიქნიაო; მე მოვახსენე დიაღ უბრალოს გყოფს ყოვლის ცოდვისაგან მეთქი. მან მიბრძანა: რავქნა რა გავაწყო, აქ ყველანი ბუთის მსახურნი არიან, ჩემი აქ დგომა აღარ იქნება, ჩემი დანიშნულიც ბუთის მლოცავია, თუ იმას მიმცეს იმათ სჯულზე უნდა ვიყო; მე ამას გირჩევ ორ სამ დღეს ნულარ მოხვალ, შენი მხრისაკენ წამსვლელი მგზავრი ნახე, ყველა მოამზადე, ძიძას უთხარ ხელმწიფის ქალი მიჩვენე ჩემ ქვეყანას მივალთქო, მე ჩემ ფიქრსა ვნახავ და წავიდეთო. მე მოვახსენე ძიძას რას უზამ მეთქი, იმისი საქმე ადვილიაო. შებრძანდა ქალი შინ, მე იმ ღამეს იქ ვიყავ, მეორეს დღეს ვიკითხე, ჩვენი მხრისაკენ ბევრნი ვაჭარნი მიდიოდნენ, ორ სამ დღეს გზის ხარჯი მოვამზადე, რაც რამა მქონდა ხომალდში ჩავაწყე და შევეხვეწე ხვალამდინ მამიცადეთ, ერთი ტყვე მყავს მოვიყვან და წავიდეთ მეთქი, მათ პირობა მამცეს. მივედ ძიძას უთხარ: დედა შვილობას ქალი მაჩვენე, დავლოცო, ვაჭარნი მიდიან, ჩემ ქვეყანას მივალ მეთქი; წავიდა ძიძამ მოახსენა, ქალს ებძანა საღამომდინ მომიცადოსო. რა დაღამდა ქალმა ძიძას ყელი გამოსჭრა ქვეშაგებში, თავისი იარაღით ერთი დიდი ყუთი აავსო და მომცა; წავედით, ხომალდში ჩავსხედით და გავემართენით. რა გათენდა მოახლეთ ნახეს ძიძა ქვეშაგებში ყელ გამოჭრილი ეგდო და ქალი არსად იყო, შექნეს დიდი მწუხარება და შფოთი, ხელმწიფეს მოახსენეს, ხელმწიფემ ბრძანა ქალის დაკარგვა არავინ შეიტყოს, მწუხარებისაგან დასცხერითო. ხელმწიფემ ბანდარის ხანს წიგნი მისწერა; ვაჭრებს ტყვეები წამოუყვანიათ, ჩემ ქალს ვაქორწილებ, კარგი მხლებელი მინდა, რასაც წამს ჩემი ბრძანება მოგივიდეს, ვისაც ტყვე ჰყავდეს გამოართვი და გამომიგზავნე, თუ მომეწონა ვიყიდი ფასს, მივცემ, თუ არა ისევ გამოვგზავნიო. ბანდარის ხანს რა ეს ამბავი მისვლოდა სწრაფად ხომალდით ჩამჯდარიყო და მოვიდა; რა ჯარი დავინახეთ დიდათ შევშინდით, მეომარი

გვეგონა, ხომალდი დავაყენეთ, ვისაც ტყვე გვყვანდა ზანდუკში ჩავსვით. რა ახლო მოვიდა იცნეს ბანდარის ხანი, ზანდუკზე დაჯდა, ტყვეები მოიკითხა, რაც არ დაემალათ მოიყვანეს. ერთი გილანელი კაცი იყო, იმის ზანდუკზე ბანდარის ხანი იჯდა, გილანელმა კაცმა შიშით წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო, ბანდარის ხანმა შეხედა, გილანელ კაცს შეეშინდა და ასე უთხრა: მე რას მიბღვერი, განა მარტო მე მიზის ზანდუკში ტყვე, ყველამ ჩასვაო; ხანმა თქვა ზანდუკში როგორ ჩასვითო. ჩვენ ყველას ფერი გვეცვალა და კაცს შევხედეთ, მოატანინა ზანდუკები, ტყვეები ამოიყვანა და წავიდნენ, მე ჩემი სიცოცხლის იმედი გადავწყვიტე, რა ქალს მოიყვანენ მეც დამიჭერენ და თავს მომჭრიან მეთქი. ყველანი გილანელ კაცს ვეჩხუბებოდით, თუ გეშინოდა რათ ჩასვი, თუ არა ვინა გკითხავდაო.

იმ ღამეს მწუხარებით გავატარე ჩემი ცხოვრება. მეორე დღეს ყველას თავისი ტყვე მოჰგვარეს, ჩემი ტყვე აღარსად იყო, ვკითხე. ჩემი ტყვე რაღა უყავით მეთქი, მათ მომიგეს არ ვიცითო. იმავ ტყვეთ მომყვანს კაცთ შევეხვეწე, ნავში ჩამსვეს, ძაღლიც თან წავიყვანე, ხელმწიფის კარზე მიველ, ვეძებე ვერა გავიგე რა; მერე ბანდარის ხანთან მიველ, ერთი თვე ვეძებე, ვერსად ვიპოვნე; გალავანს გარს შემოუარე, კარი და გზა ვერ ვიპოვნე, ვიფიქრე უთუოთ აქ ეყოლებათ მეთქი. წყლის რუდამ შევძვერ, თვალ უწდომელი ბაღი იყო, დავიწყე სიარული, ტირილის ხმა მესმა,—მწარეთ მოსთქვამდა: მოწყალეო, შემიბრალე და ამ უსამართლობას მომარჩინე, რომლისაც კაცის მიზეზით ეშმაკის საბრთხეს მოვშორდი და ჭეშმარიტ ღმერთი ვიცან იმასვე შემყარე და ამ უცნაური მახისაგან დამიხსენო. ამ ჟამად წავდეგ წინა, რა შემომხედა ხელაპყრობით ღმერთს მადლობა შესწირა, მოვიდა მე ფეხთ მომეხვია, სიხარულით ორთავ გულს შემოგვეყარა, რა მოვბრუნდი ვკითხე, რა მიზეზითა ხარ აქა მეთქი და ან ხელმწიფემ როგორ ვერ გიცნა. მიბრძანა, თურმე შენი ღმერთი ჭეშმარიტი ყოფილა, თორემ ასეთს განსაცდელს როგორ მოვრჩითო; თუ მამა ჩემს ვენახე მეც მომკლავდა და შენცა. რა ბანდარის ხანმა მნახა მოვეწონე, თავის სახლში მიმიყვანა. სხვა ტყვეები მიიყვანეს;

ყვანეს; ხელმწიფემ ნახა, რომ მე არ ვიყავ, ისინი ისევ გამოაბრუნა აღარ მინდაო. მე ბანდარის სახლში დავრჩი, მესამეს დღეს მოვიდა ბანდარის ხანი, თავის სახლში დაუბარებინე, მე თავი სასიკვდილოთ გადავდე, მრავალი ვეწამე, არ წაველ, აღარც იმან დამატანა ძალა, ჩემ ნებაზე მოაგდო, ჩემი დიდი სიყვარული აქვს, წყენა არ შეუძლიან; ასლა წადი, რა გზიდამაც შემოხველ, ჩემთვის ნუ სწუხარ, ერთი სა-ლოცავი საკერპე აქვსთ, კარზე შავი ფალასი გდია, ის ფალასი თავზე მოიხვიე და დაჯექ, მრავალ თვალ-მარგალიტს მოგიტანენ ნუ ასდგები; მესამეს დღეს ბუთის დედის ხალათი და თეთრი მოგივა, დაგპატიჟებენ, შენ უთხარ მე ხალათისათვის არ მოვსულვარ, ბუთის დედასთან მიმიყვანეთ და ან ის მოვიდეს, ჩემი საჩივარი მოვახსენო თუ რას მიშველის. დიდ ბუთის მუხლს მოვეხვევი და შევჩივლებ, შენს კარს შემოვეხვეწე სამართალი არ მეღირსათქო. ავდექ იმავ რო-დამ გამოველ, ბუთხანის კარზე ფალასი ეგდო თავზე მოვიხვიე და დავჯექ, მოვიდნენ მრავალი თვალ-მარგალიტი მომიტანეს—არ ავდექ მესამეს დღეს ბუთის დედისაგან ხალათი მომიტანეს და მითხრეს: ადექ ეს საქონელი სულ შენია წაიღეო. მე უთხარ საქონელი არ მინდა, ბუთის დედა მაჩვენეთ, ჩემი საჩივარი მამიგლიჯოს, სხვა არა მინდა რა მეთქი. წაიყვანეს ბუთის დედას უთხრეს, ეთქვა მოიყვანეო; წამიყვანეს, ვნახე ბუთის დედა შავით მოსილი იყო, ტახტზე იჯდა, ორი ლამაზი ყმაწვილი აქეთ იქით უჯდა, მიველ თავყანი ვეც და დავდექ, დაჯდომა მიბრძანა დავჯექ, მკითხა რა გინდა, შენი საჩივა-რი თქვიო; მე მოვახსენე: მე აჯამის ქვეყნის კაცი ვარ, გულში დიდი ბუთის სამსახური ჩამივარდა, ავიყარე ცოლ-შვილით წამოველ, ხელმწიფეს რომ ტყვეები დაუბარებინა ჩემი ცოლი წამართვეს, ბანდა-რის სახლს ჰყავს, ჩვენ რჯულში ასეა: თუ ჩვენი ცოლი უცხო კაცმა დაინახა უნდა მოვკლათ და ვერარც ჩვენს პირს ინახავს, არამი იქ-ნება. მე თქვენ გეხვეწები თუ გამიგონით და ჩემს ცოლს გამომირთმევთ კარგია, თუ არა დიდ ბუთს შევეხვეწები ის მომივლენს საჩივარსა მეთქი. ბუთის დედა გაჯავრდა, ორივ თავისი შვილები გამატანა და ხელმწიფეს შეუთვალა: ბუთის სამსახურისათვის ეს კაცი აქ მოსულა,

ბანდარის ხანს უჩივის, თუ ახლავ არ აღუსრულებ თხოვნასა, ამ ქალაქს ცეცხლს წაუკიდებ და ქვას გაწვიმებო. წავედით დიდებით, იმ ორ უმაწვილს ფეხს ალაგზე არ ადგმევინებდნენ; რა ქალაქმა შეიტყო შეიქნა ძახილი ბუთის დედის შვილები მოდიანო, კაცი თუ დედა-კაცი უველანი წინ მიეგებნენ, ცხენის ფეხს ეხვეოდნენ და მიწას პირზე ისომდნენ, ხელმწიფეც ფეხშიშველა მოეგება და თაყვანი სცა. შეიყვანა თავის ტახტზე დასვა, თითონ თავს დაადგა. უმაწვილებმა დედის დავედრებული უბრძანეს, ხელმწიფემ ბრძანა, იმის ბრძანებას როგორ გადავალო, კაცებს უბრძანა ეხლავ ბანდარის ხანიც აქ მოიყვანეთ და ის ქალიცო, ვნახოთ როგორი ყოფილაო. რა ხელმწიფისაგან ქალის მოყვანა გავიგონე თრთოლა დამაწყებინა, შიშით ფერი ზაფრანასავით შემეცვალა, იმ უმაწვილებმა შეიტყეს რომ მეწყინა, გაჯავრდნენ და წამოხტნენ, ჩვენი დედის ნაბძანებ საქმეს მალიო და სხვა რიგათ არიგებო. ჩვენ წავალთ ბუთის რისხვით ქვეყანას ცეცხლს მოუკიდებთ და გადავწვავთო. რა ისე გაჯავრებულნი ნახა, ხელმწიფეს შეეშინდ და მუხლს მოეხვია, თქვენი რისხვისაგან დაგვიხსენითო, როგორც გნებავსთ თქვენი ბრძანება აღსრულდესო. უმაწვილებმა უთხრეს, ჩვენმა დედამ ასე ბრძანა: ხალათი ბუთისაგან მოუვა, შენი ჯვარი გაატანე, ხანობა ამას მიე, ის ბანდარის ხანი მოჰკლას თითონ დაჯდეს და გეემსახუროსო. მე დიაღ მიამა, ღმერთს მადლობა შევსწირე: მეორეს დღეს ბუთისაგან ხალათი მომივიდა, ჩამაცვეს, ჯვარი გამატანეს, ვეზირს უბრძანეს ის ხანი მოჰკალო, იმისი თავი წამოიღე, ხანათ კი დასვი და შენ აქ მოდიო. დიდის დიდებით და ნაღარის კვრით წამიყვანეს, მივედით ბანდარის ხანს თავი მოსჭრეს, მე იმის ალაგს დამსვეს და თითონ წავიდნენ. ვეზირს მრავალი საჩუქარი მივე, ხელმწიფესაც ძვირფასი ფეშქაში გაუგზავნე, მადლიერნი გავისტუმრე. მე ვიჯექ დიდის სიხარულით, ის ქალიც მოვიყვანე და ხარობდა. მორიდამ ხელმწიფეს სამსახურით კარგა შევუყვე, დიდათ მწყალობდა, ღმერთმა ორი ვაჟი მიბოძა და ერთი ქალი, ვხარობდი და ვიშვებდი. მაგრამ ჩემი ძმების ჯავრი მქონდა, ერთ დღეს ჩვენი ქვეყნის ვაჭარნი მოვიდნენ, ვნახე ჩემი ძმები ერთი მათიარათ და მეორე ფარეშათ

ასლდნენ. მიველ დავიხსენ, შინ წავიყვანე, არც ერთს პირს არ შევხედე, რაც ამათ ჩემზე უსამართლობა მოიდეს. ერთს ლაშქართ უფროსობა მივე, მეორეს დიამბეგობა. დიდის პატივით მყვანდნენ; ერთს წელიწადს ჭკვიანათ იყვნენ, მაგრამ მეშინოდა ქეშიკს ვიყენებდი, ღამე მეივიქრებოდა ამათაგან, ეს ძაღლი სულ ფეხთით მიწვა. ერთს ღამეს შეეკრათ პირობა ჩემს სასიკვდილოთ, მოსულიყვნენ, ყაარაულთ დასძინებოდათ, შემოსულიყვნენ ხმალ ამოღებულნი და თავს მადგნენ, ამ ძაღლმა ყეფა შექმნა, გამომეღვიძა, მსახურებს დაუძახე ორივე დავაჭერინე, სასიკვდილოთ კერ გავიმეტე, ყაფაზაში ჩავსხი და ვინახამ, რადგან ჩემზე ამდენი ჭირნახული აქვსთო. მე ის ხოჯა დიდათ მომეწონა და დაუმადლე ეს ამბავი. მერე იმ თვლების ამბავი ვკითხე: სად იშოვნე რომ ძაღლის ყელზე დაგიკიდნია მეთქი. ბერმა კაცმა ქება შემასხა და ამის თქმა დაიწყო.

---

## აქა ხოჯისაგან თვლების ამბის მოხსენება.

მე ბანდარს ვცხოვრებდი ხანათ. ზღვის პირს ერთი თალარი ავაშენე შესაქცევრათ, ქვეყანას ვუყურებდი, ერთს დღეს დურბინდით მინდორს გავხედე ორი კაცი მოდიოდა, კაცი გავგზავნე მოვაყვანინე, ვნახე ერთი კაცი იყო, ერთი დედა-კაცი, ერთი ყმაწვილი ზურგთ ეკიდა; კაცი ჩემთან დავსვი, ქალი არამში შევგზავნე, კაცი ოცდა ორის წლისა იქნებოდა, თმა ფეხამდინ გაზდოდა, ფრჩხილები არწივს უგვანდა, გლახის ტანისამოსი ეცვა, უბე ბალახის ძირით სავსე ჰქონდა. ვკითხე, შენისთანა ადამიანის შვილი არ მინახამს, სადაური ხარ მეთქი. ტირილი დაიწყო, უბიდამ ბალახის ძირი ამოიღო, წინ დაიყარა, სიტყვის თქმა არ შეეძლო, კარგი საჭმელი მოვატანინე პური ვაჭამე, იმ ქალს არმიდამ სამი დაბეჭდილი პარკი ჩემის ხოჯის ხელით გამოეგზავნა, გავხსენ თითო თითო ქალაქის ფასი ჯავაირი

იყო. იმ კაცს უთხარ: ძმაო შენ ერთი ღარიბი კაცი ხარ, ეს დაუფასებელი ჯავაირი ვინ მოგცა, ან საიდამ მოხვალ მეთქი. მოჰყვა ის კაცი ამბავსა: მე ადირბეჟანელი ყმაწვილობით ჩემი ქვეყნიდამ წამოველ და ბევრი ჭირი ვნახე, ახლა ჯოჯოხეთიდამ მოვდივარო, სოვდაგრის შვილი ვარ, მამა ჩემს ჩემზე უფროსი შვილი არ ჰყვანდა: თექვსმეტის წლის, რომ შევსრულდი მამა ჩემი ინდოეთს წავიდა თან წამიყვანა, დედა ჩემმა უშალა, მაგრამ არ დაიშალა, ჩემი სიკვდილის დღე მოახლოვებულა, ჩემ შვილს ვერ მოვიშორებო. წავედით ინდოეთს, ბევრი ხანი დავყავით, სავაჭრო ვივაჭრეთ, ხომალდში ჩავსხედით, ერთი თვე ვიარეთ, ერთი ბოროტი ქარი ადგა, ათი დღე და ღამე ზღვა ღელავდა, ზღვას შეასხეთქა ხომალდი დალეწა, ყველა დაიღუპა, მე ერთ ფიცარზე შევრჩი, სამი დღე და ღამე მატარა, მეოთხეს დღეს ზღვის პირს გამომაგდო: რა გონს მოვედი შიმშილით გულს მეყრებოდა, შენობა დავინახე, მიველ იმ სოფლის კაცნი შავნი იყვნენ მელანსავით და ტიტველნი, იმათი საჭმელი ცერცვი იყო, იმათი ენა არ ვიცოდი, ნიშნებით შევატყობინე, ცერცვი ვჭამე წყალი დავლიე, ღონე მომეცა, იმ ღამეს იქ ვიყავ, მეორეს დღეს ცერცვი ავიღე და წამოველ. იმ ღამეს ერთს თვალ უწდომ მინდორს შევეყარე ცხელსა, უწყლოსა და უბალახოსა, ოთხი დღე ვიარე ერთი გალავანი დავინახე, დიდათ მიამა, მიველ ვნახე დიდი ციხე იყო, გარს შემოუარე ერთი კარი ჰქონდა მთელი ქვისა, ორი კლიტე ედვა თითო სპილოს ოდენი, გალავანი ოთხი აღაჯის სავალი იყო. დავღონდი , ერთი დიდი მთა იყო იმაზე აველ, ასე დაეწვა მზესა განაცრებული იყო. იმ მთიდამ ერთი ქალაქი დავინახე ზღვაზე იდგა, მიამა რომ შენობა ვნახე, მიველ ქალაქის კარზე ერთი ბერი კაცი სკამზე იჯდა; რა მნახა აჯამის კაცათ მიცნა. ისიც თურმე აჯამის ქვეყნისა იყო, დამიძახა, მიველ ხელზე ვაკოცე, ჩემი ამბავი მკითხა, ყველა უამბე, შინ შემიყვანა. იმ ღამეს მკითხა რას ფიქრში ხარ, მისვალ თუ სდგები; მე უთხარ ამ ათ დღეს ვერსად წავალ მეთქი, მან მითხრა დილაზე გეტყვი იმ ქალაქის ამბავსაო; დილაზე ავდეგ მინდოდა ქალაქში შევსულიყავ, მან მითხრა: შვილო, ,ეს შენი ალაგი არ არისო, მე დამიჯერე საიდამაც მოსულხარ იქავ

წადით, თუ საქონელი გინდა მე მრავალს მოგცემო. შევიდა შინ ერთი წერაქვი, ერთი ბარი და ერთი ცხრილი გამოიტანა, ასე მეგონა ბური რომ მაჩვამა ამისთვის მამუშავებდა, იმ გორაზე ადი, შენ რომ გინახავს, მოთხარე და გაცერ, რაც კარგი იყოს აქ მოიტანე. ავედ ერთ ადლამდინ მოვთხარე, მიწა გავაცხავე ცხრილში, სულ მეირთვასი თვალი დარჩა, რომელიც საუკეთესო იყო თოფრა ავავსე, ჯიბე და უბე ავივსე და მივედი. ბერმა კაცმა მითხრა, ეგ ჯავაირი შენი იყოს, ქალაქში ნუღარ შეხვალო; მე მიუგე სამი ამდენი რომ მომცე რას ვაქნევ, გზა არ ვიცი და გვალი მეთქი. მან მითხრა შენ იცი, შედი რადგან არ დაიშლი, ერთს ბეჭედს მოგცემ, ჩორსოში ერთი თეთრ წვერა კაცი ზის, მე მგავს, ჩემი ძმა არის სოვდაგრების დალალია, ეს ბეჭედი მიუტანე ეგების გიშველოს რამეო, თორემ მოგკლენო; შეველ ვნახე კაცები სულ ჯალობაზები იყვნენ, ქალით კაცამდინ სულ ერთათ გაწრობდნენ, ფრანგულათ ეცვათ, მიველ ბერი კაცთან, სკამზე იჯდა, ჯოხი ხელთ ეჭირა, ხელზე ვაკოცე, ავის თვალით შემომხედა და მითხრა: ჩემმა კისერ მოსატეხმა ძმამ არა გნახა არ დაგიმალაო; ბევრა მიმალა მაგრამ არ დაუჯერე მეთქი; ბეჭედი მივეც, ცხენზე შემჯდა შინ წამიყვანა, ჩემი ამბავი მკითხა, უამბე, დიდათ შეწუხდა და მითხრა, რაც ჭირი გინახავს ეგ არაფერია, ამ ქალაქში მოსვლა მაგ ჭირებს დაგავიწყებს. შევეხვეწე ამ ქალაქში მყოფნი რის საქმის მოქმედნი არიან, რომ ორთავ ძმათ გეწყინათ ჩემი მოსვლა. ამ ქალაქშა მყოფნი ვერძთ მსახურნი არიან და ბუთის მლოცავნი, უცხოს ქვეყნის კაცს თავანს აცემინებენ, ბუთთან მიიყვანენ, ხელმწიფეს აჩვენებენ, თუ ბუთის თაყვანი არა სცა მოჰკლენ, თუ გაიბარა ჯალდოქრობით მოიყვანენ, ცოლს შერთავენო. მე უთხარ შენი კალთა დამიჭერია, როგორც სჯობდეს ჩემი საქმე ისე დაიჭირე. მან მითხრა: ვეზირს ერთი ქალი ჰყავს ლამაზი, თოთხმეტი წლისა არის, იმას გითხოვო; მე უთხარ ვეზირი როდი მომცემს მეთქი, აქ ისეა თუ ბუთს თაყვანსა სცა ხელმწიფეც ვერ დაუჭერსო. დილაზე მიგიყვან, ხელმწიფე და ვაზირიც აქ იქნებიან ბუთთან, იმათ ნებას მიჰყვე, რომ ქალი მოგცენ ცოლათ ხანს სიკვდილის მორჩები, მერე ეგება ღმერთმა გიშ-

ველოსო. დილაზე აბანოში გამგზავნა, ტანისამოსი ჩამაცვა, შევსხედით ცხენზე და კერპთან მივედით; ის ოქროთ, თვალითა და მარგალიტით მზესავით ბრწყინავდა, ქალაქის ხალხი თუმცა მწოვარიც კი იქ შეყრილიყვნენ, თავ მოხდილი კერპს წინ ჰჩოქათ და ყურს უგდებდნენ რას გვიბრძანებსო, როგორც კაცმა მითხრა თაყვანი ვეც ვეზირს კალთა დაუჭირე, ქალი ვითხოვე; ხელმწიფემ კაცსა ჰკითხა რა ქვეყნისაა, ვინ არისო; მან მოახსენა ჩემი მოყვარე კერპის თაყვანის საცემლად მოსულა, გეხვეწებათ ვეზირის ქალი უზომოთ. ხელმწიფემ ბრძანა როგორც კერპი ბრძანებს ისე ვიქთო. ერთი კაცი მომისდა, ყელზე თოკი მომაბა, ბუთთან მიმიყვანა, თაყვანი მაცემინა და დამაჩოქა, ბუთმა მიბრძანა: ჩემი სოვდაგრის შვილო მშვიდობა შენი მოსვლაო. ვინც ამბორებაში იყო ან გარეთ საკვირველების ზარი მა აიღო და პირი მიწას დასდვეს, ბუთის ხმა რომ გაიგონეს ნაღარა- დაუკრეს, ხელმწიფემ ხალათი მიბოძა, დიაღ გამხიარულდენ, ქალიც მომცეს. საღამომდის იქ ვიყავით, ხელმწიფე წაბრძანდა, ჩვენც სახლში წავედით; იმ ღამეს ქალი ჩემთან დააწვინეს, მეორეს დღეს ხელმწიფესთან მიველ მუხლს ვაკოცე მიბრძანა ყოველთვის ჩემს მეჯლიშში მოხვიდოდეო; ხელმწიფემ ბევრი მიბოძა, ქალსაც მრავალი მისცა, ქალი მალე დაორსულდა, შობის დრო რომ მოვიდა ჭერა შობა და მოკვდა. საწყალო გადავიხიე თავში ცემა დავიწყე, თავით უჯექ და ვტიროდი, ვინც მოვიდოდნენ ნივხავს გაიხდიდნენ, დაასველებდნენ წყლით და თავში მცემდნენ დედა-კაცები, თურმე იმათ ტირილი ის იყო; ამდენი მცემეს თავში სიკვდილზე მიმწურეს და მკვდარი დამავიწყეს, უნდა მეც მომკვდარიყავ. ის ბერი კაცი მოვიდა, წამიყვანა და მითხრა: ახლა შენი თავი იტირეო, რამდენი გიშალე და არ დაიშალე, მაგის უარესი რა დაგემართება, ახლა ვეღარას გიშველიო, გამიკვირდა ეს კაცი რას ამბობს მეთქი. ხელმწიფე და ქალაქის კაცნი სულ იქ მოიყარნენ, რაც საქონელი ან მე მქონდა და ან იმ ქალსა სულ გაყიდეს, ერთი ყუთი აავსეს, ხელში მომცეს, ერთი ზანდუკი პურით და ხორცით აავსეს, ორმოცის დღის ნუზლი, მკვდარი და ის საქონელი ერთს ჯორს აჰკიდეს, მეც ჯორზე შემ-

სვეს, ხალხი თან გამომყვა, ბერი კაცი რომ იჯდა იმ კარზე გამა-
ტარეს, ბერმა კაცმა მითხრა: შე ბედ უკუღმართო, აკი გიშალე, რო
დაგეჯერებინა ხომ ასცილდებოდით. იმდენი ხალხი თავში ცემით
მომდევდნენ, მე რაღა პასუხს ვეტყოდი, გალავანთან მიმიყვანეს, ასი
კაცი დაეხვია კლიტეს, ძლივ გააღეს ქვის კარი, ის მკვდარი, საქორწი-
ლი, ნუზლი გალავანში შეიტანეს, მეც იქ შემიყვანეს. ერთმა კაცმა
ეს ნუგეში მცა: კაცი ერთს დღეს დაბადებულა ერთს დღეს უნდა
მოკვდესო, ეს შენი ცოლი და საქორწილი და შენა, ესეც შენი ორ-
მოცი დღის ნუზლიო, ჭამე მანამ ბუთმა წყალობა გიყოსო, მინდოდა
ბუთს შევხვეწნოდი. იმ ჩემი ქვეყნის კაცმა მითხრა თუ შეეხვეწე
ცეცხლში დაიწვიო, შენი საქმე ღმერთის მიანდეო. მე იქ გამიშვეს,
თითონ გამოვიდნენ, ის კარი დაკეტეს, ბევრი ვიტირე, თავის შე-
საფარებელი არსად იყო, სიცივემ შემაწუხა, საითაც გავიარე მკვდრის
ძვლით სავსე იყო და გველებით; რომ ილაჯი გამიწყდა მიველ ჩემ
ცოლს ათი წიხლი ჩავაზილე, თუ ვერა შობდი რათ დაორსულდი
მეთქი. ის დღე ტანჯვით და ფიქრით დავაღამე, ძილი არ მომივიდა;
დილაზე ზანდუკები მოვიზიდე, სარდილობელი გავაკეთე, დღე მოვი-
ჩრდილებდი ღამე ზედ დავწვებოდი გველის შიშით. ერთს ალაგას ცო-
ტა თბილი წყალი გამოდიოდა, ორმოცამდინ ისა ვსვი და ნუზლი
ვჭამე, ყველა გამომელია, ბევრი ვიტირე, დამეძინა, ძილში ხმა მო-
მესმა, ერთი მკვდარი შემოიტანეს, თან ერთი ბებერი შემოატანეს,
სანამ იქ იყვნენ დავიმალე, კარი რომ დაკეტეს კეტი დავარტყი ბე-
ბერი მოვკალ, იმისი ნუზლი მე წავიღე და ვჭამდი; ჯერ არ გამოთა-
ვებოდა კიდევ მოიტანეს მკვდარი, თვეში ერთს მკვდარს მოიტანდნენ
ცოცხალს ვხოცდი და ნუზლს მე ვჭამდი. ოთხი თვე ამ ყოფით ვი-
ყავ. მერე ერთი მკვდარი მოიტანეს, თვრამეტი წლის ქალი თან შე-
მოადევნეს, ასეთი მშვენიერი იყო მზესავით ბრწყინავდა. მე ვიფიქრე,
თუ ვიცოცხლე ამის უკეთესს ვინ მომცემს მეთქი, ამას შევირთავ:
რა ახლოს მიველ შეეშინდა, ადამიანათ ვერ მიცნა, შიშით გული
შემოეყარა, ვიფიქრე რა უბედური ვარ, ეს როგორღა მომიკვდა მეთქი
ავიყვანე ჩემს ალაგას მივიყვანე, წყალი დავასხი მობრუნდა, შემომხე-

და და გაიქცა, მე არ გაუდეგ, საჭმელი მე წავიღე დავჯექ და ვჭამდი. შიმშილმა რო ძალა უყო ასლოს მოვიდა და დაჯდა, საჭმელი მთხოვა, ვკითხე ვინა ხარ მეთქი; ხელმწიფის დევანოზის ქალი ვარჩემ ბიძაშვილს მიმცეს, ქორწილი რომ გვიყვეს იმ ღამეს კოლინჯი აეშალა და მოკვდა, მეც თან გამომატანესო. მეც ჩემი ამბავი უამბე და უთხარ, ღმერთმა შენი თავი მე მომცა, ეს რა რჯული გქონიათ მეთქი, მანამ ველაპარაკე, ჩემ რჯულზე მოვიყვანე. ორ წელიწადზედ დაორსულდა, ვაჟი ეყოლა. ერთ დღეს დიაღ შეწუხებულმა დავიარე, სადაც ძვირფასი თვალი იყო ერთად შევყარე, ორის წლისა რომ შეიქმნა ყმაწვილი ძუძუ გავაშვებინე, ერთს ღამეს ორნივ ღმერთს ვევედრებოდით ამ ჯოჯოხეთიდამ დაგვიხსენიო. იმ ქვეყანას სახელად ჯოჯოხეთი ერქვა, იმ ღამეს სიზმარში ერთმა კაცმა თქო, ესენი ამ წყლიდამ გავლენო. იმ ქალს უამბე, ღმერთის ვევედრენით, დიაღ იმედი მქონდა ღვთისაგან; ზანდუკებს ლურსმანი დავაძრეთ, ორთავ ლურსმნით კლდეს თხრა დაუწყეთ, ლურსმანი დაიმტვრა, მერე ხელით ვჩიჩქნეთ, ქვისაგან ხელები დაგვიწყლულდა, ერთ წლამდის იმდენი მოვთხარეთ, ერთი კაცი გამოვიდოდა, რაც შეგვეძლო ჯავაირი გამოვიტანეთ და გამოვედით. ერთი თვეა მოვდავართ ჯავაირის წართმევისა ვეშინოდა, უალაგო ალაგს გვივლია, ამ ბალახის მეტი არა გვიჭამია რა, გხლებივართ და ახლა თქვენ იცით რასაც ნუგეშსა გვცემთო. იმ კაცს ჩემი ვეზირობა მივე, ცოლი ჩემ ცოლთან დავაყენე, ეს ლალები იმ კაცმა მომართო, ორი ვაჟი მყვანდა დამეხოცა, ცოლიც მამიკვდა, იმ ქვეყანას ვეღარ დავდეგ, ჩემი ბატონობა და ქვეყანა იმ კაცს მივე და წამოველ ჩემი საქონლით, ორი ძმით და ძაღლით. ძმები რო ამ ტანჯვითა მყავს და ძაღლი პატივით საგვარსაგს მეძახიან, სახელის დება არად ვინაღვლე, ოღონდ ეს ამბავი არავის შეეტყო. ჩემ ქვეყანას ბერის ქალაქში ვიყავ, მე და ეს ყმაწვილი თქვენთან სამსახურში მოვსულვართ, თქვენ იცით ხელმწიფევ. უბრძანე ეგ ყმაწვილი თქვენი რა არის? წამოდგა ის ყმაწვილი, ალაგს აკოცა და მითხრა: ხელმწიფევ, თქვენი ვეზირის ქალი ვარო, მამა ჩემი რომ დაატუსაღეთ ჩემს მეტი შვილი არა ჰყვანდა, ამბის შესატ-

ყობელად ნიშაბურის ქვეყანას წაველ, ესე კაცურად, ეს ხოჯა ვნახე, ამდენი ვეცადე აქ მოვიყვანე: ხელმწიფევ, მამა ჩემს ტყუილი არ მოუხსენებია, ახლა რაც გნებავს ის ათავდესო. ხოჯამ რა ქალობა გაიგონა დაიკივლა, ვაი ჩემო ფუჭო ჭირნახულოო და გულს შემოყარა; ვკითხე რა დაგემართა მეთქი; როგორ რა დამემართა, ერთი უშვილო ბერი კაცი ვიყავ შვილად ავიყვანე, ქალი ყოფილაო, ვიღა დამმარხავსო. შემებრალა, ქალი ცოლად მივე, არამში შევგზავნე, ვეზირი ტუსაღობიდამ ამოვიყვანე, დიდი წყალობა და თავის ვეზირობა მივე; ბერ კაცს ჩემი გერაჭ იარაღობა მივე, კაი ქორწილი უყავ, ქალაქი ჩირაღოვნით შევამკე. ორი ვაჟი ეყოლა, ერთი ქალი, თითონ კი მოკვდა. ერთს ვაჟს მელიქობა მივე, მეორეს ისევ გერაჭ იარაღობა. დავრიშებო! წუხელის ორთავ სთქვით თქვენი ამბავი, ორნი დარჩით—თქვენც მითხარით უფიქრელად, ვითომ მეც თქვენი უხუცესი ძმა ვარო.

---

## დასაწყისი მესამე დავრიშისა სპარსის ხელმწიფისა

წამოიჩოქა მესამე დავრიშმა, დაიწყო ტირილი და თქვა: ჩემი მსგავსი საქმე ქვეყანაზე არავის გადახდიაო: მე სპარსის ხელმწიფე ვიყავ, მამა მომიკვდა, მე პატარა დამსვეს ხელმწიფეთ, ვეზირნი და მოხელენი ბრძენი მყვანდნენ, ისინი მას ელმწიფებდნენ ყოვლის რიგიანი სამართლით; შემდგომ ერთმა კაცმა ნუშირვან ხელმწიფისა და ათამის ცხოვრება და მოწყალება მიამბო, ათამ ასეთი მოწყალე იყო, და ღვთის მოშიში თითონ იყო; მაგრამ დიალ მდიდარი და ჯარი მრავალი და დიდი ქალაქის პატრონი იყო, ერთი მტერი აუტყდა, რომელსა ნოფილ ერქვა, არაბიამანის შვილი იყო. მიუხდა ათამს ასავლებად, რა ათამ ნოფილის მოსვლა სცნა თითონ გაეცალა და ქალაქი ნოფილს დაუგდო, ნოფილ ათამის ქვეყნები და იჭირა და ათამის

ქალაქში დაჯდა და ბრძანა: ათამის სისხლი მწყურიანო, ვინც ათამს მომგვრის ასს თუმანს და ერთს სახელმწიფო ხალათს მივცემო, ათამ ერთს კლდის ძირში დამალულიყო, იმის სიახლოვეს ერთი საწყალი გლახა კაცი იდგა, რომ დაღამდა ათამ იმ გლახა კაცის კარზე მივიდა, ყურს უგდებდა რას იტყვიანო. ის საბრალო კაცი რა შინ შევიდა ცოლმა წყრომით უთხრა, პური რატომ არ მომიტანე, დღეს მშიერი დავკვსოცეო; კაცმა უპასუხა ნოფილ ქალაქში შემოვიდა, ათამ გაქცეულია, ქალაქი დიდს მწუხარებაშია, ფიჩხი ვერ გავყიდე, თქვენთან პირ-შავათ დავრჩიო. ნოფილს უბრძანებია: ვინც ათამს მომგვრის ასს თუმანს და ერთს სახელმწიფო ხალათს მივცემო. დედაკაცმა უთხრა, ნეტავი ჩვენ გვაპოვნინა, რომ მივგვარეთ და მოგვცეს რამე, ეგება ამ სიღარიბიდამ ამოვიდეთო. ეს ათამმა გაიგონა, დილაზე ათამ იმ საბრალო კაცთან შევიდა, კაცმა ჰკითხა ვინა ხარო, მან უთხრა მე ათამ ვარო; კაცმა ჰკითხა რათ გამოჩნდი, სასიკვდილეთ გეძებენო. ათამმა უთხრა: გაიგონე ვინც მე მიმიყვანს, ნოფილ ასს თუმანს და ერთს ხალათს მისცემს; მე იმიტომ მოველ, საბრალო კაცი ხარ, შენ მიმიყვანე ეგება მოგცეს რამ, ჩემთვის მადლიაო. კაცმა მოახსენა მე შენს დაჭერას რასა ღირს ვარ და ან ვინ დამიჯერებს, რომ მე დამიჭერიაო. ათამმა უთხრა, თუ არ დამიჯერეასუ კეტუკი ამ კაცმა თავის სახლში დამმალა მეთქი, დიაღ ავათ მოგვპყრობიანო. რომ არ მოეშვა წაიყვანა ათამ იმ საბრალო კაცმა, მრავალნი კაცნი ეძებდნენ ათამს; იმ საბრალო კაცს ორმა კაცმა წაართო, იმათაც სხვათ წაართვეს, მასამ ნოფილთან მიიყვანდნენ ასი მეტი კაცი ერთმანეთს წაეცილნენ და იძახდნენ, ნოფილ! ათამ ჩვენ მოვიყვანეთო, ნოფილ დაღონდა. მე ერთის კაცისათვის ვთქვი, ასი თუმანი ახლა რომელს ერთს მოვცეო. ვეზირმა მოახსენა ათამს ჰკითხეთ, ვისაც დაუჭერია იმას უბოძეთო; ნოფილმა ჰკითხა ათამს, ვინ დაგიჭირაო, ათამმა მოახსენა მაგათ არ დავუჭერივარ, იქით რომ საბრალო კაცი დგას იმან დამიჭირაო. დაუძახა და ჰკითხა იმ საბრალო კაცს როგორ დაიჭირეო, იმ კაცმა იმ ღამის თავისი თავს გადასავალი მოახსენა. ნოფილ რომ გაიგონა თავი დაჰკიდა და თქვა:

თურმე დიდი ღვთის მოშიში ყოფილა აიაზ, რომ ამ საბრალოს გაცისათვის თავი სასიკვდილოთ მისცა, ამისთანა კაცს სიკვდილი არ-ხამსო. ადგა ნოფილე აიაზს ხელზე აკოცა, თავისა ტახტზე დასვა და მოწყალეს გულით მტერი მოყვრად გაუხდა აიაზს და ის გლახა კაციც გამდიდრდაო. დავრიშებო, მეც ვიფიქრე ისიც ჩემსავით კაცი იყო და მდიდარი, თუ იმას ისეთი მოწყალება უქნია, მე ხომ ხელმწიფე ვარ და უმეტესი შემიძლიან მეთქი, მე ასე უფიქრელად რა-თა ვარ მეთქი; ავდეგ ერთი დიდი სარაი ავაშენე, ორმოცი კარი დავატანე, თითო მისხალიანი ფლური მოვაჭრევინე, ვინც გლახა მოვიდოდა ორმოცსავე კარზე თითო ფლურს მივაცემინებდი. დიდხანს ამ მოწყალებაში ვიყავ, ერთს დღეს ერთი დავრიში მოვიდა, ორმოცსავე კარზე თითო ფლური მისცეს; მერე ჩემთან მოვიდა და მთხოვა, მე გაუწყერ და უთხარ: თუ დავრიში ხარ ცოტას დასჯერდი, თუ მდიდარი ხარ რაღას იარები მეთქი. რა დავრიშმა ჩემგან ეს გაიგონა იწყინა და მითხრა: თუ მე დავრიში ვარ არც შენ ყოფილხარ მოწყალე, რადგან არა გცოდნია ხელმწიფური მოწყალება; თუ გინდა ბასრას წადი, იქ ერთი ხელმწიფის ქალია, იმისაგან ისწავლე მოწყალების გაცემაო; ფლურები გადმოყარა, ბევრი ვეხვეწე და აღარ დაბრუნდა, ასე მითხრა ხელმწიფობაც რომ მომცე აღარ დავბრუნდებიო. იმ დავრიშისაგან რა ეს გავიგონე დიაღ მეწყინა, იმ ღამეს ძილი აღარ მომივიდა, ვეზირს უთხარ, იმ დავრიშის სიტყვა გულში ჯავრათ ჩამივარდა, თუ იმისას არას შევიტყობ თავი ცოცხალი არ მინდა მეთქი. ვეზირმა დიდად დამიშალა რათ გამოვკიდებიო მაგისთანა საქმესაო, არ იცით მაგისთანა ცუდი კაცი ბევრს ტყუილს მოიგონებსო თავის სარჩოსათვისაო; მე დიაღ უწყინე და უთხარ: ვეზირო, ნუ მიშლი და არც დამიშლება თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, თორემ ვერ მოვითმენ მოვკვდები და წაუსვლელი არ დავდგები; შენ დაგსომ ჩემ მაგიერ ტახტზე და შენ უპატრონე ჩემს სახელმწიფოს, თუ მშვიდობით მოვედ ისევ ბატონ-ყმანი ვიქნებით, თუ არა ღმერთმა შენ მოგასხმაროს, მოცილე არა ვინ გყავს მეთქი. რა აღარ დავიშალე აღარ მაწყენინა, უბრძანე ჩემს დიდებულთ, ვეზირი ხელმწიფეთ დავსვი, ყველას გა-

მოუცხადე იმისი პატრონობა, ხუთის წლის პირობა მივე — თუ ამ ხუთის წლისთავს მოველ ჩემი ხელმწიფობის მოცილე არავინ არის, თუ ვერ მოველ და ნურც თქვენ იწყენით ამის პატრონობასა, როგორც ჩემი ერთგულნი იყავით ისე ამას ერთგულეთ მეთქი. მე სა-ჟაჭიბოთ შევეკაზმე, დავრიშული ტანისამოსი ჩავიცვი. გამოველ დავიწყე სიარული, მრავალი ადგილი გიარე; ერთს დღეს დაიფიქრებული მივდიოდი, შევხედე ერთი დიდი ტევრი გამოჩნდა, მზე მისდგომოდა, უცხოდ ელავდა, რა ვნახე დიდად მიამა, ვთქვი წავალ ვნახამ მეთქი, რა მივასლოვდი დიდი ბაღი იყო, ვერცხლის გალავანი ევლო ოქროს ჩანჩქერით გაკეთებული; იმისთანა ბაღი და სასახლე არ მენახა, კარი ღია იყო, ერთი ბერი კაცი კარზე იჯდა, ოციოდ კაცი თავს ადგნენ, დავდექ დიდხანს უყურე, დიალ გამიკვირდა — ვის გაუკეთებია ესე უცხოთ ნაშენი ამ გზის პირსა მეთქი. გამოვბრუნდი ჩემს გზას შევუდექ, კაცის ხმიანობა მესმა. შევხედე ის ბერი კაცი მომდევდა და მიძახდა: ღვთის გულისათვის მომიცადეთ; დავდექ, მოვიდა და მითხრა: ძმაო შობრძანდი მცირე ხანს ჩვენთან განისვენეთ და ნუ დაგვაკლებ თქვენის სამსახურის ნატრულსა. მე მოვახსენე ვერ დავდგები სასწრაფო საქმე მაქვს მეთქი, ნუ დამემდურები; დამიწყო ხვეწნა, არ მომეშვა იგი კაცი, თუ არ დაბრუნდები არ შეიძლება, ასეთი ბრძანება გვაქვს ჩვენის ხელმწიფისაგანა, ვინც თქვენისთანა ყარიბი მგზავრათ გამოივლის კარგათ დავხვდებათ, ბევრს მივცემთ და გავისტუმრებთო. მრავალის ხვეწნით დამაბრუნა, იმ ბაღში შემიყვანა, კარგს მოფენილს სახლში დამსვა, სადილი მომართვა, მრავალი სუფრის იარაღი მოიდო სულ ოქროსი, კაი ლხინი მაჩვენა. რა სუფრა ავიღეთ ის ოქროს ჭურჭელი სულ იმ სახლში დააწყეს, იმ ბერი კაცმა დიალ უცხოს სიტყვით უცხოსა და უცხოს ამბით შემაქცია. დაღამდა ვახშამი ვჭამეთ, თითონ წავიდა, ყულებს უბრძანა ამაღამ არა ვინ დააძინოთო, როგორც იამებოდეს ისე შეაქციეთო. დიალ კარგი ქვეშაგები დამიგეს და ვიწევ, იმ ყულებმა უცხოს ამბავით ხან სუმრობით შემაქციეს. რა დამეძინა იმათ არ დააძინეს, მე დიალ მრცხვენოდა, შოდიში ვიხდიდი; მათ მომიგეს: თქვენ რათა

ჰსწუხართ, ჩვენი წესი ეს არისო, ვინც ყარიბი მგზავრი გამოივლის კარგათ დავხვდებით, რა საქმეზედაც არის წამოსული თუ შეგვიძლიან შევეწევით, თუ არა მრავალს მივსცემთ და გავისტუმრებთო. მეორეს დღეს დილაზე, ის ბერიკაცი მოვიდა, ტკბილად მომიკითხა—წუხელის როგორ მოისვენეო, მე მადლობა უთხარი ღმერთი თუ გადიხდის მაგიერს თორემ მე არ შემიძლიან მეთქი; დიაღ შეწუხდა ის კაცი და მითხრა: უთუოთ თქვენ საკადრისად ვერ გასიამოვნებთო, თორემ მაგას არა ბრძანებდიო. მე დიდად შევფიცე თქვენგან ნამეტნავი კარგი კაცობა ვნახე მეთქი, მაგრამ საჩქარო საქმე მაქვს, წასვლის დასტური მიბოძეთ მეთქი; ბერიკაცმა ვედრებით მითხრა: თუ არ გვიწყრები და ან ჩვენი დახოცა არ გინდა ამ სამ დღეს ვერსად გაგიშვებთო. დავდეგ სამი დღე, მაგრამ ის კაცი უცხოდ შემაქცევდა, იმ სამ დღეს იმათ სუფრის იარაღში ოქროს მეტი ვერა ვნახე რა, სუფრას აიღებდენ სუფრის იარაღს სულ იქით დააწყობდენ და სხვას მოიტანდნენ. მე დიდად მიკვირდა იმათი სიმდიდრე. რა სამი დღე გავიდა წასვლის დასტური ვითხოვე, ბერმა კაცმა მითხრა: ძმაო, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცესო, რაც ამ სახლში აწყვია და ამ სამს დღეს სუფრის იარაღი ხმარებულა სულ შენია—წაიღეო, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო, თუნდ წაიღე და თუ გინდა სახლში დააწყეო, კარი დაკეტე, შენი ბეჭედით დაბეჭდეო, როდესაც გამოივლი წაიღებინეო. მე დიაღ შორს დავიჭირე, რას ვაქნევ, სახლი არა მაქვს და კარი, ღმერთმა თქვენი საქონელი თქვენ მოგახმაროს მეთქი. დიაღ შორს დაიჭირა და მითხრა: ძმაო, ჩვენში ეგ არ იქნებაო, ვინც დავრიში აქეთ გამოივლის დაუხვდებით, ბევრს ვაჩუქებთ, თუ წაღება შეუძლიან წაიღებს, თუ არა ჩვენ მოგვაბარებს, როცა გამოივლის მივცემთ და წაიღებსო. რაღას ვიქმოდი, იმათვე მივაბარე. ვნახე ოქროს ხარმუზიანი და ხელჯოხიანები უკან მომდევდნენ, სალამი მომცეს და მითხრეს: ძმაო დაბრუნდი ერთი ჟამი ჩვენსას განისვენე ღვთის გულისათვისაო და ნუ დაგვაგდებ შენის სამსახურის უნაწილოსაო, დიაღ საჩქაროთ მივალ მეთქი, არ მომეშვნენ, წავყევ სახლში, რაც იმათი რიგი და წესი იყო ისინი უკეთ

დამსხდნენ და უმრავლესი მომცეს და მითხრა იმათმა უფროსმა: ძმაო, თუ ჩვენი ხელმწიფის ცნობა გწადიან მისრელი ქალია ხელმწიფეთ, მამა და დედა მოუკვდა, ქმარი არ შეირთო, მეტის კეთილ სამართლით და ღვთის მოშიშობით და სიუხვით ღმერთს ასეთი საბოძვარი უბოძებია, რასაც ქვეყნის გზაა, და ამ ქვეყანაში შემოვა ყველა ქვეყნის გზაზე ამისთანა სასახლე უდგა გლახაკთ გამოსაზრდელათ და უხვათ მისცემს, იქნება ათასი შენისთანა ღარიბი ყოველს სასახლეში გაისტუმროს, საქონელს მისცემს, თავის მათლაბს ჰკითხავს სად მივა და ან რა საქმეზეა წამოსული, თუ სიღარიბისთვის არის უმრავლესს უბოძებს, თუ სახლი და მამული არა აქვს აქ დაასახლებს და მრავალს უბოძებს, თუ არა და წავა, გზას არავინ დაუჭერს, ახლა შენი საქმეც გკითხარ რა საქმეზე წამოსულხარ; მე გულში ვიფიქრე რა ვთქო, თუ საქონელი ვითხოვო, ესენი უთხოვნელად მამლევენ, თუ არა რასაც საქმეზე ვარ წამოსული ჩემი პირით როგორა ვთქვა, სიგიჟეში ჩამომართმევენ მეთქი,—უთხარ: ძმაო, ჩემი საქმე საქვეყნო არ არის მეთქი, საწერ კალამი და მცირე ქაღალდი მომიტანე არზას მივართმევ მეთქი. მომიტანეს ქაღალდი დავწერე არზა ან სადაური ხელმწიფე ვიყავ, ან დარიში მოვიდა და იმ ქალის ამბავი და ქება მიამბო, იმის გზაზე წამოსვლა და ჩემის სახელმწიფოთ დაგდება და ყარიბად სიარული და მოვასხენე ყველა წვრილათ და ვთხოვე: რადგანც ერთის ქვეყნის ხელმწიფე მეც ვიყავ და შენის გულისათვის დავაგდე ჩემი სახელმწიფო და შენს გზაზედ ყარიბული ცხოვრება ვიტვირთე, ნურც შენ ითაკილებ დავრიშობასა და ჩემს ყარიბულ ცხოვრებასა და ნუ დამიწუნებ მეთქი. დავბეჭდე წიგნი, იმათვე წაიღეს, მე იქავ ველოდი წიგნის პასუხსა გულ გამკრთალი, მცირე ხანს უკან ხოჯები მოვიდნენ, წელთ მურასა ქამრები ერტყათ, სალამი მომცეს და მითხრეს ჩვენი ხელმწიფე გიბრძანებსო. წავე, რა სასახლეში შევედით სულ ოქროთ და პატიოსანი თვალით იყო აგებული, მიწა ოქროს აგურით მოფენილი ჰქონდა, ხოჯებმა თავიანთ სახლში დამსვეს და ტკბილად მომიკითხეს, მცირე ხანს უკან ხოჯები წინ მოუძღოდნენ, უკან ერთი დედაკაცი მოსდევდა, სულ თვალ-მარ-

გალიტში იჯდა, ხოჯებმა მითხრეს: ეს ჩვენი ხელმწიფის ძმა არისო, შენთან გამოუგზავნიაო, მოვიდა სკამი დაუდგეს დაჯდა, დამიძახა მოველ სკამზე დავჯექ, მომიკითხა ჯერ თითონ, მერე ქალის მაგიერათ და მითხრა: ჩემმა ხელმწიფემ მოგახსენა: ჩემს სათხოვნელად მოსულხარ ნურცა გრცხვენიან და ნურც სიღარიბე გეთაკილება და არც მე გითაკილებ; სიღარიბისათვის ღვთით დაბადებული არ დაიწუნებაო, ღმერთს ჩემთვის წყალობით მრავალი სიმდიდრე უბოძებია, მე თავათ არ მინდოდა ქმრის შერთვა, მაგრამ რადგან ღმერთმან ინება და მოსვედ, ჩემი ქებინის ფასათ ერთს საქმეს დაგდებ, თუ ეს შეიტყო და სწორე შემატყობინე მე არც გწუნობ და არც საქონელი სხვა მინდაო, თუ არ შეგიძლია ასლავ სწორე პასუხი მამეო და შენსავ გზაზე წადიო. მე დიდად მრცხვენოდა და ისევ ბერი დედაკაცი მიადგილებდა. მოვახსენე: ჩემი თავი თქვენს სამსახურზე დამიდვია, რასაც მიბრძანებთ მზა ვარ მეთქი; ბერმა დედაკაცმა მითხრა, მე წავალ და შენს საქმეს მოვახსენებო, შენც იფიქრე, სწორე პირობა მოგვეცი, ჩვენში ტყუილი არ გამოდგებაო, მცირეს ხანს უკან მეც მოვალო. წავიდა ის დედაკაცი, მე იქავ ვიყავ, ბევრი სიკეთე მიამბეს იმ ქალისა, ვახშმათ დავსხედით, დიდი კაი სუფრა მოიღეს და მრავალი საჭმლები მოიტანეს, ვახშამი ვჭამეთ, მცირე ხანს უკან ისევ დედაკაცი შემოვიდა და მითხრა რა პირობაზე სდგეხარო. რაც თქვენ გინებებიათ იმ პირობაზე ვდგევარ მეთქი და თქვენს ბრძანებას ველი. ბერმა დედაკაცმა მითხრა, სწორეთ ამბობო? მე მოვახსენე: ღმერთი მომიცია თავდებათ, თქვენს იქით გზა არა მაქვს და თქვენს სამსახურზე მზა ვარ მეთქი. უთხრა ხოჯას, წადი ბეროზს დაუძახეო. წავიდა და ერთი კაცი მოიყვანა, ვაჭარს გვანდა, მოვიდა სალამი მომცა, სკამი დაუდგეს დაჯდა. ბერმა დედაკაცმა უთხრა: ბეროზ, რაც ნიმრუზის ქვეყანას გინახავს ამ კაცს უამბეო. იმ კაცმა მითხრა: ძმაო. ჩვენის ხელმწიფის ქალისათვის ღმერთს ასეთი წყალობა მიუცია, ათასი ჩემისთანა ვაჭარი ყულად ჰყავს, ფითრისათვის კიდე ათასი თუმანი მიუცია და უცხოს ქვეყანაში დავალთ; რა მოვბრუნდებით არც საქონლისას გვკითხავს და არც ფეშქაშს გვთხოვსო; რაც ფეშქაში

ჩვენგან შეიძლება მოვართმევთ, იმ ქვეყნების ამბავს გვკითხავს და მო-
ვახსენებთ, თუ რამ გვინახავს. წელს მე ნიმროზის ქვეყანაში მივედ
ვნახე კაცის თუ დედაკაცის შავი ქოსათ, სახლებზე და ხეზე შავი
გადაფენილსათ; მე დიაღ გამიკვირდა, ვისაც ვკითხავდი არას მეუბნე-
ბოდენ; რა მთვარე გაახლდა კაცით დედაკაცამდის, ხელმწიფე, დიდო-
ვალი, თავადი, აზნაური, ვაჭარი, მოქალაქე თუ გლეხი, ასე რომ
ორის წლის ყმაწვილიც გაუსვლელი არ დამდგარა, თავ შიშველი და
ფეხ შიშველი ტირილით და ვაებით მირბოდნენ მინდვრისაკენ; მე დი-
დად გაკვირვებულმა ერთის კაცის ვკითხე, რა ამბავია მეთქი. მან მით-
ხრა: შენც წამოდი და რაც ამბავია შეიტყობო. მეც წავყევ მართლა;
დიდი ადგილი გავიარეთ, ერთი ჩალიანი ადგილი იყო, იმას პირ-
და-პირ რაზმ დაწყობილნი დადგნენ, მეც დიაღ გაკვირვებული იმათ-
ში ვიდექ, სუყველას იმ ჩალისაკენ ეჭირათ თვალი; მცირე ხანს უკან
ერთი დიაღ უცხო მშვენიერი კაცი ძროხაზე იჯდა მეფურად შეკაზმუ-
ლი, მეფისა იარაღი ერტყა, ხმალი ამოღებული ხელთ ეჭირა, ცალის
ხელით მშვენიერი სურათი ეჭირა, იმას წელამდის ჩამოსდიოდა, თვა-
ლები სისხლით სავსე ფიალას უგავნდა. ერთი ყული წინ მოუძღოდა.
რა დაინახეს შექნეს ტირილი და თავში ცემა, რა მოახლოვდა ჩა-
მოხდა დაჯდა, თავში შენით მრავალი იტირა, ასეთის სიტყვით მოს-
თქომდა ქვეყანა ღუღდა, წამოდგა მოვიდა ის სურათი ყველას ჩამოუ-
ტარა და აჩვენა, გაბრუნდა ის სურათი დააჰსალა გატეხა, ხმალი შე-
მოჰკრა ყულს თავი გააგდებინა, შეჯდა ძროხაზედ და წავიდა. მრავალი
ქვეყანა და კაი კაცი მინახავს, მაგრამ იმისთანა ყმაწვილი კაცი
არ მინახავს; მეტის ტირილით ალაგიდამ ველარავინ დაძრა, შემდე-
გომ ადგნენ და წამოვედით. მე სამი თვე იქ დავყავ და ყველა თვის
თავზე ეს ამბავი ვნახე, სხვა კი ვერა შევიტყე რა თუ რა იყო და ან
ის კაცი ვინ იყო. რა მოველ და ვიახელ ამბავი მკითხა, ეს ამბავი
მოვახსენე; არ დამიჯერა, მერე ჩემი ამხანაგი გაგზავნა, იმანაც ეს
ამბავი მოუტანა. ჩვენს ხელმწიფეს დიაღ უნდა იმ ამბის ცნობა,
თუ რის მიზეზით არის ის ყმაწვილი ისე. რა ამბავი დაასრულა იმ
ბერმა კაცმა, ბერმა დედაკაცმა მითხრა ჯაჟგონე რაც ამ კაცმა სთქვა,

ჩემი ხელმწიფე ამას გიბრძანებს, ჩემი ქებინის ივასი ეს არის, წადი ეს შემიტყე ის ძროხაზე მჯდომი კაცი ვინ არის. ან ის სურათი რა არის, ჯერ ყველას აჩვენებს მასუკან გასტეხს, ან ყულს თავს რათ აგდებინებს; ან ის კაცნი რათ არიან შავით მოსილნი, ან თვისა და თვის თავს რისათვის კამოდის; იმათი ამბავი ყველა შეიტყე და მოდიო, ღმერთმა შენს მეტი კაცის სახე ნუ მაჩვენოს, თუ ის ამბავი ჰცან და გიღალატოვო, თუ ვერ შეიტყობ და ღმერთმა გიმველოს, მშვიდობის გზა მოგცესო. მე დავლოცე და წამოველ ამ პირობით: თუ სამ წელიწადზე მოველ და ეს ამბავი მოვიტანე ჭეშმარიტათ კარგია და თუ არა—იცოდეთ, რომ თქვენ წინ ჭირის სანაცვლო შევიქნები; ამაზედ გული დააჯერეთ, სანამ სული მიდგას რაც გიბრძანებიათ, სწორეს შევიტყობ და ან თქვენის სამსახურის გზაზე თავს წავაგებ მეთქი. მადლობა მითხრა და მიბრძანა ძიძამ, ჩემს ხელმწიფის შვილს ეგ არ უნდა, რომ იმის მიზეზით მოჰკვდე, თუ შეიტყე კარგია, თუ არა საქმეს ნუ გაიჭირვებო.

წაველ და ვიარე ნიმრუზისაკენ, სამს თვეზე მივედ, რაც იმ აცისაგან გამეგონა ყველა ისე ვნახე; რა თვე გასრულდა დაიწყეს სიაკრული, მეც თან გავყევ და იმათში დავდეგ, მოვიდა ის ძროხაზედ მჯდომი კაცი, შეიქმნა ტირილი, მოიტანა სურათი ჯერ ხელმწიფეს და დედოფალს აჩვენა, მასუკან სულ ჯარს და მეც მაჩვენა ქალის სურათი: გაბრუნდა დაჯდა, დაიწყო ტირილი, მრავალი მუნასიბი ლექსი სთქვა, მეც მეტის ტირილისაგან შევსუსტდი, ვერა გავიგე რა ვერც სურათის გატეხა, ვერც იმ კაცის წასვლა, ასეთს დროს მოვბრუნდი ჯარი ნახევარი წასულიყო და ნახევარიც ტირილისაგნ დასუსტებულნი მიდიოდნენ, დიაღ მეწყინა და დავღონდი, გამოუდეგ უკან, სადღა მოვეწევი, თუ მთვარის გასხლებას მოუცადო, მანამ რა გამაძღებინებს მეთქი. რა ღონე მქონდა დავიწყე სიარული ისევ ქალაქში შევედ, რისაც ღონით იყოს გავძელ. რა თვე გავიდა დავიწყე სიარული წაველ გული გავიმაგრე. როგორიც ჩვეულება ჰქონდა ჩამოსდა, ის სურათი ყველას აჩვენა თავში ცემით, მერე დაახალა დაამტვრია, ყულს ხმალი შემოჰკრა მოკლა, შეჯდა ძროხაზედ და წა-

ვიდა, გავუდეგ უკან, დამიწყეს ძახილი: რას მიზდევ მოგკლავს, თავზე ხელი რათ აგიღია. მე არ ვუსმინე, გამომიდგენ, დამიჭირეს, ბევრი გეხვეწე არ გამიშვეს, ძალათ წამიყვანეს: დავრჩი მესამე თვემდინ, მარამ საკვირველი იყო ჩემი სიცოცხლე, არც სმა და ჭამა მქონდა და არც ძილი, რა მესამე მთვარე გაასხლდა დავიწყე სიარული, წინ და-წინ მე წაველ იმ ყმწვილის მოსავალ გზაზე, ჩალაში დავიმალე, შეიყარა ხალხი ჩვეულებრისა მებრ და გამოვიდნენ; შეიქმნა კვალად ტირილი და კაეშა. რა დაბრუნდა წავიდა მეც გამოუდეგ, დიდი ალაგი გაიარა, მერე მოიხედა, რა დამინახა მურასა ხანჯალი ამოიღო და გადმომიგდო, ნუ მომდეო თორემ მოგკლაო; მე ის ხანჯალი იქავ დავაგდე და გამოუდეგ, რა მოიხედა დამინახა, რომ ისევ მივდევდი შემომიტია, ხმალი ამოიღო და მომიქნია მოსაკლავათ, მე ასე თავი მომძაგებული მქონდა, რომ მოვეკალ არას ვინაღვლიდი; რა ისე თავ გამომეტებული მნახა შევბრალდი და წავიდა, მეც თან გავყევ, რა იდევ შემომხედა ასეთი ლასტი დამკრა, რომ დავბნდი, შემომძახა: ჩვენი სისხლი შენს კისერზე იყოსო და ისევ წავიდა. მცირე ხანს უკან მოვბრუნდი, ისევ გამოუდევ, უკან აღარ მოიხედა, ვიარეთ, ერთი დიდი ბაღი გამოჩნდა, დიდი ფოლადის კარი ება, მივიდა და მაღლის ასეთის ხმით დაიძახა, ის ბაღი სულ შეიძრა; მცირე ხანს უკან ერთი ყული გამოვიდა, მითხრა: კაი შენი ბრალი, რათ მოსველ ამისთანა ადამიანის სისხლის მსმელთანაო, რო მოგკლას რაღასა იქ, მოდი გიბრძანებსო. რაღას ვიქმოდი, ღმერთს მივენდევ და შეველ, შუა ბაღში ერთი თალარი იდგა იქ შემიყვანეს, ის ყმაწვილი იქ იჯდა, გარს ოქრო მჭედლის იარაღი ეყარა, მრავალი თვალ-მარგალიტი ეწყო და აკეთებდა, თვალიდამ სისხლის ცრემლი სდიოდა; მოშორებით დავდეგ და ვთრთოდი, ყული შინ არავინ შემოვიდა შიშით, რა შეღამდა კარები სულ დაგულა, მე შინ დამაგდო, შიშით ვთრთოდი, ასე მეგონა მომკლავს მეთქი, მე დავლოდი ვერა შევიტყე რა, შევხედე ბარგი ეწყო ზევით, ერთი კაცის გასაძრომი კარი იყო, იქიდამ გავმძვერ, ბაღისაკენ წაველ ვნახე ერთი სახლის კარზე, რომელსაც ძროხა იჯდა იმ ძროხას დიდის ჯოხით უწყალოდ სცემდა, რა ცემისა-

გან დაიღალა ჯოხი დააგდო, სწრაფათ სახლში შევიდა წაიშინა თავში, მრავალი იტირა, თვალით კი ვერას ხედავდა, მარამ სიტყვით ვატყობდი, რომ ეხვეწებოდა, მუხლსა და ხელს ეხვეოდა და საწყლად ტიროდა; რა ტირილისაგან მოიცალა ძროხას მოეხვია, თვალსა და პირს აკოცა, ფეხს მოეხვია, ქვეშ გამოუყავა, თავის ხელით საჭმელი მიუყარა და წამოვიდა. მე სირცხვილით წამოველ, იმავ პატარა კარიდამ შეველ, მოვიდა დაჯდა. ყულებს დაუძახა სანთელი აანთეს, უბრძანა ის კაცი შემოიყვანეთო; მოვიდნენ წამიყვანეს, ასე მათრთოლებდა ჩემი ცახცახი იმასაც ესმოდა; შევბრძანდი, იცოდა რომ დიდათ შეშინებული ვიყავ, დაჯდომა მიბრძანა, დავჯექ, საჭმელი მიართვეს, მეც მიბოძა. ჯერ დიალ ბევრი იტირა, მერე ორიოდ ლუკმა შეჭამა, მეც მიბრძანა, ვჭამდი, მაგრამ ყელში არ ჩამივიდა, შიშით გამშრალი ვიყავ. რა სუფრა აიღეს მიბრძანა: კაცო, ასე თავი როგორ გამოიმეტე, რომ გამომყევ, რო მომეკლა რას იქმოდიო, მე შიშისაგან ენა დამება, ვერა უთხარ რა; მან მითხრა, ნუ გეშინიან ღმერთი მომიცია თავდებად არას გერჩიო, თქვი შენი ამბავიო. რა იმისაგან ფიცი გავიგონე გული გავიმაგრე, ჩემი ამბავი ყველა წვრილად მოვახსენე კისაგანაც ვიყავ გამოგზავნილი. რა ყველა შეიტყო დაიწყო ტირილი და თავში ცემა, დაბნდა, დაეცა, ვითარც თავ მოკვეთილი ქათამი ისე ალაგზე ეხლებოდა, დიდ ხანს უსულო იდვა; რა მობრუნდა მითხრა: ძმაო, ჩემი ამბავი ჩემგან ძნელათ ითქმის, მარამ რა ხან შენც შენი მათლობისთვის იარები რა ღონე მაქვს უნდა გითხრა, ეგები ჩემს სიბაბით შენს ნებას ეწიოვო.

მითხრა: მე ნიმრუზის ხელმწიფის შვილი ვარ; იმ დღეს რომ ნახე ხელმწიფე და დედოფალი მაგით მოსილნი ჩემი დედმამანი არიან, ჩემს მეტი ღმერთის არც ქალი მიუცია და არც ვაჟი, სიბერის დროს, მრავლის ღვთის ვედრებით და სალაროს გლახაკთა ზედა მიცემით, მისცა ღმერთმა ჩემი თავი უბედურად; დიდი სიხარული და ღვთის მადლობის შეწირვა ჰქონდათ ჩემს დაბადებაზე, დიდი ლხინი და ძეგობა გარდაიხადეს. რა ლხინისაგან მოიცალეს ხელმწიფემ უბრძანა ვარსკვლავთ მრიცხველთა და მესტროლოგთა, ნახეთ ჩემი შვილი რის

დოვლათისა და ეტლისა არისო. წავიდნენ ნახეს საეტლოს, რისაც ეტლისა და დოვლათისა ვიყავ მოახსენეს ხელმწიფეს: თქვენი შვილი დიდ კარგის ეტლისა არის, ასე რომ მისისთანა არ დაბადებულა, მაგრამ მზის ეტლზედა დაბადებული, რა თორმეტი წლისა შესრულდა ბევრს სატანჯველს გამოივლის და თქვენც დიდს მწუხარებაში მიე-ცემით, ბოლოს ასეთის გზით ეშველება არავის ქონოსო, მას უკან დიდს სიხარულს მისვდებაო. რა ხელმწიფემ ეს ამბავი გაიგონა დია-დათ შეწუხდა, თქვა: ახლავ ასეთს სამყოფს გაუკეთებო, რომ სიბე-რემდის მზე ვერა ნახოსო; მაშინვე ხელი მიაყოვინა, დიდ ჩქარა სასახლე და ბაღი ააშენებინა, სულ ნაბადი გადააკრევინა, ასე რომ სი-ნათლე არსაიდამ შამოდიოდა, გამდლითა და ლალა-ძიძით გამგზავნა და იქ დამაყენა, ღამე და დღე სულ სანთლები ენთო; რა მოვიზარ-დე კარში სიარული დავიწყე, ჩემი საქმე ის იყო გავიდოდი ვარდს დავკრეფდი, კალათს ავიმსებდი შინ მოვფენდი და იმაზე ვხარობდი, ასე მეგონა ღმერთის ჩემს მეტი კაცი და იმ ბაღის მეტი ქვეყანა არ დაებადა; ჩემი ძიძა და ლალა ჩემი დედმამა მეგონა, წიგნს რო ვი-კითხევდი ვფიქრობდი ესენი აქში და ვგა არიან და ქვეყანა ჩვენზე დასრულებულა მეთქი. რა თორმეტი წლისა შევიქენ, მართლა ის ბაღი სამოთხე მეგონა. ერთ დღეს ვარდის დასაკრეფად წაველ ბაღში, უც-ხო სანახავი ვნახე: თურმე ნაბადი წვიმას დაელპო, მზე ჩამომდგა-რიყო ვარდზე; მე ჩემ ყამში მზის სახელი არ გამეგონა, დიდ მეუ-ცხოვა, ვარდი მეგონა ხელით წავატანე მინდა მომეკრიფა, ხელი რო მივატანე გაქრა, რა ხელი ავიღე ისევ გამომიჩნდა, დიდ გამიკვირდა, რა ზევით ავიხედე გახვრეტილი ნაბადიდამაც დავინახე, დიდ გავკვირდი რა არის მეთქი. იმ დროს რო ისე გაკვირვებით უყურებდი ვნახე ოთხ-მა კაცმა იმ გახვრეტილი ნაბდიდამ ერთი ტახტი ჩამოიტანეს, იმ ვარ-დის ძირს დადგეს, ერთი ასეთი ქალი იჯდა, რომ მისი მშვენება არ ითქმის, რა აქეთ იქით იხედის მისი სიბრწყინვალე მზის ნათელს ემზგავსებოდა, მისი სიბრწყინვალისა და მშვენების ქებას ვერა ფი-ლოსოფოსი ვერ მისვდებოდა არამც თუ მე ვსთქვა, თვალი ვერ გაუ-მართე, შორს ვიდეგ ცნობა მიღებული, ერთი მურასა ოქროს ტახ-

ტი დადგეს, ქალმა უბრძანა იმ კაცებს წადით ის ადამიანთ ნათესავი მოიყვანეთო. მოვიდნენ წამოიყვანეს, ქალმა ხელი მომკიდა, ამიყვანა ტახტზე დამსვა, წითელი იაგუნდის თარი და ალმასის სუფრა წინ უდგა, დაასხა ღვინო დალივა, სამი თასი მე დამალევინა, მიბრძანა: თუ ადამიანს ესტიბარი ჰქონდეს აღარ მოგშორდებოდიო, მაგრამ ადამიანს ერთი პირი არა აქვსო, ჩემი და შენი ერთად ყოფნა არ იქნება. მე დიდათ გაკვირვებული უყურებდი, ასე გონება მიმეღო აღარა გამეგებოდა რა, მცირეს ხანს უკან ერთი ქალი მოვიდა ფრენით, მოახსენა ხელმწიფევ მამა შენი გიბრძანებს, რასა იქ მაგ ადამიანებ-შიო. მომიბრუნდა და მითხრა: საყვარელო, ღმერთმა არ დამაცალა ერთი ჟამი ერთად ვყოფილიყავით, რადგანაც ჩემი საქმე ასე მოხდა ჩვენში ფიცის გატეხა და დავიწყება არ იქნება და კითა წესია და ადა-მიანისაგან უესტიბრობა შენ ამას ნუ იქ რომ დამივიწყოო. ეს მიბრ-ძანა თითონ კი ამიყვანა ტახტის ძირს დამსვა, ტახტი საიდგანაც მოეტანათ იქითვე წაიღეს, მე დავბნდი და უსულოდ დავეცი. რა დიდხანს ველარ შეველ შინა ჩემი ძიძა და გამდელი მეძებდნენ, კარ-დის ძირს გალურჯებული მნახეს, დაიწყეს ტირილი და თავში ცემა, ამიღეს და წამოიყვანეს სახლში დამაწვინეს. ჩემი ღალა დიაღ კარგი მცოდინარე იყო, წიგნის კითხვა დაიწყო, რა ვერ მომაბრუნა წავიდ-ნენ ხელმწიფეს მოახსენეს.

ხელმწიფე და დედოფალი ტირილითა და თავში ცემით ფეხ-შიშველნი მოვიდნენ, დამიწყეს წიგნის კითხვა, მესამეს დღეს მოვ-ბრუნდი, მაგრამ ცნობა არა მქონდა. ხელმწიფემ თავის სასახლეში წამიყვანა. არაფერმა არამ მარგო რა, აღარც სმა მიამებოდა, აღარც ჭამა, გავყვითლდი, რასაც მკითხავდნენ ხმას არავისა ვცემდი, რა ის ვარდი ვნახე მას უკან უცხო სანახავებს ვხედავდი. ჩემის ისე ყოფნი-სათვის ჩემი დედ-მამა დიდს შეჭირვებაში იყვნენ, მრავალი აქიმნი მოასხეს, მაგრამ ვერცარა იმათ მარგეს; ვინც მოვიდოდა ხელმწიფე ჩემს ამბავს შესჩივლებდა, სამი წელიწადი არც მკვდარი ვიყავ და არც ცოცხალი, მეოთხე წელიწადს ერთი მამის ჩემის ნაცნობი ვაჭარი მო-ვიდა, ხელმწიფეს დიდად უყვარდა, ჩემი ამბავი შესჩივლა. ვაჭარმა

მოასხსენა: ზღვაში ერთი ჯაზირი არის, ერთი ინდის ქიმი ზის, მრავალი საქონელი აქვს, ვინც ასეთი შეწუხებული ავათმყოფია იქ მიიყვანენ; იმ აქიმს წელიწადში ერთი დღეობა მოუა, იმ დღეს გამოვა ჯერ იბანებს, მერე ავათმყოფებთან მოვა, შეხედავს. ერთის შესედვით იმის სენს იცნობს, ნუსხას მისცემს და წავა, მეორეს დღეობამდის აღარ გამოვა, თუ მიბრძანებ ის ალაგი მე კარგათ ვიცი, წავიყვანოთ ხელმწიფის შვილი, თუ ეშველება კიდევ იმისგან, თორემ ძნელია ამისი მორჩენაო.

ხელმწიფეს დიდად იამა—გამგზავნა, ვეზირი და ასიოდ კაცი. გამომყვა, ექვსი თვე ვიარეთ:—სამი ხმელეთზე სამი ზღვაში, მარამ: რაც ან ხმელეთზე და ან ზღვაში საკვირველი ვნახეთ სულ რომ მოგახსენო სიტყვა გაგრძელდება; რა იმ ჯაზირში მივედით ხესილით-სავსე იყო, დიალ უცხო სანახავი იყო: მიწა ფერადის ყვავილით შემკული, იმისთანა მშვენიერი ალაგი, ვგონებ ღმერთს არ დაუბადებია. დავიწყეთ სიარული და ხილის ჭამა, მრავალი ავათ-მყოფები მოიყვანეს, ერთმა თვემ გაიარა, ინდო შიშველი გამოვიდა, გრძელი თმა ტანს უფარავდა, ხელთ საწერელი ეჭირა, მოვიდა ჯერ წყალში იბანე მერე ავათმყოფებთან მოვიდა; ჩვენ ყველამ თაყვანი ვეცით, ზირკელად მე მნახა დიდხანს მიყურა და ნუსხა არ მომცა. გაბრუნდა სხვა ავათმყოფებთან მივიდა, ჩემი კაცები დიდათ შეწუხდნენ ჩვენ რატომ არა გვითხრარაო, ავათმყოფები გაშინჯა ყველას ნუსხა მისცა. მერე ჩემთან მოვიდა ხელი მომკიდა ავდეგ წამიყვანა, ერთ დიდ კარში შემიყვანა, საუკეთესო ბაღი და სასახლე იყო, კარი დაკეტა, მე ერთს უცხოს დაფენილ სახლში დამსვა, მრავალი წიგნები ეწყო და ოქროს ქილებით და ოქროს კოჭობებით მაჯუმები. მიბრძანა: ამ ქილებიდამ დღეში თითო კაკლის ოდენ მაჯუმს შესჭამდე ყველა ქილოდამ, ბაღში შეექცეოდე, რომელიც ხილი გიამებს მიირთვი და ეს წიგნები იკითხეო, თითონ წავიდა ერთი კარი გაალო და შევიდა; მე იქ დავრჩი, დავიწყე ტირილი, რა ღონე არსაითა მქონდა იმ წიგნების კითხვით შევექცეოდი და იმ მაჯუმებს ვჭამდი. სამ თვეზე მართლა კაი აქიმი შევიქენ იმ წიგნების კითხვით, ასე კარგა შავიქენ,

რომ გული აღარ მიწუხდა, მაგრამ იმ ქალისასე გულიდამ არ უკუ-
მქარდა. წლის თავზე მოვიდა კიდევ ინდოს დღეობა. გამოვიდა მნა-
სა ფერიც მომსლოდა, და კიდეც გავსუქებულიყავი, მიბრძანა: შენ-
ჩემთან წამოდიო, საწერელი მომცა წავედით, ეს იყო საკვირველი
სულ იმ ბაღის და გალავანისა კარის უკლიდი ვერასდროს კარი ვერ
ვნახე. რა გავედით ჩემი ჯარი იქავ იყო, არ წასულიყვნენ, ჩემს აქ-
ბაკს ელოდნენ, იმ ერის წელიწადს ყველა ავათმყოფების პატრონე-
ბი წასულიყვნენ, იმათ ხილის ჭამით ეცხოვრათ, თორემ პურს ვინ
მისცემდათ. რა დამინახეს ღმერთის მადლობა შესწირეს, პირ მიწა-
გაერთებით და სისხლის ცრემლით აქიმმა ჯვარ იბანა, მერე ავათმყო-
ფებთან მივიდა მრავალი ავათმყოფი მოეყვანათ, ერთი დიდ გაყვით-
ლებული უცხო ვაჭარი ეგდო უგონოდ, მწარეთ გამხმარი; მივიდა
დიდხანს უყურა, გაბრუნდა სხვა ავათმყოფებს ნუსხა დაუწერა და მის-
ცა, მეცა ვცნობდი რაც სნეულება სჭირდათ; მეორეთ კიდევ იმ ყმა-
წვილთან მივიდა ააყენა და ისე უყურა, მერე მე მანიშნა წაიყვანეო,
წავედ და თან წავიყვანე, იმ წელიწადსაც იქ დავრჩით, ჩემი და ყმა-
წვილის კერძობაც იქავ იყვნენ კარზე.

აქიმმა ის ყმაწვილი თავის სადგომში შეიყვანა, კარი დაუკე-
ტა, მე იქავ დავრჩი მარტო, მარამ ვწუხდი რას უზამს მეთქი, წა-
ვედ ბანიდამ ჩავხედე მალვით, იმ ყმაწვილისათვის თავის სარქველი
აეხადა, ამრუზი გაეცხელებინა, შეატყო უურბელა ყურში ჩასძრომოდა
და ტვინის ფარზე ფესვები მოეჭირებინა, წიგნში წამეკითხა თუ დიდ
ცხელია ამრუზი უურბელა ფესვებით ფარს გასჭვს და კაცი მოკვდებაო,
და ცივითაც მოკვდებაო, ნელ-თბილი უნდა იყოსო, რომ უურბელა
აიყვანოს, თავის სარქველიც ისევ დააფაროს, წამლები შემოსცხოს და
გამთელდება; ეს წიგნები მეკითხა და ვიცოდი, რა ვნახე აქიმს ამრუ-
ზი ძრიელ გაეცხელებინა და უნდოდა აეყვანა უურბელა, შევატყე დიდ
ცხელი იყო და შემბრალდა ის ყმაწვილი სასიკვდილოთ, გულმა აღარ
გამიძლო, დაუძახე: ოსტატო, რასა იქ ამრუზი ცხელია მეთქი. იმას
დიდ გაუკვირდა, შემომხედა, ამრუზი ხელიდამ გააგდო, ადგა თავ-
ში ცემით კარში გამოვიდა, დიდ შევწუხდი და ჩავირბინე კაცი არ

მოკვდეს მეთქი. მინამ მე ჩავიდოდი ამრუზი ნელ-თბილი შექმნილიყო, მიველ უყროლეს ავიყვანე, თავს სარქველი ისევ დავხურე, წამლები იქავ გაკეთებული ეწყო წაუსვი, მაგრა შევუხვიე, თბილათ დავაწვინე. მერე გამოველ აქიმი მოვძებნე, ვერსად ვიპოვნე; ბაღში შეველ ვნახე ერთს ხეზე თავისი თმით ჩამოკიდებულიყო და დამხრჩვალიყო, დიალ შევწუხდი; რაღას უშველიდი, გავთხარე მიწა და დავმარხე; უბეში ერთი კოლოფი ედვა; ჯიბეში ბევრი გასაღებები ეწყო, ის ამოვართვი და წამოველ, კარები გავაღე მრავალი საქონელი და თვალ-მარგალიტი ეყარა, ერთი მურასა კოლოფი იდგა დაკეტილი, გასაღები ვერ ვიპოვნე უბიდამ რომ კოლოფი ამოვართვი ის გავაღე, იმ კოლოფის გასაღები იმაში იყო, ის კოლოფი გავაღე ორი წიგნი იდვა მურასას ბუდით, გავხსენ წავიკითხე, ასე ეწერა: ვისაც ქაჯის დაჭერა და იმათი გაკლება უნდოდეს ეს წიგნი ორმოც დღემდინ იკითხოს, რაც უნდა იმას უბრძანებს ის აუსრულებსო. დიალ მიამა, ასე მეგონა ყოველი ქვეყანა მე მომცეს მეთქი. ის წიგნი უბეში ჩავიდე, მიველ ის ყმაწვილი ვნახე, ბანგი გამონელებოდა, ყურთაინი მაჯუმები ვაჭამე, წამალი და ზეთები თავზე შევცხე, ერთ კვირამდინ მორჩა, აღარა სტკიოდა რა. რა გავედით ორთავ ჩვენი ლაშქარი მოგვეგება, სიხარულით ტიროდენ, ზოგნი ხელს გვაკოცებდნენ, რაც საუკეთესო თვალ-მარგალიტი იყო ჩამოვიღეთ, ხომალდში ჩავსხედით და წამოვედით. ის ყმაწვილი კუნძულთ ხელმწიფის შვილი იყო, სამი დღე ერთათ ვიარეთ. მერე გავეყარენით, მე ჩემს ქვეყანას წამოველ, ის თავის ქვეყანას წავიდა.

რა ჩემს ქვეყანაში მოველ მამა ჩემს კაცი გავუგზავნე ჩემი მორჩენა და მშვიდობით მოსვლა შევუთვალე, რაც ერთი შვილის პატრონს მართებდა სიხარული დიდათ გამხიარულდნენ და ღმერთს ცრემლით მადლობა შესწირეს, მახარობელს მრავალი უბოძა, თითონ ჯარით წინ მომეგება; რა მამა ჩემი დავინახე ცხენიდამ ჩამოვხტე, მიველ მუხლს ვაკოცე, მომეხვია და ცრემლით ღმერთი ადიდა, შევსხედით ცხენს დიდის ლხინითა და შექცევით წავედით. რა ჩემს სადგომს სახლთან მივედით ცხენი მივაბრუნე სადაც ქალი მენახა, ხელმწიფემ მკითხა

სად მისვალო, მე მოვასხსენე ჩემს უწინდელს სახლში მივალ მეთქი, ხელმწიფემ მიბრძანა, მაშინ დიდად ავათ მოვიხდა და დავაქციეო. რა დაქცევა გავიგონე ცხენიდამ გადავიჭერ დავიწყე ტირილი და თავს ნაცარი გარდავიყარე, თავსა და პირში ვიეც. ხელმწიფე ცხენიდამ ჩამოხდა დამიწყო ხვეწნა და მუხლს ხვევნა, რა ველარ დამაჩუმა შემომფიცა ნუ სტირი ისევ ავაშენებო. ამით დავჩუმდი, მაგრამ იმ ალაგიდამ აღარ დავიძარ, აღარც დედ-მამა მომშორდა. რა სახლი დასრულდა წაველ, დედ-მამა ტირილით გამეყარნენ, მე წაველ დავჯექ დავიწყე წიგნის კითხვა, ორმოცს დღეს არც მისომს და არც მიჭამია, მარამ მრავალი ძნელი სანახავი ვნახე, არ შემეშინდა. რა ორმოცი დღე შესრულდა ერთი პატარა ტახტი მოიტანეს ქაჯებმა, ჩემ ქაჯის ხელმწიფე იჯდა, საზარელი შავი ტახტი წინ დამიდგეს, იმ ტახტზე მჯდომმა მითხრა: ყმაწვილო ამ ქაჯებისაგან რა გინდა, რასგადაეკიდეო, ღამის სულ დაგვწვა. შენ წინ მოვსულვარ მითხარ, რა არის შენი მათლაბი. მე უთხარ: სოლომან ბრძნის სახელი დაიფიცე, რაც გითხრა ჩემი გულის წადილი აღმისრულე და მოვახსენებ. დაიფიცა, რაც შენ დამაფიცე რასაც მეტყვი ყველას აღვისრულებ, თუ ჩემგან შეიძლებაო. მე უთხარ შენი ქალი მომე მეთქი; გაიცინა და მითხრა, ჩემი ქალი შენ რას გამოგადგებაო. მე მოვახსენე, შენ მომე და ვიცი რაც გამოსადეგი იქნება მეთქი. მითხრა: ღმერთმა იცის ჩემი ქალი როგორც მე მხედავ ისეთია, არ მოგეწონებაო. მე უთხარ, აკი შემომფიცე რასაც მეტყვი აღვისრულებო, უარს რათ მეუბნები მეთქი. მან მითხრა, მოვიყვან ჩემ ქალს ნახე, მარამ შემომფიცე შენი საფერი რომ არ იყოს, ქაჯებზე ხელი აიღეო და აღარ იკითხო ეგ წიგნიო: შევფიცე აგრე იყოს მეთქი. გაგზავნა ერთი ქაჯი და მოაყვანინა ქალი. რა შევხედე შემზარდა, საზარელი სანახავი იყო, მამისაგან უფრო გონჯი, მეწყინა და უთხარ: ღვთისაგან წყეულო, ამისთანა საძაგელი დევის ნაშობი იმ მნათობს როგორ მიამზგავსე მეთქი, მან შემომფიცა, მე ამის მეტი ქალი არ მყავსო და შენ თუ გინახავს მნათობი ფერიის ქალი იქნებოდა. ჩვენ იმისი მონახნი ვართ და არც არას ადამიანს ერჩიან და ჩვენ ადამიანის შეწუხე-

ბაში ვართ, ახლა კი დავეხსენ ტანჯვისაგანაო. მე დავითხოვე, წავიდა და ქალიც თან წაიყვანა იმ წყეულმა. მე იმავ დღეს მოვყე ფერიების წიგნის კითხვას, ორმოცამდინ ვიკითხე, რა ორმოცი დღე შესრულდა მრავალი ფერია მოვიდა, ორმოც კაცს ერთი დიდი იაგუნდის ტახტი ეჭირათ, ზედ მზის მსგავსი ბრწყინვალე კაცი იჯდა, თავს გვირგვინი ედგა, ტახტი დადგეს, მე მივედ ხელს ვაკოცე. მან მითხრა: ყმაწვილო, სოლომან ბრძნის ლოცვა ვინ გასწავლა, რომ ამდენსა გვტანჯავ, რა დანაშაული გვაქვს გვიბრძანე და ან რა გნებავსო. მე მოვახსენე, შენი ქალი მსურს რომ მომცე მეთქი. მან მომიგო ადამიანი და ფერია ერთათ ვერ მოთავსდებაო და ვერც შენ ჩემ ქალს ხელს მოჰკიდებო და ვერც გვერთ გაუვლიო, როგორც მე ქაჯების უფროსი ვარ ისე ჩემი ქალი ჩემზე უდიდესი ხელმწიფეაო, ქვეყანა იმის ბრძანებას ქვეშ არისო, სოლომან ბრძენმა დასო ხელმწიფეთ, თუ შეიტყო მეც მომკლავს და ქვეყანასაც ცეცხლით დასწოვსო. მე მოვახსენე: თქვენი ქალი მე მაბოძეთ, არც გვერთ გაუვლი და არც შევაწუხებ, მე მონურებ ვემსახურები, სხვა არა მინდა რა ოღონდ იმის მშვენიერება განვიცადო და არც ღირსი ვარ იმის შეწუხებისა მეთქი. მიბრძანა, ადამიანს სწორე პირი როდისა გაქვსთო და არც, ერთ სიტყვაზე როდი დასდგებითო, რადგან ეგ ლოცვა გცოდნია უნდა მოგცე მეტი რა ღონე მაქვს, მაგრამ შემომფიცე არა შეაწუხორაო და ავათაც მოგივაო, მე კიდევ შევფიცე, ადგა და წავიდა.

მეორე ხანს უკან ტახტით მოიყვანეს ქალი, ტახტი დადგეს; მრავალი ფერიების ქალები ახლდნენ, მე მივედ ტახტს წინ მიწას ვაკოცე; სიცილით მიბრძანა: მართლათ ეხტიბარი გქონია, მაგრამ ახლა გიჯობს სიფთხილე რომ ეგ წიგნი არ მოიშორო, თორემ ჩვენი საქმე გაძნელდებაო. ვიყავით სამი თვე ლხინითა და შექცევით, იქ კი არავინ მოუშვი და მამა ჩემთან წავედ სიხარულით და იმათაც ვასიამოვნე; მოხარულნი იყვნენ ჩემი მორჩენისათვის.

ერთს დღეს ვისხედით ვლხინობდით და ვსვამდით, მრავალი ფერიის ქალები გვახლდნენ; ქალმა თავისის ხელით თასი მიბოძა, ავდექ თასი რომ გამოვართვი ერთი კაცი თან მომყვა ღვინის სმა-

მე მითხრა: ეგ წიგნი მომეციო, რადგანაც შემძლია, ამოვიღე უბი-დამ წიგნი და მივე, ქალს თასი გამოვართვი და ხელზედ ვაკოცე. ქალ-მა მიბრძანა: შე წყეულო, წიგნი რათ მიეო, მიბრუნდი კარს დაუ-ჭიდე, იმან სხვას მისცა, წიგნი წაიღეს, ის კარი აღარ გაუშვა, ანაზდად ძროხად იქცა, ქალი გადაბრუნდა და მოკვდა; დავიწყე ტი-რილი და თავში ცემა; მრავალი მოსაზრუნებელი წამლები წავუსვი და დავეძებდი, ვეღარ მოვაბრუნე, არის ისე; მე თავიც მომძაგებია: მას აქეთ და წყეული სოფელიც გამიმწარებია, იმ ძროხას იმიტომ ვცემ და ვაბლავებ ეგება წიგნი მომიტანოს, რა ცემით დავიღალები შე-ვალ ქალთან ტირილით, მუხლისა და ხელის ვეხვევი, მარამ ვერას ვარ-გებ, ასე მგონია სძინავსო ისე წევს, გონება მიხდილი გამოვალ ისევ ძროხას მივეფერები, ბოდიშს მოვითხოვ, თავსა და პირს ვკოც-ნი, საჭმელს მივუყრი, ეგება შეებრალოს და წიგნი მომცეს. ამ სუ-რათის რომ გავაკეთებ ოქროში ერთხელ ჩემ დედ-მამას დავუნახვები იყო-დენ რომ ცოცხალი ვარ, ამ სურათის ვაჩვენებ ამისთანას ქალს იყო მეთქი, დავასხი და გავტეხ, ვიტირე ეგები შეებრალოს და მხურ-ვალედ ღმერთს შევასტყვე, მათის ლოცვით ღმერთმა მომხედოს და ის წიგნი ვიპოვნო; ეგების იმიტომ მოვკლავ ჩემგან ეშინოდესთ. ძმაო, ჩემი ამბავი ეგეა გისმე, ორი წელიწადია ამ სასახლეში ვარ, ცეცხლი უფრო მიცხარდება, ის ქალი მძინარის მსგავსად წევს და მე ასე ვიწვი.

რა ამბავი დაასრულა თავის ხელი იკრა პირას სახე დაიხია, სისხლი ჩამოსდიოდა, დაბნდა მკვდარივით დაეცა. რა ის უმაწვილი ისე მწუხარებაში ვნახე ჩემი თავიც დამავიწყდა და ის ქალაქიცა, შე-ვიცე: მანამ შენ შენი გულის წადილი არ აგისრულდება, მანამ არც ქალი მინდა და არც ჩემი სახელმწიფო, გამოვესალმე და წამოველ. ნადირსავით გავველურდი, მრავალი ვიარე, იმ მთაზე ავედ, რომელიც ჩემს ამხანაგებს უნახავსთ, იმ ბერიკაცს უამბე ჩემი და იმ უმაწვი-ლის ამბავიცა, იმან მომასწავლა, როგორც ჩემი ამხანაგებისთვის ეთქვა, ისე მე მითხრა, მე ამ სამ დარვიშს შევეყარე თქვენის ბედით და დოვლათით ამ შეჭირვებიდამ ხსნას ველით.

გაათავა მესამე დავრიშმა თავის ამბავი, ხელმწიფემ მეოთხე დავრიშს უბრძანა, ახლა შენ მოჰყევ შენს ამბავსაო. მეოთხე დავრიშმა მოახსენა: ხელმწიფეო! მრცხვენიან თქვენს წინ როგორ გავბედო მოხსენება ჩემი უგვანი ტანსაჯავი და საქმის ამბავი, რომელიც ლხენას აღარსათ გელით; დაიწყო თავში ცემით ტირილი და მოთქმა, სხვა დავრიშებიც ტიროდნენ, ხელმწიფემაც მრავალი იტირა სიბრალულით, დავრიშა რა ტირილისაგან მოიღალა და დადუმდა, ხელმწიფემ ამბის თქმა უბრძანა.

---

## კარი მეექვსე. ინდოთ ხელმწიფის შვილის მეოთხე დავრიშისაგან ხელმწიფის წინაშე თავის ამბის მბობა.

მოახსენა: ხელმწიფეო, მე ინდოთ ხელმწიფის შვილი ვარ, დედა მამა მომიკვდა, ოთხის წლის ობოლი დავრჩი, ჩემის მეტი შვილი არჰყვანდა ხელმწიფეს. მამა ჩემის შემდგომ ბიძა ჩემი დაჯდა ხელმწიფეთ, მეც ისა მზრდიდა, ასე უყვარდი კარზედ არ გამომიშვებდა, ბიძა ჩემს ერთი ქალი ჰყვანდა, ერთად ვიზრდებოდით. რა მოვიზარდე მე მუასხლებში გამიყვანეს, არც კარში გამიშვებდნენ, არც ცხენზე შემსომდნენ, სულ დედაკაცებში ვიყავ, ხელმწიფობის რაგი არა ისწავლოს რაო; ათის წლისა რო შევიქენ, თამაშობაში მუასხლემ გამლახა, მე ტირილით ჩემს დეიდასთან მივედი, ჩემი ლალა მამი ჩემისაგან გაზრდილი ხოჯა იყო, დიდ გული სტკიოდა ჩემთვის, მიყოლ მუასხლოსაგან შევჩივლე, ლალამ ასეთი სილა შემომკრა ძალიან მეტკინა, უფრო ტირილი დავიწყე, მე უთხარი: ღვთისაგან როგორ არ გეშინიან, მე შემოგჩივლე შენ უფრო მცემ მეთქი. მან მითხრა: როგორ არ გავლახო მაგოდენი გაზრდილხარ, ხელმწიფის სამართალი უნდა შეგეძლოს და შენ ერთი მოასხლისაგან სჩივი. მე უთხარ, მაშ რა ვქნა, მე იმათ მეტი ადამიანი არ მინახავს და ისინაც მცემენ მეთქი; დიდ ბევრი იტირა და მითხრა: მამა შენი რო მოკვდა შენ პატარა დარჩი შენ თავის ძმას მიაბარა, იმისი, ქალი შენზე დანიშნა, ანდერძიც

ისე უთხრა ჩემი შვილი რო გაიზარდოს შენი ქალი იმას მიე და სახელმწიფოც ამას დაულოცე; მე შენ წაგიყვან ხელმწიფესთან, იმ პირობას მოვაგონებ, ქალსა ვთხოვ, ეგება ხელმწიფობაც მოგცეს. მე უთხარ რასაც მიპატრონებ ღმერთი დაგიმადლებს, მე შენს მეტი პატრონი არა მყავს და შენ იცი მეთქი. მომკაზმა ხელმწიფურათ და ხელმწიფესთან წამიყვანა, რა ხელმწიფის კარზე დამინახა ჯარმა ღმერთის მადლობა შესწირეს: ჩვენი მკვიდრი ხელმწიფის შვილი გაზდილაო, ახლა ეს დაგვიჯდება ხელმწიფეთაო; შეველ ხელმწიფეს თაყვანი ვეცი, ხელმწიფემ ხელი მომკიდა გვერთ დამისვა, ხოჯას უბრძანა, ჩემი შვილი რას გაურჯიაო? ხოჯამ მოახსენა, თქვენც მოგეხსენებათ რისთვისაც გიახლაო, ასე მოგახსენებს ღვთითა და თქვენის წყალობით თავს მოვესწარო და თქვენის პირობის აღსრულებას გთხოვსო. გაიცინა ხელმწიფემ, მითომ თავის დანიშნულსა მთხოვსო. მან მოახსენა, გახლავარ მაგ წყალობის მოიმედეთო. ხელმწიფემ ბრძანა, გარგია მუნაჯიმბს დაუძახეთ საათი კარგი როდის არის ამათი ქორწილისაო. მოვიდა მუნაჯიმბი. ხელმწიფემ უბრძანა, საათი გაშინჯე როდის იქნება კაი საათი ამათის ქორწილისაო. წავიდა მუნაჯიმბი, მცირე ხანს უკან მოვიდა, არ ვიცი ხელმწიფეს დაერიგებინა თუ მემტერა და თუ ან მართლა თქო, ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: დიაღ კაი საქმე მოგიგონია ამათი ქორწინება, მაგრამ დიაღ ავი საათია: სამი წელიწადი სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე და სამი საათი დიაღ უბედურია და მას უკან კაი საათიაო. ხელმწიფემ ბუნბარაქს უბრძანა, გაიგონეო ახლა ეს ჩემი შვილია, არ შეიძლება წაიყვანე ისევ არამში, როდესაც კაი საათი იქნება მაშინ დავაქორწილებო.

ჩვენ ისევ არამში შევედით, მეორეს დღეს ჩემ ლალასთან გავედი, რა დამინახა ტირილი დაიწყო, მე შევწუხდი და ვკითხე რათა სტირი მეთქი. მან მომიგო ნეტავი გუშინ ფეხი მომტეხოდა და იმ უსამართლო სისხლის მსმელთან არ მიმეყვანეო, დღეს დაგვებარებინე, ასე მითხრა ეგება მალვით მოწამლო და მოკლაო; შენის მეტი მამა შენისა არა ვინ არის მემკვიდრე, მე ვიცი ეგ კაცი არ გაცოცხლებსო. მე შიშით ტირილი დავიწყე და მუხლს მოვეხვიე, შენს მეტი

პატრონი და სუფეში არა მყავს, ჩემი ობლობა შეიბრალე, მიშველე რამე მეთქი. მითხრა, ნუ სტირიო, ადექ წავიდეთო. წამიყვანა ერთს სახლში შემიყვანა, მამი ჩემის საჯდომი სკამი იდგა, ბევრი ვიტირეთ, მერე ოთხუას ასწივა ერთი კიბე გამოჩნდა ჩამიყვანა, დიალ შემეშინდა უცილოდ ეს კაცი აქ მომკლავს მეთქი, შიშით თრთოლა მომივიდა, მარამ რა ღონე მქონდა, ვნახე ორმოცი ოქროს სკამი იდგა ყველა სკამზე თითო მაიმუნის სახედ გაკეთებული ზურმუხტის მაიმუნი იჯდა. მკითხა: ამას ხედაო? მე უთხარ, ვხედავ. მარამ რას მარგებს მეთქი, ასეთი რამ მაჩვენე, რომ ამ შეჭირვებისაგან დაგვიხსნას მეთქი. მითხრა მამა შენი ქაჯთ ხელმწიფის სადიეს მეგობარი იყო, წელიწადში ერთხელ წავიდოდა დიდის ფეშქაშით და დიდხანს დიდის პატივით იმასთანა შექცეოდა, რა წამოვიდოდა თითოს ამ მაიმუნს აჩუქებდა, ორმოცს ერთი აკლია, ღმერთმა არ დააცალა, რო ესეც ეშოვნა, ხელმწიფე მიიცვალა. ჩემს მეტმა ეს არავინ იცის, რამდენჯერაც წაბრძანდებოდა მეც თან წამიყვანდა, მე მიბრძანა ნურავის ეტყვიო, როცა ჩემი შვილი გაიზარდოს სადუე ხელმწიფესთან მიიყვანე, ეგება ერთი მაიმუნიც უბოძოსო; მე მოვახსენე, რა შველიან ამ მაიმუნებს? მან მიბრძანა, თუ ორმოცი შესრულდა, თითოს მაიმუნს ათასი კაცი ჰყავს და რასაც უბრძანებ აასრულებენო და მრავალს ქვეყანას აგალებინებ, მე არ დამაცალა ფეშქმა სოფელმა და ეგება ჩემს შვილს გამოადგესო, იქნება სოფლის სიყვარულმა მოატყუოს ჩემი ძმა და ჩემს შვილზედ ჩემი ანდერძი არ აასრულოს და მეფობა არ დაანებოს, ეს მაიმუნები კარგა მოეხმარებაო ჩემ შვილსაო. ახლა მე წაგიყვან სადიე ხელმწიფესთანა, ეგება ამ სისხლის მსმელისაგან გიხსნასო. მე მადლობა უთხარ, მე ისევ არამში შევედ და ბუმბარაქი ხელმწიფესთან შევიდა, მოახსენა: თუ მიბრძანებ იმ ყმაწვილს წავიყვან ერთ უდაბურ ალაგს, თქვენ სამსახურს აგასრულებო, იქავ დავმარხავ, რომ ჯარმა არ შეიტყოს და გიასლებიო. ხელმწიფეს იამა, წყალობა უქადა, ბუმბარაქ დაეთხოვა და მოვიდა; ცოტა რამ ფეშქაში სადუესთვის და გზის ნუზლი მოამზადა, შევსხედით კაი გამძლე ცხენზე და წავედით, თხუთმეტი დღე ვიარეთ, ერთ ალაგს მი-

ვედით, ადამიანის ლაპარაკი მესმოდა და თვალით კი ვერას ვხედავდით, სალამი მომცეს მეცა და ბუმბარაქსაცა. მშვიდობა თქვენი მობრმანებაო. მე დიდად შევწუხდი, ბუმბარაქს უთხარ: თვალით ვერასა ვხედავ და ხმა კი მესმის, გული მიწუხს მეთქი. ამოიღო უბიდამ სოლომონის სურმა თვალში მიოლა, ვნახე მრავალი კარავი იდგა და დიდძალი ჯვარი ვნახე, ბუმბარაქს ვკითხე, ეს ჯვარი ვისია მეთქი, სადუყ ხელმწიფისა არისო, ადამიანს ჰგვანდნენ, მაგრამ ფეხები ცხვრისა ესხათ, მივედით ხელმწიფის კარზე, დიდებულნი მოგვეგებნენ და მოგვიკითხეს, მამი ჩემის სამძიმარი მითხრეს, ხელმწიფესთან შემიყვანეს, ხელმწიფე დიდ წყალობის თვალით დამხვდა, მომიკითხა, ახლო დამისო, ბუმბარაქს ჰკითხა: ეს მაჭიხადა აქამდის რატომ არ მოიყვანეო? მან მოახსენა: ხელმწიფეო, მამა რომ მოუკვდა დიდ პატარა დარჩა, თქვენი საკადრისი სამსახური არ შეეძლო, ახლა თქვენის ბედნიერებით მოიზარდა, ღვთით და თქვენის დოვლათით თქვენი სამსახური შეუძლიან, ამას გეხვეწება: თავის მამის ადგილს წყალობა უყო და იმ მაიმუნებს ერთი რომ აკლია ისიც უბოძეო, ეგება თავის მამის მოადგილე შეიქნას და თქვენი სამსახურიც შეიძლოს. ხელმწიფემ უბრძანა: ეგ დიდ ადვილია, მაგრამ მაჭიხადას ჯერ ჩემთვის სამსახური და ერთგულობა არ უჩვენებია, თუ მამასავით სამსახურს დამანახვებს უმეტესს წყალობას უზამო. ბუმბარაქმა მოახსენა, რასაც უბრძანებ ყველა სამსახური შეუძლიან, ესეც იმისთვის გიახლა, რომ თავის და თავის მამის სამსახური თქვენ წინ არ დაიკარგოს. ხელმწიფემ ბრძანა: რაც საქმე დავდვა შეუძლიან აღსრულებაო? ბუმბარაქმა მოახსენა დიდ შეიძლებსო. მაშ რადგან შეუძლიან ერთს საქმეს შევჰკვეთ, თუ აღასრულა მაშინვე მივცემ და ჯარსაც მოვახმარებ, მაგრამ უნდა შემომფიცოს, რომ არა მიღალატოს რაო, მაგასაცა ჰკითხეო. მოვახსენე: შენს სამსახურზე თავი დამიდვია, თუ ღალატი შემამჩნდეს ჩემი სისხლი თქვენზე ადალი იყოს, თავი გამაგდებინე მეთქი. მიბრძანა: შენ უმაწვილი ხარ, სამსახური აგრე ადვილი არ არის, წადი ამაღამ იფიქრე, თუ შეგეძლოს სწორე პირი მომე, თუ არა უმაწვილობის ჯარით ნუ წახდებიო. წაველ იმ ღამეს ვილაპარა-

კეთ. ჩემმა ლალამ მითხრა: ყმაწვილი ხომ აღარა ხარ, შენი თავის ჭკუა შენცა გაქვსო. თუ შეგეძლოს სწორე პირი მიე, თუ არა შეგეძლოს შენს ოჯახს მტერს ნუ დაასაგვრინებ, უბრალოთ თავს ნუ გადააგებო. მე მოვახსენე, ასეთს რას მიბრძანებს, რო ვერ შევიძლო აღსრულება მეთქი.

მეორეს დღეს მეჯლისში მიბრძანა: რა იფიქრე, როგორაც პირობაზე სდგეხარო. მე მოვახსენე რასაც მიბრძანებ ვეცდები მეთქი. მიბრძანა: ყმაწვილი ხარ ნუ სჩქარობ, შენი საქმე მართლათ გამინჯეო, სარეგვნით ნუ წასდებიო, ადამიანი დიაღ მოღალატე არის, ჩემთან ტყუილი არ გამოგადგებაო, ერთს ფიცზე ვერ დასდგებით მებრალები წასასვლელნათაო. მე კვალად შევფიცე: თქვენი ღალატი არ შემიძლიან მეთქი; სამი დღე ვიყავით, სამსავე დღეს ესე სიტყვა მიბრძანა და მე ვეფიცებოდი, მეოთხე დღეს კიდევ მკითხა, კიდევ ისე მოვახსენე. მოლარეს უბრძანა ზანდუკში რომ თომარი მოიტანეო, წავიდა თომარი მოიტანა, წინ დამიდვა და მიბრძანა: ეს წაიღე სადაც იმისი მსგავსი ქალი ნახო მომგვარე, მაგრამ შენი თვალი და გული წმინდათ შეინახე, რომ არა მიღალატო. მე მიწას გავკოცე და წავედი, თომარი უბეში ჩავიდე, სადგომს გავშალე, ვნახე ასეთი ქალის სახე იყო, რომ ქვეყანაზე იმისთანა არა დაბადებულა რა და არც დაიბადება, და არც კაცის ენით მისი მშვენება გამოითქმის. რაღა მოგახსენო, თმა გაშლილი და გაგლეჯილი იყო, სისხლი და ცრემლი ერთად ჩამოსდიოდა, მისი მზის მსგავსი პირის სახე სისხლით შესვრილი და გაგლეჯილი ჰქონდა; რა შევხედე სიცოცხლე დამავიწყდა და მკვდარს დავემსგავსე, ეს დამება გულსა ვთქვი რა მუშბარაქმა შემოიკრა თავში, ვაი შენს მუშბარაქსაო, რათ გავხადე სასიკვდილე და შენი ოჯახი დავაქციეო, რა ფერი დავიდგამ ცოტას სულობას მოველ და უთხარი ამისთვის შევწუხდი, ამისთანა მნათობა-სად უნდა ვიშოვნო, ან რა ვიცით რა ქვეყანას არის, სად ვიშოვნო; კიდეც რო ვნახო ღმერთი რას კეთილს მამცემს ამისთანა ქვეყნიერი მზე ქაჯებს მიეცა მეთქი. მუშბარაქმა მითხრა: სანანული რაღას გვარგებს, მოვკვდებით თუ დავრჩებით უნდა ვიპოვნოთ.

მეორეს დღეს ცხენი, თითო ხელი სალათი, სასარჯო თეთრი მოგვივიდა სადიჟ ხელმწიფისაგან. რაღას ვიქმოდით, ვახსენეთ ღმერთი და წავედით. მრავალი დღე ვიარეთ, დიდი სასჯული და ჭირი გადვიხადეთ, არა ქვეყანა არ დაგვრჩა დაუვლელი, მაგრამ იმისი მსგავსი ვერა ვნახეთ რა, ათი წელიწადი ვიარეთ, სიცოცხლე გაგვიმწარდა, მუმბარაქს ვაყვედრებდი, მაგრამ რას ვიქმოდი, მეთერთმეტე წელიწადს ერთს ქალაქში შევედით, იმ ქალაქის გალავანზე, ბანზე თუ კარზე კაცები ისხდნენ, დავითნს კითხულობდნენ, უცხოს ხმით გალობდნენ; საკვირველი ხმა გვესმა, შევედით იმ ქალაქში, სამი დღე ვიყავით, მოვისვენე, მეოთხე დღეს აბანოში წაველ ვიბანე, რა გამოველ ბაზარში ვიარებოდი ერთი დიდ პატიოსანი სანახავი ბერი კაცი მოდიოდა, უსინათლო, ხელთ ჯოხი ეჭირა და პატარა ლიტრით წყალი მოჰქონდა თან, ლოცვას ამბობდა და ღმერთს ადიდებდა; მე სალამი მივე, წყალი გამოვართვი, დავლიე და ერთი ფლური მივე. ბერმა კაცმა მითხრა: შვილო, ერთის წყლის დალევისათვის რა ფასი მინდოდა. მე უთხარ ფლურია არავინ მოგატყუოს მეთქი. რა ფლური გაიგონა დამლოცა და მითხრა: შვილო, ღმერთმა შენი თხოვნა აღგისრულოსო, როგორც მე გიხარე შენის ნახვით, ისე შენის გულის წადილს მიხვდეო. წავედით ერთათ ქალაქს ვშინჯევდი, ერთს დაქცეულ სახლში მივედით, ეტყობოდა დიდის კაცის სადგომი ყოფილა, კაი ნაშენობა ეტყობოდა, მე რომ ფლური მივე ის ბერი კაცი ერთს სხვა სახლში შევიდა, ყური უგდე ქალმა ბერი კაცს უთხრა: მამავ, ასე ჩქარა რათ გამობრუნდიო. ბერი კაცმა უთხრა: შვილო დღეს კაი დოვლათზე გავედი; ერთი ვაჟკაცი შემომეყარა წყალი მთხოვა მივე ერთი ფლური მომცა, წავალ შენთვინ და ჩემთვინ ხამის პერანგს ვიყიდი, დიდი ხანია არ მიჩამია, კარგს საჭმელსაც ვიყიდი, ვიცი რაღასაც მათლაბზე იარება ის ყმაწვილი, მე დავლოცე და შენც დალოცე ღმერთმა თავის გულის წადილს მიაწევინოს, ჩვენისთანა საბრალოს ლოცვათი უფრო შეიწყნარებს ღმერთი, იმ ქალმაც დამლოცა. მე ახლოს მიველ მინდოდა სამიოდ ფლური კიდევ მიმეცა, რა დაუმახე ქალი კარზედ მოდგა, შევხედე, იმ სურათის მსგავსი იყო, ერთი

ვაი დავიმასე და გადავიქეც, დავბნდი, გამოვიდა ის ბერი კაცი დ მეუმზარაქ წყალი დამასხეს და მომაბრუნეს, ავდექ იმ ბერი კაცს მუხლს მოვეხვიე და უთხარ: შენის ღვთის გულისათვის შემიბრალე, ნუ გასდი მამის ჩემის ტახტს უმკვიდროთ, მე უბრალო ნუ გგონი-ვარ, ინდოთ ხელმწიფის შვილი ვარ, შენის ქალის გულისათვის გამოვიჭერ, მეთერთმეტე წელიწადია ყოველი ქვეყანა მოვიარე, მრავალი ჭირი და სასჯელი გარდავიხადე, როგორც მეუბნები უარს ინდოთის დედოფლად თქვენგან დასაწუნი სიძე არ გეყოლები მეთქი. ბერმა კაცმა მრავალი იტირა და ოხვრით მითხრა, ნეტავი შვილო მაგ ზედის ყოფილიყავ; ერთი თვალის სინათლე შვილი მყავს; ამის ზედნიერებით სიხარულს ველოდი, მაგრამ ასეთი ბოროტი დაემართნა. ზეცას შენისთანა ვაჟკაცი გაუფუჭებია და კიდევაც გააფუჭებსო; შენ დაეხსენ ამისი მშვენიერების სიყვარულს, თავს ნუ გაიფუჭებ, რადგან ქალის ერთა ხარო, ასეთი ღვთის რისხვა მოევლინა ამას, რომ კეთილს ვერა ნახავო; კიდევ ვედრებით ვთხოვე და ვუთხარ, რა საჭირო მაგისთანა საშინელი საქმე, თუნდ დღესვე მოვკვდებოდე მაინც დაითმობა არ შემიძლიან და მაგისთვის სიკვდილი ლხინათ მიმაჩნია მეთქი. მან მითხრა: მე ამ ქვეყნის ქალაქთარი ვიყავ, დიდი სახელოვანი, გამოჩენილი, მდიდარი და ხელმწიფეც დიდად მწყალობდა და უყვარდი; ხელმწიფეს გარდა ჩემზე უფროსი და დიდებული არა ვინ იყო. ხელმწიფეს ერთი მშვენიერი პირმშო ვაჟის შვილი ჰყვანდა, ყოვლის სიკეთით და ფალავნობით განთქმული, ჯერ უწვერული ახალგაზდა, ჩემი ქალის ქება ესმინოდა, დიდად სიყვარული ჩავარდნოდა, მამისათვის მოციქული მიუგზავნა, თუ ქალაქთარის ქალს არ მითხოვ დავიკარგებიო, ხელმწიფესაც ესებებინა, ჩემთვის ებრძანებინა გიახლე, ხალვათად ბრძანდებოდა, ხელმწიფემ ქალი მთხოვა, მე რა უარი შემეძლო, დიდად მიამა; მოვეხსენე: სიტყვლოიაც გნებავდესო მაშინაც არ შემიძლიან უარი, არამც თუ ასე მოწყალება მოგიღია ჩემზე, რძლათ გიხმებიათ ჩემი შვილი თქვენის ღვთის სიყვარულით და არ ვიცი რა გზით მოგახსენო მადლობა მეთქი. ხელმწიფეს იამა და ქორწილის მზადებას შეუდგა, ავგროვე მე ვცდილობდი

და მიხაროდა, შექმნეს ქორწილი დიდი და სიხარული, ასე რომ მთელი სახელმწიფო იყო მოწვეული დიდი თუ მცირე, წაიყვანეს ქალი ხელმწიფურის წესით; როდესაც ქალი და კაცი საწოლში შეიყვანეს დასაძინებლათ, შეიქმნა საწოლში ჯოხის ცემა და ყაყანი, ქალის კივილი, ბევრი ვეცადენით კარი ვერ გავაღეთ, სამი საათი ამ მწუხარებაში ვიყავით, რა ხმა მიწყდა კარი გააღეს ნახეს კაცი დამხრჩვალი ეგიდა, ქალი დაგლეჯილი სისხლში მოსვრილი დაბნედილი იდვა, შეიქნა დიდი ვაება და საშინელი ტირილი, ხელმწიფე გამირისხდა, ჩემი აკლება ბრძანა და ქალის სიკვდილი. ანაზდად შეიქმნა იმ სახლიდამ ცეცხლის ქვისა და ისრის სროლა, კაცს კი ვერა ვხედავდით. მრავალი კაცი დაიხოცა, ხელმწიფეს ხმა ესმა, დაეხსენ მაგ კაცის მტრობას, თორემ დაისჯებით; ხელმწიფე შეშინდა, მაგრამ ასე ამიკლო, რომ საწყლად გავღარიბდი, რამდენჯერაც ჩვენი სიკვდილი მოინდომა ხელმწიფემ იმდენჯერ ქვის შენა ასტყდა, მე ქალსა ვკითხე, რა უბედურობა დაგემართა მეთქი. მან მითხრა: საწოლში მარტო დავრჩით, ანაზდათ მრავალი ჯარი შეკრბა, ერთი სკამი დადგეს ზედ ერთი დიდი კაცი დაჯდა, იმის ბრძანებით ყმაწვილი მოკლეს, ჩამოჰკიდეს, მე რომ ვკიოდი მრავალი მცემეს დაბნედილი დამაგდესო, მერე ხელმწიფემ შეიტყო, რომ ქალს ქაჯები ეპატრონებოდნენ, ჩემზე ხელი აიღო, ამ ქალაქის ბანსა და კარზე წიგნის კითხვა დ გალობა გააჩინა, სამი წელიწადია ამ წიგნის კითხვით და გალობით მორჩნენ ქაჯებს. მე ჩემი ქალი შენთვის არა მშურს, მაგრამ მებრალები კაი თუ შენც აგიტეხოს რამე და შენ ცოდვაში ჩავდგეო. მე უთხარ, ჩემი ცოდვა შენ არ გეკითხვის თუ მამცემ, თუ არ მომცემ და მაგის მიზეზით მოვკვდები, ის ცოდვა შენ გეკითხება მეთქი. მან მითხრა, დღეს წადი მაგის პასუხს ხვალ მოგცემო.

წავედით, იმ ღამეს მწუხარებით გავათენე; მეორეს დღეს მივედით, ის ბერი კაცი ჯავთ გამხდარიყო, მითხრა: შვილო ასე ავათ ვარ ვიცი აღარ მოვრჩები; მანამ ცოცხალი ვარ ჩემ შვილს ნუ მამაშორებ. როცა მოვკვდები დამმარხეთ და შენ ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცესო, სადაც გინდათ წადით, მოცილე ალარავინა გყავსთო, მაგ

რომ თუ ქალაქიდამ გაიყვან ქაჯები არ დაგანებებენო. იმ ვაცმა სამი დღე იცოცხლა, კარგათ-უემსახურე; მეოთხე დღეს კარგათ დავმარხეთ. რა იმისი საქმისაგან მოვიცალე ქალს ჩადრი დავხურე, ჩემს სადგომს წავიყვანე, მე მინდოდა მეუღლის მოვხვეოდი, მეუმზარავ მითხრა, რასა შვრები სადიც ხელმწიფისაგან არ გეშინიაო, ჯერ გაიგონე იმ ხელმწიფის შვილისათვის რა ექნა: თავი ნუ გამოგიმეტებია, ჯერ მოითმინე, მასუკან რა მიიყვანო სთხოვე. რადგან ვიქმოდი ერთ კუთხეში დავჯექ, დავიწყე ტირილი, მეუმზარავმა ქალისათვის ქეჯაოს და ტახისამოსს ამზადებდა, მე მეუღლის ხვეწნით შევეხვეწე, ჯერ ნუ წავალთ მეთქი. მე რომ ისე მწუხარებით ვტიროდი და მეუმზარავ ქალთან მისვლას მიშლიდა, ქალს დიდ უკვირდა და შეწუხებული იყო, მეუმზარავმა უთხრა, ხელმწიფის შვილს ამიტომ უშლი თქვენთან ჯდომას, რომ ცუდი რამ არა სჭირს, ჩნდომით ხელმწიფობას და დედოფლობას მიელით, ინდოეთის წავიდეთ, ხელმწიფურის წესით ქორწილი გადავიხადოთ და მერე ერთმანერთისანი ვართო. ამ სიტყვით ქალს ატყუებდა, მე ვიდევ საიდუმლოდ ვეხვეწებოდი აქ ქაჯები ვერას დაგვაკლებენ ნუ წავალთ მეთქი, ის მეუბნებოდა ნუ სწუხარ მე ასეთი ერბო მაქვს ქალს ტანზე შევცხებ, ხელმწიფეე აღარ მოიწონებს, მერე შენთვინა ვიხოვო. მე ამით დამარჩება, ქალი ქეჯაოში ჩავსვით წავიყვანეთ.

რა თორმეტი გავიარეთ მანძილი ქაჯები დაგვხვდნენ, ჩვენი მისვლა და ქალის მოყვანა სცნეს; ფერხით წავიდნენ სადაც ხელმწიფეს ასარკე, მოვიდა საშინელი ქაჯის ლაშქარი, ზურმუხტის ტახტი მოიტანეს ჩემთვის და მეუმზარავისათვის, ქალი იაგუნდის გუმბათში ჩასვეს, სამი წლის სავალი სამ დღეს გაიარეს; ქალმა შეიტყო რომ ქაჯებისათვის მიმყავნდა შექმნა ტირილი და თავში ცემა, საბრალოდ მოსთქვა და მითხრა, რას მემართლებოდი, ჩემს მოტყუებით და ქაჯების მიცემით დღმერთს რა პასუხს გასცემო; მეც ბევრი ვიტირე და შევიფეცე შენთვის ვეწამები სააუკუნოთ და არავის დაგანებებ მეთქი. რა ვერ დავაჩუმეთ მეუმზარავმა ერბო წაუსვა აღარ მოეწონებინო, მაგრამ დაადუმა; ერთის დღის სავალს მივედით, კარვები დასცეს, ქა-

ლი კარავში დაწვა, მე და მუშმბარაქი კარზე ვიწექით, ქალი მწარეთ ტიროდა, ძილში ხმა მესმა, მუშმბარაქის მალვით შეველ, რა მნახა ცოდვით ამავსო, ხელი სარტყელში ჩამივლო და მითხრა, ღვთის სამართალში გამე პასუხიო, ამ სიტყვაზე მეც ტირილი მომივიდა, ბევრი თავში ვიცემე, მოვეხვიე და ვაკოცე; სადიყ ხელმწიფისაგან მეშინოდა, თორემ იქიდამ არ წამოგიყვანდი, ახლა ჩემ თავს შენზედ გადავაგებმეთქი. მან მითხრა, თუ აგრე იყო რათ დამიმალე, იქ რომ ასი წელიწადი ვყოფილვიყავით ვერას გვერჩოდნენ, ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა, როგორც არ მიღალატებ, ჩემის ქვეყნისაგან დავიკარგე შენის სიყვარულისათვის და ახლა შენ იციო; მწარეთ ტიროდა, ტირილით ორთავ გულს შემოგვეყარა, ჯარის ხმიანობა მესმა წამოვხტი და გამოვიჭერ, ვნახე მრავალი ჯარი ქავისა წინ მომეგება, ავიყარენით წავედით. ჩვენ ხელმწიფემ ტკბილათ მომიკითხა, მრავალი წყალობა მაბრძანა, მცირე ხანს უკან ხელმწიფე არამში შევიდა ქალის სანახავათ. რა ქალს მიახლოვდა ცუდი სუნი ეცა, დიაღ ეწყინა, გამოიჭრა გამმაგებული, დავგიძახა, მივედით თავის სახით აღარ იყო, საშიშარი სახე დასდებოდა, დიაღ შემეშინდა, ჯერ მუშმბარაქს გაუწყრა, რათ მიღალატეო. იმან შეჰფიცა მე თქვენი მოღალატე არა ვარო, ერთგული სამსახურის მეტი დანაშაული არა მაქვსო, მერე მე შემომხედა მრისხანე თვალით და წყრომით, მე თავათ გულცეცხლი მეგზნეობდა, მერე იმის წყრომაზე ყმაწვილობის ქარმა ამაჩქარა, აღარ დავაცალე, გარისხებულმა ხანჯალი ამოვიღე ვესროლე, გულში მოხვედა გადაიქცა მკვდარივით. მე გავკვირვებული უყურებდი გამეტებით ხომ არ ვესროლე, რათ მოკვდა მეთქი. რამდენიც უყურე თან და თან გაპატარავდა, ერთი მუშტის ტოლა შეიქმნა, მერე ერთი კაკლის ტოლა გახდა; ფეხებში შემომივარდა, ახტა თავში დამეცა, მე წავიქეც ვეღარა გავიგერა. რა მოვბრუნდი ვნახე ერთს უდაბურს მინდორში ვეგდე, აღარც მუშმბარაქ იყო, აღარც სადიყ ხელმწიფე და არც ურდო, ერთი თვე ხან აღმა ვიარე, ხან დაღმა, ადამიანი არ მინახავს; ავედ იმ მთაზე, რომელზედაც თქვენ ყოფილხართ მინდოდა თავი მომეკლა, ერთი ღვთის კაცი დამხვდა, ჩემი ამბავი უამბე, მეც

აქეთ გამომასწავლა, სამი დავრიშის შეყრა, ყველას ერთათ მათლაფის პოვნა მითხრა, წამოველ ამათ შევეყარე, ახლა თქვენის დოვლათით ველი ამ დიდის შეჭირვებისაგან ხსნასაო. იტირეს ოთხთავ დავრიშთ და ხელმწიფემ, რა ტირილით გული მოიბრუნეს ღმერთს მადლობა შესწირეს, ერთი თვე გამოვიდა დავრიშები ხელმწიფესთან იყვნენ და ერთათ თავიანთ მწუხარებიდამ ხსნას ევედრებოდნენ, ერთს დღეს სოფლის საქმეს ბჭობდნენ და ლაპარაკობდნენ, არამში შეიქმნა ერთი ხმიანობა და ერთმანეთის ხარება, ხელმწიფემ იკითხა რა ამბავია, მოვიდნენ და ხელმწიფეს ვაჟის ყოლა ახარეს.

## კარი მეშვიდე. ბახტურ ხელმწიფის შვილის შაზადას დაბადება, ხელმწიფისაგან დიდის სიხარულით ღვთის მადლობის მიცემა.

ხელმწიფეს რა მოახსენეს ვაჟის დაბადება არ დაიჯერა, ჩემს არამში ორსულათ არავინა ყოფილაო. მათ მოახსენეს ხელმწიფე რომ ერთს თავის ხასას გაუწყრა ორსული ყოფილა, თქვენ არ მოგხსენებიათ და არც გიკითხავსთ, ერთს კუთხეში იჯდა, ახლა ღმერთმა ვაჟი მოგცაო. ხელმწიფეს სიხარულისაგან გულს შემოეყარა, სასუნებლით ძლივ მოაბრუნეს, რა მობრუნდა ღმერთს მადლობა შესწირა, არამში შევიდა, ყმაწვილს დახედა, დიაღ მოეწონა, მშვენიერი რამ იყო, ხელში აიყვანა, დავრიშებს ფეხ ქვეშ შეუგორა ეს ყმაწვილი თქვენის აქ მოსვლის ბედით მომეცა, სახელიც თქვენ უწოდეთო. დავრიშებმა აიყვანეს დალოცეს, სახელი შაზადა უწოდეს, ყმაწვილი ისევ არამში შეიყვანეს, ხელმწიფე და დავრიშები დასხდნენ, სიხარული, მხიარულება და ღვთის დიდება შექმნეს, რაც მათ ხელმწიფობას ეკადრებოდა ნეობა გარდაიხადეს, დედაშვილთ ღრუბელი დააწვა, ერთი ჟამი ისე იყო. მერე ღრუბელი გაქრა, ნახეს ყმაწვილი აღარ იყო, დედა დაბნედილი იყო; შექმნეს არამში გლოვა და ტირილი, ხელმწიფეს მოხსენდა, ზომისაგან ნამეტანავათ შეწუხდა, ხელმწიფე და დავრიშები თავში ცემით ტიროდენ და ღმერთს ევედრე-

ბოდენ, მესამეს დღეს კიდევ ჩამოწვა ღრუბელი, რა ღრუბელი გაქრა ვნახეთ ყმაწვილი მთელ იაგუნდის აკვანში. იწვა მარგალიტის ზეწარი ქვეშა, თვალ-მარგალიტით შემკული ტანისამოსი ეცვა, აგრეთვე აკვნის იარაღი; ხელმწიფეც დიდს სიხარულს მიეცა და საკვირველებასა და დაკვირვებას, ყმაწვილი საკვირველი რამ იზრდებოდა, მარამ თვეში სამ დღეს დაიკარგებოდა, რა გამოჩნდებოდა, ძვირფასი რამ მოჰყვებოდა. ამ წესით შვიდის წლისა შეიქმნა ყმაწვილი, ხელმწიფემ და დავრიშებმა არზა დასწერეს: ეს წყალობა მოიღე, სადაც ყმაწვილი მიგყავთ ჩვენც იქ წაგვიყვანეთო და ჩვენი ბოლოსაც მოიხსენითო. დაბეჭდეს წიგნი და იმ ყმაწვილს უბეში ჩაუდეს; რა ღრუბელმა ყმაწვილი აიტაცა ხელმწიფე და დავრიშები არზის პასუხს ელოდნენ, მცირე ხანს უკან ხუთი ხელი გამოჩნდა, კაცი კი არა ჩანდა, იმ ხელებმა ხელმწიფე აიტაცა, ოთხმა ოთხი დავრიში, მეტის შიშით უცნობი გახდნენ. რა ცნობას მოვიდნენ ერთს სამოთხის მზგავს ალაგს იყვნენ და მრავალი სულის ხმა ესმოდათ, მარამ ვერას ხედავდნენ, დიდათ შეეშინდათ. ერთი კაცი მოვიდა და უთხრა: ბატონო ხელმწიფევ ბრძანე, სოლომონის სურმა გამოუშვით და აქ მოასხითო. მოიტანეს სურმა, თვალებში გამოუსვეს, სამი წვეთი ცრემლი გადმოსცვივდათ და თვალები აეხილათ; ნახეს თავ-ოქროიანი ხელმწიფეები ისხდნენ, რა დაინახეს ესენი, ფეხზე დადგნენ, იმათ მოიკითხეს და ესენი გაკვირვებით იდგნენ. მათ უთხრეს, ნუ თუ ძმანო ჩვენ ვერ გვიცნობთ, ეს სოლომონ ბრძენის ალაგიაო, გულის ანდიარამი ხელმწიფეა, სოლამანს ბრძენისაგან ხელმწიფობა დალოცვია შარუხ ხვარიზმელ ხელმწიფე ზისო, როგორც სოლომანს ბრძენს მორჩილებდა ყოველი ქვეყანა და ყველა ფრინველნი და ქვე მძრომელნი, ისე ამას მორჩებენ, ყოველნი ჯინი ამას მორჩებას ქვეშ არიან; თქვენ რომ არზა მოგვწერეთ მაზადას ხელით, მოგვერთმეოდათ ხელმწიფემ იმისთვის დაგიბარათ, რომ თქვენი სათხოვარი აგისრულოთო, ახლა ხელმწიფესთან წავიდეთო, წაუყვეით ხელმწიფესთან მივედით.

ხელმწიფის სასახლე სულ ალმასებით იყო აგებული არც ოქროერია და არც ვერცხლი, ოთხსავ კუთხეს სამის დღის სავალი მარმარილოს ქვით იყო მოფენილი, გარეშემო სულ ბაღი ველო, ოქროს ხენი იდგა, ფოთლათ ზურმუხტი და ხილათ ლალ-იაგუნდი ება მრავალი ფრინველი გალობდა, უცხო სურნელების სუნი ფშოდა, ხელმწიფის იაგუნდის ტახტი ედგა ასეთი, რომ ათასი ფეხი კიბე ჰქონდა, ხელმწიფე ზედ იჯდა, თავს სოლომონ ბრძნის გვირგვინი

ქსუფა, ათი ათასი საბარჯათი სკამები იდგა, დიდებულნი ისხდნენ, ხელმწიფისკენ ერთი მეორესი პატარა ტახტი იდგა, ზედ ჩვენი ხელმწიფის შვილი შაზადა და შარუს ხელმწიფის ქალი ფარინუში ისხდნენ და თამაშობდნენ. უცხოთ მორთულები მივიდნენ ხელმწიფე და ოთხივ დავრიშები, შარუხ ხელმწიფეს თაყვანი სცეს ერთმანეთი მოიკითხეს, ხელმწიფემ დაჯდომა უბრძანა, მათ მდაბლათ თაყვანი სცეს და თავ-თავის ალაგას დასხდნენ, შეიქმნა მეჯლიში და ლხინი ასეთი, ამბათაც არ გაგონილა: მშვენიერნი მკვრელნი საკრავს უკრავდნენ და დასძახოდნენ, შემდგომ სანუკარი მოიღეს ასე რომ გაგვგვირდით და არც გვენახა ჩვენ ჟამში: ხელმწიფის შვილი შაზადა დიაღ თამამათ იყო, ფერიზად ხელმწიფეს დიდათ უყვარდა, შვილი დღე და ღამე მეჯლიშით ილხინეს, მერე რა სუფრა აიღეს დიდებულნი გაიყარნენ, შარუხ ხელმწიფე და დავრიშები ხალვათად დარჩნენ; შარუხ ხელმწიფემ ამბავი ჰკითხა, ხელმწიფემ თავის ამბავი ყმაწვილის ყოლა და ასაზღად დაკარგვა ყველა წვრილათ მოახსენა, მერე დავრიშებმა თავიანთი თავს გარდასავალი დაწვრილებით მოახსენეს, შემდგომ შარუხ ფერიზად ხელმწიფემ ბრძანა: მე უძეო ვიყავ, შვილი არა მყვანდა, ღმერთს აღთქმა დაუდევ ოღონდ შვილი მომეცეს, თუ ვაჟი იქნება ადამიანის ქალს შევრთავ, თუ ქალია და კიდევ ადამიანის ვაჟს მივცემ მეთქი: შემიბრალა ღმერთმა დაორსულდა დედოფალი, შობის დროს ფერიანი გავგზავნე ქვეყანზე, დაიარეს, რასაც დღეს და ეტლზე ადამიანის მე იშვას შემატყობინეთ მეთქი. რა ქალი დამებადა თქვენი ვაჟიც იმ ეტლზე და საათზე დაბადებულიყო, მოვიდნენ ამბავი მომახსენეს, ფიცხლავ უბრძანე, სწრაფად მოვაყვანინე, იმ დღესვე ქებისი გაუგეთე, შენს შვილს მივე ჩემი ქალი, იმას აქეთ ყოველთვას მომყავსო, შვილისაგან უფრო მიყვარს და ველარ მომითმენია ამისი სიშორე. რა ეს გაიგონა ხელმწიფემ დავარდა მიწაზე და თაყვანი სცა, მოახსენა: მე რა ღირსი ვიყავ თქვენი შვილის რძლობასა და მაგ წყალობასაო. შემდგომ დიდებულმან შარუხ ფერიზად ხელმწიფემ გაგზავნა ფერიები ყოვლის ფრის ზღვისა თუ ხმელისა და ჯინების ხელმწიფეები თავის ჯარით უზურმა მოაყვანინა; ნახა ფერიების ხელმწიფე ერთი არ იყო, რომლისაც ქალისათვის ნიმრუზის ხელმწიფე გაგიყებულიყო ძროხაზედ მჯდომი. გაგზავნა ის ფერიაც მოაყვანინა, მერე ის ძროხაზედ მჯდომი ყმაწვილი თავის მამით მოაყვანინა, სამსახურში ინდოთ ხელმწიფის შვილი რომ ჩიოდა ქაჯეთის ხელმწიფე საღიყ მოაყვანინა, მერე ინდოთ ხელმწიფე თავისი ქალით მოიყვანა და სულ ერთათ შეჰყარა ფერი თუ ჯინი და ადამიანნი სულ

ყულეხში ახლდნენ, დიდი მეჯლიში შექმნა; შემდგომ ხელმ
ქალანთრის ქალი და მუმბარაქი მოიკითხა; წამყვანმა უარი ჰყო
არა მყავსო; დიდებული ხელმწიფე გაუწყრა და ორივ ერთათ მო-
ყვანინა იქ უზურში დადგნენ. მერე (ნიმრუზის ხელმწიფის შვ
ფერიის ქალი გულს რომ შემოჰყროდა) ზღვის ხელმწიფეს ქალი სთ-
ოვეს. ზღვის ხელმწიფემ მოახსენა, მე არ წამიყვანიაო, დევსა ჰყავსო
გაგზავნეს კაცი, მოაყვანინეს დევი და დევსა სთხოვეს. დევმა მო-
ყვანა უზურში და დააყენა საფრანგეთის ხელმწიფის ქალი და ბაზს
ხან არამი მოიკითხეს, ყველამ დაიფიცეს სოლომონ ბრძენის საფლა
ზე არ ვიციოთო. მაგრამ ყულმუზის ზღვის ჯინის ხელმწიფემ თა
დაჰკიდა, ხმა არ ამოიღო, დაიფიცეს, იმან მოახსენა, იმ ქალს რომ
მამამთილი წინ მოეგება ჯარით, ქალი რომ წყალში შემოვიდა მ
ჯილავი დავიჭირე, ზღვაში შევიყვანე ქალი და ბაზად ხანარამიაც მ
მყავსო, მოიყვანა უზურში და დააყენა. დიდებულმა ხელმწიფემ რა
რომ უზურში მოყვანილი იყოს ყველას თავ-თავისი ჩააბარა, იმათ
დიდებული ხელმწიფე დალოცეს და მადლობა მოახსენეს. კიდევ შა
მის ხელმწიფის ქალი მოიკითხა, ყველამ დაიფიცა არ ვიციოთ, მერ
მე ბრძანა, კიდევ ჯინი გვაკლიაო. მოახსენეს მეჯადო გვაკლია;
მაგრამ იმას ერთს მთაში ერთი მაგარი კოშკი აუშენებია და ჯადო-
თი გზები შეუკრავს, ქალი იქ უზის. ხელმწიფემ უბრძანა ჯადო დე-
ვებსა და ფერიის ლაშქარსა, წადით იმ ბილწთა თუ ქალი ნებით
მოგცესთ კარგია, თუ არა ძალათ წაართვით და მოიყვანეთო. მივიდ-
ნენ და სთხოვეს არ დაანება, შეებნენ სამი დღე ძლიერ ომი ჰქონ-
დათ, ციხე გატეხეს, დევი დაიჭირეს, ხელმწიფესთან მიიყვანეს დი-
დებულმა ხელმწიფემ ქალი ჰკითხა სად არისო, არ გამოაჩინა, ხელ-
მწიფე გაწყრა, ლუკმა ლუკმად დააკუწვინა, კაი ჯადოს მცოდნენი გა-
გზავნა, სადაც იყოს იპოვნეთ ქალი და მოიყვანეთო. წავიდნენ დევის
სახლში დაჩხრიკეს, ერთს ოთახში იპოვნეს ქალი და მოიყვანეს. დავ-
რიშებს დიდათ იამათ, ღმერთს მადლობა შესწირეს და თავიანთ ბედს
ეწივნენ, ხელმწიფეს დიდი მადლობა მოახსენეს, ხელ მეორეთ ეს
ოთხნი დავრიშები ფეხზე წამოდგნენ, დიდებული ხელმწიფე დალო-
ცეს და თაყვანი სცეს. ხელმწიფემ უბრძანა ფერიებსა და ჯინებსა
ყველანი თავის ალაგს წავიდნენ, ის ხელმწიფე და დავრიშებიც თავ-
თავის ალაგას გაისტუმრეს. ახლა როგორც ხელმწიფე და ოთხი
დავრიშნი თავ-თავის გულის წადილს ეწივნენ, მკითხველნო დამწერნო
და მსმენელნო, ისე ღმერთმან ჰქმნას თქვენ თქვენის გულის წადილს და
თხოვნას კაი ბედით მიემთხვივნეთ. ამინ.

